საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№47 (471)
26 დეკემბერი - 15 იანვარი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 2019 წლის 16 იანვარს**



## «გივი, ჩვენ ვართ, გივი», «წლის ყვავილი», «წლის ჩიტი» და წლის სხვა ნომინაციები

2



## საშობაო-საახალწლო რეკორდები

22

* ყველაზე დიდი ბურთი
* ყველაზე გრძელი წერილი სანტას
* ყველაზე ძველი ნაძვის ხე

## რამდენიმე ფაქტი ახალი წლისა და ნაძვის ხის შესახებ, რომლებიც, ალბათ, არ იცოდით

20



* რომელია ახალი წლის სამშობლო
* რატომ კიდებდნენ ნაძვის ხეს ჭერზე

## ვინ შეხვდება ახალ წელს პირველი და ვინ — ბოლო

21




## ბართოლომეოსი 150 მლნ დოლარს მიიღებს უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის განადგურებისთვის, ხოლო 38 ტაძარს — ტომოსისთვის

11



**ფულს ამერიკელები გადაუხდიან, ტაძრებს პოროშენკო აჩუქებს**

## «იუნისეფი» შეშფოთებულია: თურმე საქართველო და ქართველი ხალხი თავისი კულტურით ძალადობრივ გარემოს ქმნის ბავშვებისთვის

unicef

9



პოლიტიკური ნომინაციები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„წლის ყვავილი“ გახდა ენძელა მაჭავარიანი, „წლის ჩიტი“ — გუგული მაღრაძე, ხოლო ნომინაციაში „წლის გიგა ბოკერია“ გაიმარჯვა თამარ ჩერგოლეიშვილმა. ნამდვილად ვერ გეტყვით, როგორ მოხდა ეს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ნომინაციის „ლუკმა გავარდა, ჯამში ჩავარდა“.**

# «გივი, ჩვენ ვართ, გივი», «წლის ყვავილი», «წლის ჩიტი», «წლის გიგა ბოკერია»

## და წლის სხვა ნომინაციები

**წლის ბოლო მოვიდა და შესაბამისად, არაერთი ორგანიზაცია თუ უწყება საუკეთესოებს აჯილდოვებს. საუკეთესოების გამოვლენა სხვადასხვა კრიტერიუმით ხდება, სხვადასხვა მიღწევის გამო და ჩვენც გადავწყვიტეთ, „დავაჯილდოოთ“ ადამიანები, რომლებმაც წლეულს თავი გამოიჩინეს. რადგან დაჯილდოება ჩვენია, ნომინაციებიც ჩვენ მოვიფიქრეთ და საუკეთესოებიც თვითონვე შევარჩიეთ. მაშ, ასე:**

* **„მყისიერად შესრულებული დაპირებისთვის“** წლეულს ჯილდო გადაეცემა **სალომე ზურაბიშვილს.** ქალბატონმა სალომემ განაცხადა, „სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან შეგიძლია გათხარო“ და... ნაციონალებს საპრეზიდენტო არჩევნები მოუგო.

* ნომინაციაში **„გივი, ჩვენ ვართ, გივი“** კვლავ ერთპიროვნულად და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა საერთაშორისო ორგანიზაცია **ნატომ.** წინა წლების მსგავსად, ვაკაკუნებთ, მაგრამ არ გვიღებენ და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ნატო — ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, ამ ნომინაციაში სამუდამოდ უკონკურენციო იქნება.

* ნომინაცია **„წლის მიდება“** — გამარჯვებულები არიან **ნიკა მელია** და **თეიმურაზ კუპატაძე.** თუ გახსოვთ, პარლამენტარმა და საპატრულო პოლიციის უფროსმა ერთმანეთს შუბლები მიადეს და ამით პირველობა ცხვირწინ აацალეს ზაზა პაპუაშვილს, რომელმაც იმავე ნიკა მელიასთვის ხელის დარტყმა დააპირა, მაგრამ მხოლოდ „მიდება“ გამოუვიდა.

* ზემოთ „წლის შესრულებული დაპირება“ ვახსენეთ და ბარემ შეუსრულებელზეც ვთქვათ — ნომინაციაში **„წლის შეუსრულებელი დაპირება“** გაიმარჯვა **გიორგი კვირიკაშვილმა**, რადგან პარლამენტში ნიკა მელიას დაჰპირდა „რაღაცას“, მაგრამ არ დასცალდა, მოხსნეს.

* ფლორასა და ფაუნასაც მივხედოთ — **„წლის ყვავილი“** გახდა **ენძელა მაჭავარიანი, „წლის ჩიტი“ — გუგული მაღრაძე,** ხოლო ნომინაციაში **„წლის გიგა ბოკერია“** გაიმარჯვა **თამარ ჩერგოლეიშვილმა.** ნამდვილად ვერ გეტყვით, როგორ მოხდა ეს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ნომინაციის „ლუკმა გავარდა, ჯამში ჩავარდა“.

* შარშან არ გვქონია და წელს დავამატეთ ნომინაცია **„წლის ყველაზე მომხიბლავი მამაკაცი“.** ამ ნომინაციაში მძაფრი კონკურენცია იყო, მაგრამ საბოლოოდ პირველობა არავის დაუთმო **ნიკა მაჭუტაძემ.** გამარჯვებულის გამოცხადების შემდეგ მისმა თანამოაზრეებმა არჩევანი დაგვიწუნეს და სასამართლოში ჩივილითაც დაგვემუქრნენ, მაგრამ შემდეგ კარგად დააკვირდნენ ბატონ ნიკას და მისი უპირატესობა აღიარეს.

* ნომინაციაში **„აქა ვგდივარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“** (ვალების გადახდა) გაიმარჯვა **დავით ქაცარავამ,** რომელიც ნებაყოფლობით გახდა მესაზღვრე, დგას სოფელ ატოცთან და... იქიდან შემოთვალა, მე სამშობლოს ვიცავ, ბანკის ვალები მაქვს და ის თქვენ გადაიხადეთო. ბევრი არაფერი, საუბარი დაახლოებით 50 ათას დოლარზეა და, აბა, თქვენ იცით.

* ნომინაციაში **„წლის დაბრალებული პროფესია“** პირველ ადგილზე უდიდესი უპირატესობით გავიდა პუბლიცისტი **თაკო ჩარკვიანი.** ქალბატონო თაკო, პუბლიცისტი არის ლიტერატორი, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე წერს, ოღონდ არა მშობლის მიერ დაარსებულ გაზეთში.

* ქალბატონმა თაკომ ასევე გაიმარჯვა **„წლის შეძახილში — აუუ, რამდენი ვართ?!“** და ამ შეძახილმა ტალღად გადაუარა ე.წ. მატროსოვის ციხეს და ახალაიას, მერაბიშვილისა და სხვების ყურს საამოდ მიელამუნა.

„მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები, მე შენი თმები დამაბრუნებენ“, — უთხრა წინასწარი ორთვიანი პატიმრობის შეფარდების შემდეგ **დავით კირკიტაძემ** ნიკა მელიას და... სერიოზული ეჭვი არსებობს იმისა, რომ საბოლოო განაჩენის გამოცხადების შემდეგ კირკიტაძე მელიას მიაძახებს: „მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები, რომ თქვენი თმები დამაბრუნებდნენ...“ შედეგად, **კირკიტამ გაიმარჯვა ნომინაციაში „მირზა გელოვანის პოეზიის მცოდნე და სათანადოდ ვერგამომყენებელი“.**





* **გრიგოლ ვაშაძე** ნომინაციის გარეშე რომ არ დარჩებოდა, ცხადია. მან ერთბაშად რამდენიმე ნომინაციაში გაიმარჯვა, მაგრამ ყველაზე დასაფასებელი მაინც არის ნომინაცია **„11 პარტიის მიერ აღიარებული და დამარცხებული პრეზიდენტი“.** პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ვაშაძემ არჩევნები წააგო, მაგრამ მას თანაგუნდელები „ბატონო პრეზიდენტოთი“ მიმართავენ. ახლა მთავარია, ბატონი გრიგოლი ისე არ შევიდეს როლში, რომ მთავარსარდლობა იტვირთოს და ომი გამოაცხადოს, თორემ ჯავშანჟილეტითა და დაცვით კი დადის უკვე. კიდევ ერთი ნომინაცია, რომელშიც ვაშაძე უპირობო ლიდერი გახდა, **„ვაშაძეებში გამარჯვებაა“.** მას კონკურენციას გიორგი ვაშაძე უწევდა, თუმცა გრიგოლმა თითქმის რვაასი ათასი კაცის მხარდაჭერა მიიღო და ნომერ პირველი ვაშაძე გახდა. გრიგოლსვე ეკუთვნის გამარჯვება













პოლიტიკური ნომინაციები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორც ჩანს, სააკაშვილს ფულით ბიძიაც ეხმარება (ენაცვალოს ძია), ის ბიძია, რომელმაც დედა აგინა ქართველ ერს და დისშვილს ასწავლა, რომ ქართველები მუდმივ შიშსა და მონობაში უნდა ჰყავდეს. სხვათა შორის, არ იყო ცუდი მოწაფე სააკაშვილი, თუმცა ვერ გათვალა, რომ ქართველების დამონება ჯერჯერობით არავის გამოსვლია და, ადრე თუ გვიან, სახალხო აჯანყება ყოველთვის ქართველთა გამარჯვებით მთავრდებოდა. ყოველთვის-მეთქი, ამერიკისა და ევროპის საყურადღებოდაც ვამბობ!









ნომინაციაში **„როცა შენს დალალებს ქარი შლის“,** რადგან ქარიან ამინდში მისი თმა და ულვაში დროშასავით ფრიალებდა. აქტიური კონკურენცია ვაშაძეს ირაკლი კობახიძემ გაუწია, მაგრამ გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს ულვაშმა უშველა. აი კობახიძეს ულვაში რომ ჰქონოდა... თუმცა პატარაა ჯერ, ამოუვა და მერე ამ ნომინაციასაც მმართველი გუნდი წაიღებს.

* **„წლის ანთებად“** „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ანთებული ფარები უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც **ირმა ინაშვილმა** ჩააქრობინა, საახალწლო ნაძვის ხის ანთება იქნა დაჯილდოებული.

* სამაგიეროდ, **ინაშვილმა „წლის თოვლის პაპის“** (გნებავთ, სანტა კლაუსის) ნომინაციაში გაიმარჯვა ფრაზით: **„დაგივლით სათითაოდ დედა-ბუდიანად“.** ვერ გეტყვით, დაარიგებს საჩუქრებს თუ არა ინაშვილი, მაგრამ სათითაოდ და დედა-ბუდიანად დავლა წინასაახალწლოდ სწორედ თოვლის პაპის პრეროგატივაა.

* „წლის **საუკეთესო აბაზანის მიმღები“** გახდა **ნიკა გვარამია.** მან საჯაროდ და სახალხოდ განაცხადა, ყელამდე მძღ...რში ვარო და როგორ შეიძლებოდა, არ დაგვეჯილდოვებინა?! ნიკას აბაზანის შემხედვარეს, არ შეიძლება რუსთაველი არ გაგახსენდეს: „კოკასა შიგან რაცა დგას...“

* ნომინაციაში **„საკუთარი ერის მტერი“** (გაგიკვირდებათ და) გაიმარჯვა **საკონსტიტუციო სასამართლომ.** ამ ორგანომ (ჰო, ორგანომ), ჯერ მარიხუანის მოხმარება დააკანონა, შემდეგ კი უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის აკრძალვა მოხსნა. შედეგად, შეგიძლიათ ახალ წელს საკონსტიტუციო ორგანოს (ორგანოს-მეთქი) ბოთლებით მარიხუანას ბოლი მიუტანოთ, მერე კი მიწაც მიაყაროთ (თუ, რა თქმა უნდა, უცხოელებისთვის არ იქნება სრულად მიყიდული).

* წლის ნომინაციაში **„თქვენ იბრძოლეთ, გამარჯვებულზე მე მოვალ“** — უპირობოდ და უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა **მიხეილ სააკაშვილმა.** მანვე მოიგო ტიტული **„წლის კურდღელი“,** თუმცა ამ ტიტულს იგი 2008 წლიდან, მას შემდეგ, რაც გორში მიწაზე იხოხა, არავის უთმობს და, შესაბამისად, ამ ნომინაციაში მისი გამარჯვება არ გაგვკვირვებია. მანვე გაიმარჯვა ნომინაციაში **„ბიძიებო, დეიდებო, დამეხმარეთ“,** რადგან განაცხადა, რომ ფული არ აქვს და საქართველოდან დედა უგზავნის. ისე, როგორც ჩანს, სააკაშვილს ფულით ბიძიაც ეხმარება (ენაცვალოს ძია), ის ბიძია, რომელმაც დედა აგინა ქართველ ერს და დისშვილს ასწავლა, რომ ქართველები მუდმივ შიშსა და მონობაში უნდა ჰყავდეს. სხვათა შორის, არ იყო ცუდი მოწაფე სააკაშვილი, თუმცა ვერ გათვალა, რომ ქართველების დამონება ჯერჯერობით არავის გამოსვლია და, ადრე თუ გვიან, სახალხო აჯანყება ყოველთვის ქართველთა გამარჯვებით მთავრდებოდა. **ყოველთვის-მეთქი, ამერიკისა და ევროპის საყურადღებოდაც ვამბობ!**

* ნომინაციაში **„წლის სახალხო არდამცველი“** გამარჯვებული, უბრალოდ, არ გვყავს. საქმე ისაა, რომ **ნინო ლომჯარია** სახალხო დამცველი ნაკლებად არის, მხოლოდ ლგბტ თემის ინტერესებზეა გადამკვდარი და შესაბამისად „სახალხო დამცველი“ ვერანაირად ვერ იქნება. ხალხს პატრონი როგორც აქამდე არ ჰყოლია, ისე არ ჰყავს დღესაც, თუმცა ლომჯარია ლგბტ-ს მშვიდობაში მოახმაროთ.



* ნომინაციაში **„აქა ვწევარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“** გაიმარჯვა **კობა ხაბაზმა**, რომელიც ველისციხეში პოლიციის მანქანის წინ წამოკოტრიალდა. მართალია, მერე უთხრეს ხაბაზს, ადექი, წელი გაგიცივდებაო, მაგრამ კობა ადგილიდან ვერ დაძრეს. აქაოდა, სად მაქვს წელი, გაგვწყვიტა ხელისუფლებამო. წელში გაწყვეტის ოპოზიციას არაფერი ეტყობა და ეჭვი გვაქვს, თავს იმკვდარუნებს მელიასავით (ოთხფეხა მელიასავით), რათა მერე ფეხზე წამოდგეს და ხელისუფლებაში დაბრუნებას შეეცადოს. აი, თუ დაბრუნდნენ, წელის წყვეტა მერე ნახეთ.

* ნომინაციაში **„აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ“** გაიმარჯვა **გიგი უგულავამ**, რომელიც ევროპული საქართველოს გენერალური მდივანია, მაგრამ ნაციონალების აქციებზე აქტიურად დადიოდა. აქაოდა, ამათმა რომ მოიგონ, გემს მიღმა არ დავრჩეო. ამ ნომინაციას ადრე „ერთი ადგილის თამაში“ ერქვა, მაგრამ არაკორექტულიაო და სახელიც ამიტომ შევუცვალე.

* რაღა თქმა უნდა, დაჯილდოებას არ ჩაუვლია **„წლის შალვა ნათელაშვილის“** გამოვლენის გარეშე. შარშან ამ ნომინაციაში გიორგი გუგავამ გაიმარჯვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩავარდა პროექტი „გუგავა მოვა“, წელს ეს ტიტული სამართლიანად დაიბრუნა **შალვა ნათელაშვილმა** და გახდა წლის შალვა ნათელაშვილი (ლეიბორისტები ქოქოლას რომ მომაყრით, რიგი დაიკავეთ, ერთად ნუ იყვირებთ, ვერ გავიგებ არეულ ხმებს).

* „პური ჩვენი არსობისა“ გაძვირდა და შესაბამისად **„წლის გაძვირების“ პრემიაც** სწორედ მან მიიღო. პრინციპში, პურის გაძვირება ლოგიკური გაგრძელებაა იმ სანახაობისა, რომელიც წინასაარჩევნოდ ვიხილეთ, და, როგორც მოგეხსენებათ, სანახაობა უფასო იყო, ამიტომ პური გაძვირდა.

* **ნომინაციაში „ჰა, შენ, კიკუ, თუმანი და გაიხადე“** გაიმარჯვა **5-5 კილო კარტოფილისა და ხახვის დარიგებამ.** მოგეხსენებათ, ერთი კილო კარტოფილი ლარი ღირს, ზუსტად იმდენი, რაც ხახვი, და შესაბამისად, 5-5 კილო კი გამოდის თუმანი... (კიკუებმა გაიხადეს).

* დასასრულ, ნომინაციაში **„წლის სატელეფონო ზარი“** გაიმარჯვა **ბიძინა ივანიშვილმა,** რომელმაც წინასაარჩევნოდ ყველას (პრაქტიკულად, ყველას) დაურეკა და უთხრა, რომ ხმა ღირსეული კანდიდატისთვის მიეცათ. იმ კანდიდატმა კი გაიმარჯვა, მაგრამ არავინ იცის, წინამორბედის მსგავსად პლასტილინის იქნება თუ ზამთრის წინდებს მოგვიქსოვს. პრინციპში, სიგარეტს ეგ არ ეწევა, ქსოვა რომ დაიწყოს, და არც ათონელის რეზიდენციის ეზოა იმხელა, კარტოფილი რომ დათესოს. მით უმეტეს, კარტოფილი წინასაარჩევნოდ უფასო იყო...

**ბესო ბარბაქაძე**

ნომინაციაში «თქვენ იბრძოლეთ, გამარჯვებულზე მე მოვალ» უპირობოდ და უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა მიხეილ სააკაშვილმა. მანვე მოიგო ტიტული «წლის კურდღელი», თუმცა ამ ტიტულს იგი 2008 წლიდან, მას შემდეგ, რაც გორში მიწაზე იხოხა, არავის უთმობს და, შესაბამისად, ამ ნომინაციაში მისი გამარჯვება არ გაგვკვირვებია. მანვე გაიმარჯვა ნომინაციაში «ბიძიებო, დეიდებო, დამეხმარეთ», რადგან განაცხადა, რომ ფული არ აქვს და საქართველოდან დედა უგზავნის. ისე, როგორც ჩანს, სააკაშვილს ფულით ბიძიაც ეხმარება (ენაცვალოს ძია), ის ბიძია, რომელმაც დედა აგინა ქართველ ერს და დისშვილს ასწავლა, რომ ქართველები მუდმივ შიშსა და მონობაში უნდა ჰყავდეს





ავი მესაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ ილიასეულ საქართველოში ქართველთა არგახარება, ძირითადად, ჩვენი დარდიმანდობის შედეგი იყო, დღეს იმავე ამოცანის გადაჭრას წარმატებით ემსახურება ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ სატელიტი საქართველოს ხელისუფლება და მასთან ალიანსში მყოფი ე.წ. არასამთავრობო სექტორი, რომლებიც ყბადაღებული ადამიანის უფლებების დაცვის კამუფლაჟით ყველას და ყველაფერს იცავენ საქართველოში ქართველი ერის უფლებების გარდა.**

# ილიას საქართველოდან დღევანდელ საქართველომდე

**„აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვიდინ, დღეო სიხარულისაო!“ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“**

ეს არის პირველი აბზაცი, გნებავთ, პროლოგი, ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილისა „რა გითხრათ? რით გაგახაროთ“, რომელიც 1897 წლის 31 დეკემბერს საახალწლო „მილოცვად“ მიართვა მშობელ ქართველ ერს **დიდმა ილიამ.** თუ რატომ წინწკლებში სიტყვა „მილოცვა“, ამის ახსნა მეტ-ნაკლებად ერუდირებული მკითხველისთვის, ვფიქრობ, საჭირო არ არის, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც კიდევ ერთხელ აღვნიშნავ:

„ბედნიერი ერის“, „კაციაადამიანის?!“ და ქართველი ერის ნაკლოვანებათა სხვა მრავალი მამხილებელი ნაწარმოების ავტორისთვის არ არსებობდა ისეთი „დრო და ამინდი“, რომლის გამოც მწარე სიმართლის თქმას მოერიდებოდა ქართველი ერის მიერ საქართველოს უგვირგვინო მეფედ წოდებული, ხოლო 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდა ილია მართლად შერაცხილი **ილია ჭავჭავაძე.**

ჰოდა, აქედან გამომდინარე, **საუკუნეზე მეტი ხნის წინანდელი „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ ილიას გადმოსახედიდან სამგლოვიარო ნეკროლოგი უფროა, ვიდრე საზეიმო მილოცვა, მაგრამ დღეს საქართველოში უფრო მძიმე ვითარებაა, ვიდრე ილიასეულ საქართველოში იყო** და ეს რომ ასეა, ამის ცხადყოფას „ურწმუნო თომებისთვის“ ილიასეულ და ბიძინასეულ საქართველოებს შორის გავლებული პარალელებით ქვემოთ შევეცდები. „ამ სამოთხე ქვეყანაში მხოლოდ ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება“, — სიმწრით მოთქვამდა დიდი ილია საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ზემოხსენებულ საახალწლო „მილოცვაში“...

ეს ნაცნობი სურათიაცაა და, ამასთანავე, უცნობიც, რადგან, **თუ ილიასეულ საქართველოში ქართველთა არგახარება, ძირითადად, ჩვენი დარდიმანდობის შედეგი იყო, დღეს იმავე ამოცანის გადაჭრას წარმატებით ემსახურება ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ სატელიტი საქართველოს ხელისუფლება და მასთან ალიანსში მყოფი ე.წ. არასამთავრობო სექტორი, რომლებიც ყბადაღებული ადამიანის უფლებების დაცვის კამუფლაჟით ყველას და ყველაფერს იცავენ საქართველოში ქართველი ერის უფლებების გარდა. უმოწყალოდ იყიდება ქართული მიწები ძირითადად ირანელებზე ანუ მათზე, ვისაც საუკუნეების განმავლობაში ხმლით იგერიებდა ქართველი კაცი; ათასი ჯურის უკონტროლო მიგრანტებმა ლამის წალეკეს საქართველო, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ასე გაგრძელდა, უახლოეს მომავალში საქართველოში ქართველი ერი ეროვნული უმცირესობა იქნება.**

ახლა მავანი დამამუნათებს: ქართული მიწები ილიასეულ საქართველოშიც იყიდებოდა უცხოტომელებზეო, მაგრამ ილიას მიერვე დაარსებული ე.წ. საადგილმამულო ბანკის მეშვეობით უკვე დაწყებული იყო გაყიდულის გამოსყიდვისა და გაუყიდავის გაყიდვის შეჩერების პროცესი და ყველაზე მთავარი — ბოლშევიკებმა გააკეთეს ის, რაც საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ვერ შეძლო სამი წლის განმავლობაში. 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებისთანავე საქართველოს ე.წ. რევკომმა სპეციალური დეკრეტი გამოსცა, რომლის ძალითაც ქართული მიწები სახელმწიფოს, ანუ ქართველი ხალხის საკუთრებად გამოცხადდა.

სიტყვამ მოიტანა და კიდევ ერთი პარალელი, მცირე ისტორიული ექსკურსის გავლით, უფრო სწორად პარალელები, ერთი მხრივ, მეფის რუსეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის და, მეორე მხრივ, ილიასეულ, გნებავთ, ცარისტულ საქართველოსა და საბჭოთა საქართველოს შორის:

1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, რუსეთის ხელისუფლებაში ლენინტროცკის მასონი სიონისტები მოვიდნენ, რომელთა მიზანი რუსეთის მართლმადიდებელი იმპერიის დაშლა და ნაწილ-ნაწილ გაყიდვა იყო და სწორედ ამ მიზნის საწინააღმდეგოდ გაჩაღდა სამოქალაქო ომი ე.წ. წითლებსა და თეთრებს შორის, რომელიც წითლების გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერია კი არ დაიშალა, დიდმა სტალინმა ჯერ მასონი ტროცკისტები გაანადგურა, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებით რუსეთის წითელმა იმპერიამ ისეთ სიდიდესა და სამხედრო ძლევმოსილებას მიაღწია, როგორიც რუსეთის არც ერთ მონარქს არ დასიზმრებია.

სწორედ ამიტომ ემიგრაციაში მყოფმა თეთრგვარდიელმა გენერლებმა **(დენიკინმა, ვრანგელმა, იუდენიჩმა** და სხვებმა) და ოფიცრებმა სიცოცხლის დღენი სტალინის ქება დიდებაში გალიეს, რადგან მათთვის მთავარი იმპერიის ფერი კი არა, რუსეთის ძლევამოსილი იმპერიის აღდგენა იყო.

ანალოგიური პარალელის გავლება შეიძლება ილიასეულ (ცარისტულ) საქართველოსა და საბჭოთა საქართველოს შორისაც — საქართველოს რუსეთთან შეერთებამ უზრუნველყო ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან გადარჩენა და ეროვნული მენტალიტეტის, მართლმადიდებელი ქრისტიანობის შენარჩუნება. „მამული, ენა, სარწმუნოება“, რისთვისაც დიდი ილია სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა, მის სიცოცხლეშივე ხელშესახები გახდა და ერთადერთი, რისთვისაც იღვწოდა რუსეთის „დუმა“-ს დეპუტატი, ეს საქართველოსთვის კულტურული ავტონომიის მინიჭების სტატუსი იყო, ისევე, როგორც ამ სტატუსს ფლობდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არსებული პოლონეთი თუ ფინეთი...

საქართველომ უკვე სსრკ-ის შემადგენლობაში არა თუ დე ფაქტო კულტურული ავტონომია მიიღო, არამედ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსით ტერიტორიული მთლიანობაც აღიდგინა. ეს, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია: საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ, 1990 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, 5.5 მილიონს გადააჭარბა და, თეთრგვარდიელი გენერლებისა არ იყოს, არ მგონია, რომ ეს ფაქტები საქართველოს უგვირგვინო მეფეს მხოლოდ წითელი ფერის გამო დაეწუნებინა. **მაშინ ცოცხალი რომ ყოფილიყო, კიდევ ერთხელ დაწერდა ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილს, „ასის წლის წინათ“, რომელიც ილია მართალმა 1899 წელს დაწერა და რომელიც თბილისში რუსის ჯარის პირველად შემოსვლიდან 100 წლისთავის იუბილეს მიუძღვნა.**



**სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ იმ დროს, როდესაც დიდი ილია «საახალწლო მილოცვის» წერილს წერდა, ერთი რამ მართლაც გვქონდა მოსალოცი. დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, თითქმის არავინ იყო სოციალურად დაუცველი... დღეს კი ასიათასობით ქართველია რეგისტრირებული, როგორც ე.წ. სოციალურად დაუცველი, მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი**

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ იმ დროს, როდესაც დიდი ილია „საახალწლო მილოცვის“ წერილს წერდა, ერთი რამ მართლაც გვქონდა მოსალოცი — დღევანდელი დღისგან განსხვავებით საქართველოში თითქმის არავინ იყო მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, არავის სციოდა. მოკლედ, დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, თითქმის არავინ იყო სოციალურად დაუცველი...

**დღეს კი ნორმალურ ადამიანს ქუჩაში გავლა უჭირს, რადგან გული ეთანაღრება, რომ ერთ დროს სინათლის, სიკეთის, სიყვარულის ქალაქად წოდებული თბილისი დღეს მათხოვართა ქალაქად ქცეულა. ეს, რაც ზედაპირზე ჩანს, არადა, ასიათასობით ქართველია რეგისტრირებული, როგორც ე.წ. სოციალურად დაუცველი, მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, უსახლკარო-მიუსაფარი; ასეთი კატეგორიის მოსახლეობისთვის მხოლოდ პურია ერთადერთი ძირითადი საკვები; ის ბიბლიური „პური არსობისა“, რომელიც ასე უნამუსოდ გააძვირა ხელისუფლებამ; აღარაფერს ვიტყვით ძვირ კომუნალურ გადასახადებსა და იმაზე, რომ პენსიონერს წამალი ვერ უყიდია...** და ეს ყველაფერი იმ სამარცხვინო ფონზე, რომ ხელისუფალთა გაუმაძღრობას არ დაადგა საშველი — იმას, რასაც ნაცების ზეობის პერიოდში პრემიები ერქვა, ქოცებმა ვირეშმაკულად უწოდეს ე.წ. სახელფასო დანამატები და ახლა ამ ახალი ფორმით, მაგრამ ძველებური შინაარსით, ათასობით ლარს შეხმატკბილებულად იჯიბავენ ქოც-ნაცებად წოდებული ბიუჯეტის ვირთხები — ეეჰ, მართლაც, რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

თუმცა გაჭირვებული ქართველი კაცის „გასახარებელს“ რა გამოლევს ნატო-ევროკავშირის სამოთხისკენ მიმავალ საქართველოში? და ჟარგონით თუ ვიტყვით, სწორედ ამავე ოპერიდან იყო პრეზიდენტის ინაუგურაცია თელავში. მშიერ-მწყურვალთა არმიას, უპირველესად, აინტერესებს, რამდენი მილიონი ლარი დაჯდა პრეზიდენტის ინაუგურაციად წოდებული პოლიტიკური კლოუნადა, შაპიტოს ცირკი ქოც-ნაცთა „დამსახურებული“ კლოუნების მონაწილეობით და აქედან უმარტივესი არითმეტიკული კითხვა ხელისუფლებას — **რამდენი ათასი გაჭირვებულის დახმარება შეიძლებოდა იმ თანხით?**

იმავეს თქმა შეიძლება საახალწლოდ პომპეზურად გაჩახჩახებულ თბილისზე და საზეიმოდ ანთებულ ნაძვისხეზეც და ახლა თითქოს მესმის მავანთა უკმაყოფილო ბუზღუნი — ცხოვრება გრძელდება, თავისას მოითხოვს და რა ვქნათ, აღარც ახალი წელი ვიზეიმოთ, აღარც ქორწილები გადავიხადოთ და „აღარც, აღარც და უამრავი კიდევ აღარც“?.. როგორც იტყვიან, ვინ მამაძაღლი, მაგას ვინ ამბობს, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო.

პრეზიდენტის ინაუგურაციის ხარჯებისა არ იყოს, ქალაქის მერი და საქართველოს პრემიერი, როდესაც იმ ნაძვის ხეს ანთებდნენ, იმაზე თუ დაფიქრებულან, რამდენი ათასი ბავშვის დაპურება შეიძლებოდა იმ თანხით, რომელიც ყოველ წელიწადს ახალ-ახალი მორთულობების ჩამოსატანად იხარჯება ბიუჯეტიდან. დიახ, დაპურება, იმიტომ, რომ საქართველოში ათასობით ბავშვს არ ეახალწლება, რადგან მათ ელემენტარულად შიათ.

არადა, საქართველოს აქვს იმის რესურსი, რომ ამ მადლიან ქვეყანაში არავის შიოდეს და სციოდეს, არავინ იყოს მიუსაფარი.

სხვა შემთხვევაში განათებულ-გაჩახჩახებული თბილისიცა და პომპეზური ნაძვის ხეც იმას ჰგავს, ჩვენში რომ იტყვიან: გარედან მტერს უბრმავებს თვალს, შიგნით — მოყვარესო.

დიახ, სანამ საქართველოში თუნდაც მხოლოდ ერთი ბავშვი იქნება მშიერ-მწყურვალი, პომპეზური ზეიმების გამართვის მორალური უფლება არ აქვთ ერსა და ბერს, მით უმეტეს ხელისუფლებას, ამიტომ მოკრძალებით და უკეთესის იმედით, ახალ წელს გილოცავ, „ჩემო კარგო ქვეყანავ“!...

**დავით მხეიძე**

**P.S.** **რითიც დავიწყეთ, იმით დამთავრება უპრიანი მგონია, ანუ ისევ დიდი ილია:**

**„არ ვიცით, — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ, — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ქართველების წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა, ხელი გვკრან, გადავიჩეხებით დედაბუდიანად....ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვს: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“**

**1897 წ. 31 დეკემბერი“.**

**რაკურსი**
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უცნაური ხალხი ვართ ქართველები. აბა, როგორ შეიძლებოდა, 800 ათასი ადამიანი ამდგარიყო და არჩევნების მეორე ტურში ხმა დიქტატურის დაბრუნებისთვის მიეცა?! ხმა მიეცა ადამიანისთვის, რომლის უკან მდგომები გვამებს ითხოვდნენ, საკუთარ ხალხზე ძალადობდნენ, კლავდნენ, აუპატიურებდნენ, ბიზნესებს ართმევდნენ... თითქოს სტოკჰოლმის სინდრომს ჰგავს ეს ყველაფერი და არც გაგიკვირდეთ — ევროპას ხომ ფეხდაფეხ მივდევთ, ოღონდ ჯერ ცუდი მოგვაქვს იქიდან და ამაზე ცუდებიც წამოგვიღია.**

# ქართული, ეროვნული ახალი წელი დაგდგომოდეს, საქართველოვ!

**არჩევნების პირველ და მეორე ტურებში გართულებმა ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ მოგვეპარა ახალი წელი. ახალ წელს ქართველები განსაკუთრებით აღვნიშნავთ — თუ ფული არ გვაქვს, ვისესხებთ; თუ არ გვასესხებენ, კრედიტს ვიღებთ და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა იდოს საცივი, შემწვარი გოჭი და „ვინეგრეტი“, რომელსაც არავინ ჭამს, მაგრამ მაინც დევს, ანუ, პრაქტიკულად, ყველა ოჯახში მენიუ ერთი და იგივეა, უბრალოდ, დიასახლისის მარიფათსა და კულინარიულ ცოდნაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ შეაზავებს საცივს, ვინ დააკლებს ხარშვას ხაშლამას, რამდენად ნამუსიანად შეწვავს გოჭს უბნის თონეში მომუშავე პურის მცხობელი. მეზობლები შურით გასკდებიან ვალით გაშლილი სუფრის გამო. რამდენიმე დღე და დაიწყება შიმშილობისა და ქამრების შემოჭერის ერთთვიანი მარათონი, შობამდე საახალწლო საჭმელი კი მიგვყვება, მაგრამ ძველით ახალ წლამდე — თითქმის არაფერი, ნათლისღებამდე კი — საერთოდ არაფერი და სწორედ ამიტომ ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს, პრაქტიკულად, სადღესასწაულო სუფრის გარეშე აღნიშნავს უმრავლესობა.**

უცნაური ხალხი ვართ ქართველები, ყველაფერი ორი გვაქვს — ახალი წელი, შობა, გიორგობა... ეგ კი არადა, ორი პრეზიდენტიც გვყავს — არჩეული **სალომე ზურაბიშვილი** და გაერთიანებული ოპოზიციის მიერ პრეზიდენტად გამოცხადებული **გრიგოლ ვაშაძე;** შვილებიც, ძირითადად, ორი — გოგო და გვარის გამგრძელებლად ბიჭი. და ამით გვგონია, რომ სამშობლოს წინაშე ვალს ვიხდით.

ისე, ჩვენ ბევრი რამ გვგონია და, სამწუხაროდ, არამხოლოდ ჩვენ. აგერ, საქართველოს **ეკონომიკის მინისტრს ჰგონია, რომ ხალხი კარგად ცხოვრობს, არ უჭირს და, უბრალოდ, ამ ყველაფერს ვერ ხვდება.**

„არ ვეთანხმები პოზიციას, რომ ხალხს უფრო და უფრო უჭირს. ეს არ არის მართალი და ეს მხოლოდ ჩემი აზრი არაა. ეს არის სტატისტიკა, ფაქტები, რომელიც ჩვენ გვაქვს, და არ არის ჩვენი მოგონილი“, — განაცხადა **ქობულიამ.**

ბატონო გიორგი, ფაქტი, იცით, რა არის? — აი ის, ბინის გაქირავებით წლიურად 112 ათასი ლარი რომ შემოგივიდათ, ამის გარდა, თვეში ხელფასი 30-ჯერ იმაზე მეტი რომ გაქვთ, ვიდრე პენსიონერის წლიური შემოსავალია, 300 ათას დოლარად სახლი რომ შეიძინეთ წყნეთში და ზედ 185 ათას დოლარად მიწის ნაკვეთიც მიაყოლეთ იქვე, რა იცი, ოჯახი ხრამიაო. ჰო, კიდევ ის არის ფაქტი, ფალიაშვილზე ორ ბინაში ნახევარ მილიონ დოლარამდე რომ გადაიხადეთ და „პორშე პანამერა“ 125 ათასი ევრო რომ დაგიჯდათ. განვაგრძო? დაახლოებით ათი მილიონი დოლარის აქციები რომ შეიძინეთ სულ რაღაც, 2 წლის წინათ, საბანკო ანგარიშებზე გახსნილი დეპოზიტებიდან დარიცხული პროცენტით ასეულ ათასობით დოლარის შემოსავალი რომ გაქვთ, ეგ არის ფაქტი და ღმერთმა შეგარგოთ თქვენი შრომით ნაშოვნი ფული, ბატონო გიორგი, მაგრამ მოდი რა, ნუ გვეტყვით, ხალხს არ უჭირს და ვერ ხვდებაო. არ გიჭირთ თქვენ და ნუ იმოქმედებთ პრინციპით — მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო.

**ასე იყო წინა ხელისუფლების პერიოდშიც, ახლა რომ თვალებს ნაბავენ და ამბობენ: არ ვიცოდით, ხალხი თუ ამ დღეში იყოო. არ იცოდნენ თურმე, ციხეებში პატიმრებს რომ აწამებდნენ და სადისტრიბუციო მანქანასავით რომ მიდიოდა ყოველ დღე სხვადასხვა დაწესებულებაში სპეცავტომობილი პატიმრის მორიგი გვამის გამოსატანად. არც ის იცოდნენ თურმე, მეოთხედი მილიონი პრობაციონერი რომ გვყავდა და საერთაშორისო დონეზე საააკაშვილმა რომ თქვა: კრიმინალი ერი ვართ, ამის ბრალია ამდენი პატიმარი და პრობაციონერიო.** ეს ყველაფერი არ იცოდნენ მათ და ისე ნუ იზამთ, ვითომ თქვენც არ იცით და თავზე ნაცარს ნუ წაიყრით. **ალარავინ ამბობს, რომ ციხეში პატიმრებს აწამებენ, რომ გარდაცვალების ფაქტები ხშირია, მაგრამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სოციალური მდგომარეობა წამებასთან ასოცირებული ნამდვილად არის. პენსიონერებზე რომ არაფერი ვთქვათ, მოსაწესრიგებელია სოციალური პროგრამა, რომელიც ხშირად რამდენიმესულიან ოჯახს თვიურ გასამრჯელოდ 10, 15 და 20 ლარს უნიშნავს...**

და მაინც, ახალი წელია და მხიარულ განწყობაზე გადავიდეთ.

თბილისი მერმა **კახა კალაძემ** განაცხადა, საქართველოში „ტაქსით“ მგზავრობა ძალიან იაფია და ფასი უნდა გაიზარდოსო. მართალია ქალაქის მერი, რას მიქვია, „ტაქსით“ მგზავრობ და ცოტას იხდი?! თუ სურვილი გაქვს, რომ აუტანელ საცობებში 1-2 საათი სამარშუტო ტაქსში არ იჯდე ან ავტობუსში ჭყლეტაში არ მოჰყვე, გამოჯგიმული იყო „ტაქსიში“ და საცობის გამო მძღოლის რამდენიმესართულიან გინებებს უსმინო, მეტი უნდა გადაიხადო. მერე რა, თუ არ ვიცით, საიდან უნდა გადავიხადოთ ეს მეტი?! მთავარია, გაძვირდება და „ტაქსების“ სიძვირით ევროპას დავეწევით (რამეში ხომ უნდა დავეწიოთ?!) და ვითომ „ტაქსისტების“ გულებსაც მოვიგებთ.

# ნუ ენდობით ეკონომიკის მინისტრს და ნუ დაიჯერებთ, რომ ახალი წლის დილას, ახალგაღვიძებულზე მაცივარს რომ გამოაღებთ, იქ იმაზე მეტი პროდუქტი დაგხვდება, ვიდრე შეიძინეთ



**ხანდახან მართლა მგონია, რომ ხელისუფლებაში მოხვედრის შემდეგ ადამიანებს აზროვნება ეცვლებათ. თითქოს კაბინეტის ზღურბლს იქით სხვა სამყაროა; ჯიპების ჩამუქებული მინებიდან თითქოს აღარ ჩანან ნაგვის ურნაში ჩაყუდებული ადამიანები; თითქოს 180-ლარიანი პენსია, ასე ხმამაღლა რომ აპროტესტებდნენ ხელისუფლებაში მოსვლამდე, ახლა უფრო მყიდველუნარიანია... თითქოს, თითქოს, თითქოს...**

**ხანდახან მართლა მგონია, რომ ხელისუფლებაში მოხვედრის შემდეგ ადამიანებს აზროვნება ეცვლებათ. თითქოს კაბინეტის ზღურბლს იქით სხვა სამყაროა; ჯიპების ჩამუქებული მინებიდან თითქოს აღარ ჩანან ნაგვის ურნაში ჩაყუდებული ადამიანები; თითქოს 180-ლარიანი პენსია, ასე ხმამაღლა რომ აპროტესტებდნენ ხელისუფლებაში მოსვლამდე, ახლა უფრო მყიდველუნარიანია... თითქოს, თითქოს, თითქოს...**

და ეს ყველაფერი იმის ფონზეა, როცა ხელისუფლების წარმომადგენელთა ოჯახის წევრებმა აღარ იციან, სოციალურ ქსელებში რა გამოფინონ. სიხარულით ამცნობენ საზოგადოებას, რომ სანტა კლაუსი (და არა თოვლის პაპა) ჰყავდათ გამოძახებული და მთელი ღამე კარგად გაერთნენ შვილებთან ერთად და ეს მაშინ, როცა სოციალურ ქსელში რამდენიმე დღის წინათ გავრცელებულ ვიდეოში 10 წლის ბიჭი გორის ერთ-ერთი სოფლიდან ამბობს, რომ შარშან ახალ წელს თოვლის პაპამ 80 თეთრი აჩუქა და ამ ფულით შოკოლადი იყიდა, ოღონდ ის შოკოლადი ვერა, რომელიც უნდოდა, რადგან ის ძვირი ღირდა. კი არ გეწყინოთ, მაგრამ იმ ბავშვის თოვლის პაპა უფრო რეალური მგონია მე, ვიდრე თქვენ მიერ გამოძახებული და მთელი ღამე მოცეკვავე სანტა კლაუსი. ის ბავშვიც უფრო გულწრფელი მგონია იმ 80 თეთრით მიღებული სიხარულით, ვიდრე რამდენიმე ათას ლარად შექმნილი ახალი წელი.

წელან უცნაურობა ვახსენე და, 2016 წელს ერთმა კეთილმა კაცმა მითხრა: ყველაზე გაჭირვებული ვინ იცი შენს ახლო-მახლო, საახალწლოდ იმდენ რამეს ვაჩუქებ, რომ გაიხარონო. შვიდშვილიან ოჯახზე მივუთითე, რომლებიც ფიცრებისა და „ჟეშტებისგან“ შეკრულ ქოხში ცხოვრობდნენ, პირდაპირ მიწაზე ედგათ ლოგინი და ყველაზე უფროსი 16 წლის იყო, უმცროსი — 3 თვის. ინამუსა იმ კაცმა, 1500 ლარის პროდუქტები მიუზიდა, მეც ვახლდი და მერე მითხრა: ამათ სადმე სოფლად სახლსაც ვუყიდი, საქონელსაც, არ შეიძლება ამდენი ბავშვი მიწურში მიწაზე ცხოვრობდესო. ორ კვირაში დამირეკა ისევ, სახლი ვნახე რუსთავთან ახლოს, სოფელში, უნდა ვახაროთ იმ ოჯახსო, მაგრამ ვერ ვახარეთ — უარი თქვეს სახლზე: იქ რომ გადავიდეთ, თვეში 350 ლარს გვაძლევენ სოციალურ დახმარებას და მოგვეხსნებაო. ჰოდა, ცხოვრობენ ისევ მიწურში და ზრდიან შვიდ შვილს.

იმიტომ მოვყევი ეს ამბავი, რომ **უცნაური ხალხი ვართ ქართველები. აბა, როგორ შეიძლებოდა, 800 ათასი ადამიანი ამდგარიყო და არჩევნების მეორე ტურში ხმა დიქტატურის დაბრუნებისთვის მიეცა; ხმა მიეცა ადამიანისთვის, რომლის უკან მდგომები გვამებს ითხოვდნენ, საკუთარ ხალხზე ძალადობდნენ, კლავდნენ, აუპატიურებდნენ, ბიზნესებს ართმევდნენ... თითქოს სტოკჰოლმის სინდრომს ჰგავს ეს ყველაფერი და არც გაგიკვირდეთ — ევროპას ხომ ფეხდაფეხ მივდევთ, ოღონდ ჯერ ცუდი მოგვაქვს იქიდან და ამაზე ცუდებიც წამოგვიღია.**

ნამდვილად ვერ შეგპირდებით, რომ მომავალი წელი გასულზე უკეთესი იქნება. არჩევნები 2019-შიც გველის, რადგან ოთხი მუნიციპალიტეტი მერის გარეშეა დარჩენილი, და ივანიშვილმაც ხომ დაგვიანონსა: კიდევ არაერთ თავს დავაგორებო. ჰოდა, სტოკჰოლმის სინდრომი თუ გაძლიერდა მანამდე, მერე ნახეთ, სადმე ეგებ ნაციონალი მერიც გვყავდეს და ვიქნებით ყველა ბედნიერები.

მანამდე კი ნუ ენდობით ეკონომიკის მინისტრს და ნუ დაიჯერებთ, რომ ახალი წლის დილას, ახალგაღვიძებულზე მაცივარს რომ გამოაღებთ, იქ იმაზე მეტი პროდუქტი დაგხვდებათ, ვიდრე შეიძინეთ. ნურც იმას დაიჯერებთ, რომ რამეს ვერ ხვდებით, უბრალოდ, ამ ყველაფრის თავისებური აღქმა გვაქვს ქართველებს, ცოტა უცნაური, მაგრამ ქართული, ეროვნული. ჰოდა, **ქართული, ეროვნული ახალი წელი დაგდგომოდეს, საქართველოვ!**

**ბესო ბარბაქაძე**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნოემბერი „ქართული ოცნებისთვის“ მობილიზაციის თვედ იქცა. ის იძულებული შეიქნა, წასულიყო უპრეცედენტო ნაბიჯებზე (ვალების განულება და სხვ.) და ზურაბიშვილის გამარჯვებისთვის ძალზე მაღალი ფასი გადაეხადა. მისდა საბედნიეროდ, „ნაცმოძრაობამ“ ამ პერიოდში გაცილებით ცუდად მოქმედებდა, ვიდრე პირველი ტურის წინ. ორივე მხარე აქტიურად ცდილობდა, მიეღო ეკლესიისა და გაღიზიანებული „კონსერვატიული უმრავლესობის“ მხარდაჭერა. ეს ახლო მომავალში შეიძლება „კონსერვატიული რენესანსის“ ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად იქცეს.

# 2018 — კრიზისებისა და ილუზიების წელი

**2018 წელი დასასრულს მიუახლოვდა. მთავარი მის პირველ ნახევარში მმართველი პარტიის კრიზისი იყო, მეორეში — საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც ახლა უფრო მნიშვნელოვნად და დრამატულად გვეჩვენება, ვიდრე 2018 წლის ნებისმიერი სხვა მოვლენა, მიუხედავად იმისა, რომ მათ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა.**



**იანვარი** სასამართლოს რეზონანსული გადაწყვეტილებით დაიწყო — **გირგვლიანის** მკვლელობისთვის მსჯავრდებულთა შეწყალების საქმეზე **მიხეილ სააკაშვილი** დამნაშავედ ცნეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს (05.01); 28 ივნისს ამას დაემატა განაჩენი **ვალერი გელაშვილის** ცემის საქმეზე (6 წლით თავისუფლების აღკვეთა); 18 დეკემბერს კი დამნაშავედ სცნეს ყოფილი თანამდებობის პირები **ბუტა რობაქიძის** მკვლელობის საქმეზე. მნიშვნელოვანი იყო სააპელაციო სასამართლოს ორი გადაწყვეტილებაც — მან ძალაში დატოვა გამამტყუნებელი განაჩენი ფოტოგრაფებისა (09.01) და ნავთლუღის სპეცოპერაციის (27.07) საქმეებზე. ამის მიუხედავად, სააკაშვილის მოწინააღმდეგეების დიდი ნაწილი კვლავ მიიჩნევს, რომ ძველი რეჟიმის მაღალჩინოსნებს არ სჯიან.

10 იანვარს გარდაიცვალა 2017 წლის 26 დეკემბრის სპეცოპერაციის დროს დაჭრილი **თემირლან მაჩალიკაშვილი**. მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა მისი ოჯახის მიერ გამართული აქციები; ხელისუფლება, თავის მხრივ, ჩატაევის ჯგუფის საქმეზე დაკითხვა-დაპატიმრებებს განაგრძობდა და ამტკიცებდა, რომ სპეცოპერაციის დროს ყველაფერი სწორად გაკეთდა. შემდგომ მაჩალიკაშვილის თემა მჭიდროდ დაუკავშირდა საპროტესტო აქციებს, რომლებიც **ზაზა სარალიძემ** შვილის მკვლელობის ცუდი გამოძიების გამო დაიწყო.

**თებერვლის** პირველ ნახევარში ინტერესი გამოიწვია უკრაინიდან მიხეილ სააკაშვილის დეპორტაციამ (13.02); მთავრობამ დააანონსა შეღავათები მცირე მეწარმეებისთვის (16.02), ხოლო ტელეკომპანიების ნაწილი და არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებდნენ შესწორებებს კანონში „მაუწყებლობის შესახებ“, რომელიც „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ გარკვეულ უპირატესობებს ანიჭებდა. პრეზიდენტმა მას ვეტო დაადო, რომელიც პარლამენტმა 21 თებერვალს დაძლია.

23 თებერვალს ცნობილი შეიქნა, რომ ცხინვალის იზოლატორში **არჩილ ტატუნაშვილი** გარდაიცვალა. დაიწყო კრიზისი, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა საქართველო-რუსეთის ისედაც დაძაბულ ურთიერთობებზე და სიტუაციაზე კონფლიქტის ზონაში.

**მარტის** დასაწყისში ტატუნაშვილის საქმეზე **გიორგი კვირიკაშვილმა** რუსეთის ხელისუფლებას მიმართა. ნაციონალებმა ის რბილი ტონალობისთვის გააკრიტიკეს. ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემამდე (21.03) ეს თემა საინფორმაციო სივრცეში მთავარ ადგილს იკავებდა.

თვის ბოლოს საზოგადოება დაინტერესდა ბრალდებებით **ზვიად დევდარიანის** წინააღმდეგ, რომელიც რამდენიმე მანდილოსანმა სექსუალურ შევიწროებაში დაადანაშაულა. მსგავსი თემების საჯარო განხილვა საქართველოში პირველად მოხდა, ამიტომ სკანდალი რეზონანსული გამოდგა (მის დაწყებამდე 3 დღით ადრე ომბუდსმენმა დევდარიანი „საზმაუს“ სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატად დაასახელა).

**აპრილში** ზემოთ ნახსენებ საბჭოში ოპოზიციის კვოტით **ნინია კაკაბაძე** აირჩიეს (04.04), რომელსაც ხმა უმრავლესობის წარმომადგენელთა ნაწილმაც მისცა. ამის შემდეგ დეპუტატი **გედი ფოფხაძე** დაუპირისპირდა ფრაქციის ხელმძღვანელებს და თქვა, რომ უმრავლესობას დატოვებს. მას მხარი ზოგიერთმა სხვა დეპუტატმაც დაუჭირა და დაიწყო საკმაოდ მწვავე კონფლიქტი. ექსპერტები საუბრობდნენ **კვირიკაშვილის, ქუმსიშვილისა** და **კალაძე-კობახიძის** ტანდემის ინტერესებზე, მაგრამ ძალიან ბუნდოვნად, ფაქტების გარეშე. ცხადი მხოლოდ ის იყო, რომ მხარეები ჩიხში შევიდნენ და კრიზისის დაძლევა არ შეუძლიათ, შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება საჯარო პოლიტიკაში (26.04) წარმოჩინდა, როგორც ნაბიჯი სიტუაციის დალაგებისკენ.

5 აპრილს ტყიბულში 6 მეშახტე დაიღუპა. 16 ივლისს — კიდევ ოთხი. საზოგადოების მწვავე რეაქციიდან გამომდინარე, ხელისუფლება იძულებული შეიქნა, ზომები მიეღო — დაეკავებინა შახტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, გააქტიურებულიყო შრომის ინსპექციის შექმნის მიმართულებით და ა.შ., თუმცა სპეციალისტები ხშირად ამბობენ, რომ ბოლოდროინდელი ცვლილებები არასაკმარისია.

**მაისი** დაიწყო სასაცილო და სატირალი ეპიზოდით პარლამენტში (02.05), როდესაც ყოველწლიური მოხსენების შემდეგ, რეგლამენტზე უთანხმოების გამო, პრეზიდენტმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა. ეს იყო ერთგვარი ილუსტრაცია იმ ურთიერთობისა, რომელიც მარგველაშვილს მმართველ პარტიასთან ოთხი წლის განმავლობაში ჩამოუყალიბდა. მას, უპირველესად, უიმედო უნაყოფობა ახასიათებდა, თუმცა დაპირისპირება დემოკრატიული პლურალიზმის ილუზიასაც ქმნიდა და ამ მხრივ ივანიშვილის წისქვილზე ასხამდა წყალს.

12 მაისს პოლიციამ ღამის კლუბებში ანტინარკოტიკული რეიდი ჩაატარა, ამას საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა და დაიწყო ე.წ. ბასიანის კრიზისი. მის კვალობაზე ხელისუფლების რიგმა წარმომადგენლებმა შემდეგი პოზიცია დაიკავეს: დაძაბულობის განმუხტვის მთავარი საშუალება ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაა. მარიხუანის ლეგალიზაციას მხარი ღიად დაუჭირა ბერა ივანიშვილმა, ხოლო ბიძინა ივანიშვილი მოგვიანებით მარიხუანის კულტივაციასთან დაკავშირებული კანონპროექტის ერთ-ერთი და, სავარაუდოდ, მთავარი სულისჩამდგმელი გახდა, მაგრამ პროცესი ეკლესიისა და კონსერვატიული საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი პოზიციის გამო შეფერხდა.

2018 წელს საზოგადოებამ იგრძნო, რომ მისი და ხელისუფლების ურთიერთობა ძველებურად არ და ვერ გაგრძელდება. 2019 წლის დასაწყისში მთავარი გამოწვევა მისთვის სწორედ ურთიერთობის ახალი ფორმის მოძებნა გახდება. 2018-ში ქართულ პოლიტიკაში მოკვდა რაღაც ძველი, მაგრამ ახალი არ დაბადებულა. ყველა მიიჩნევს, რომ „ხვალიდან“ ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს, თუმცა არავინ იცის, როგორი იქნება ის

„ბასიანის კრიზისისას“ გაიზარდა დაძაბულობა ლიბერალური („თეთრი ხმაური“ და სხვ.) და ნაციონალისტური („ქართული მარში“ და სხვ.) რადიკალური ორგანიზაციების ურთიერთობებში. ის 17 მაისსაც გამოვლინდა, როდესაც თბილისში ლგბტ-ის უფლებების დამცველთა და მათი ოპონენტების აქციები გაიმართა. ამ პერიოდში ავანსცენაზე გამოჩნდა ,,ეროვნული ერთობის წევრი“ **გიორგი ჭელიძე,** რომელიც შემდგომ (01.09) იარაღის უკანონო ფლობისთვის დააკავეს.

დამოუკიდებლობის მეასე წლისთავის ღონისძიებები მაისს საზეიმო ნოტზე დაასრულებდა, რომ არა განაჩენი ხორავას ქუჩაზე მომხადარი მკვლელობის საქმეზე, რომლის გამოცხადების შემდეგ ზაზა სარალიძემ საპროტესტო აქციები დაიწყო (31.05). პირველი მიტინგი ხალხმრავალი გამოდგა, ხოლო საზოგადოების პოზიცია — ძალზე რადიკალური; მთავარი პროკურორი **ირაკლი შოთაძე** იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო.

**ივნისის** დასაწყისში შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია პარლამენტში, აქციები გრძელდებოდა, მაგრამ მონაწილეების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა მას შემდეგ, რაც „ნაცმოძრაობა“ პროცესებში ღიად ჩაერთო. აქციების შეწყვეტის შემდეგ პრემიერმინისტრი კვირიკაშვილი გადადგა (რეალურად ივანიშვილმა გადააყენა).

საკადრო ცვლილებები მხოლოდ ეკონომიკურ ბლოკს შეეხო, მაგრამ მთავარია, რომ მმართველ პარტიაში მკვეთრად შეიცვალა ძალთა ბალანსი. კვირიკაშვილისა და ქუმსიშვილის დაცემამ გავლენის სფეროების გადანაწილება გამოიწვია, რომლის ერთ-ერთი გამოძახილი გახდა საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევასთან დაკავშირებული უთანხმოება. რაღაც მომენტში შეიქმნა დისბალანსი კალაძე-კობახიძის სასარგებლოდ, ამავე დროს ავანსცენაზე დამკვიდრდნენ **მამუკა ბახტაძე** („ეკონომიკური პრემიერი“) და **გიორგი გახარია** („ძალოვანი პრემიერი“).

**ივლისში** ივანიშვილმა ვრცელ ინტერვიუში (24.07) ნაწილობრივ აღწერა კვირიკაშვილის გადადგომით გამოწვეული ხანგრძლივი კონფლიქტი და საზოგადოება ფრიად გაღიზიანდა იმის გამო, რომ მის შესახებ თითქმის არაფერი იცოდა. ამავე თვეში დაიწყო საპრეზიდენტო კანდიდატების დასახელება. მოგვიანებით ცხადი შეიქნა, რომ მარგველაშვილისა და უსუფაშვილის კონსულტაციები უშედეგო იქნება, ხოლო ელისაშვილმა არჩევნებისგან დისტანცირება ამჯობინა. შესაბამისად, პირობით „მესამე ძალას“ მეტ-ნაკლებად ძლიერი კანდიდატი არ ეყოლება და „ქოც-ნაცური“ პოლარიზაცია გარდაუვალია.

**აგვისტოში** მოსახლეობამ შეიტყო, რომ მმართველ პარტიაში ზურაბიშვილის კანდიდატურაზე უთანხმოებაა, რაც შემდეგი დასკვნისკენ უბიძგებდა: ივანიშვილის „მეორედ მოსვლის“ მიუხედავად, პარტიაში სიტუაცია ვერ ლაგდება.

23 აგვისტოს დაიწყო „წლის ვიზიტი“. თბილისში **ანგელა მერკელი** ჩამოვიდა. „ვერცხლის მედალი“ ამ მხრივ, ალბათ, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის, **ჯონ ბოლტონის,** ვიზიტს (26.10) უნდა მივანიჭოთ. ამ და სხვა კონტაქტებს რაიმე გარღვევა არ მოჰყოლია, მაგრამ მთლიანობაში „ქართული ოცნება“ განაგრძობდა სვლას დასავლეთისკენ და დისტანცირებას რუსეთისგან. ეს პროცესი წლის ბოლოს (16.12) ლოგიკურად დააგვირგვინა კონსტიტუციის 78-ე მუხლის ამოქმედებამ, რომელიც ხელისუფლებას ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობას ავალდებულებს.

აგვისტო-სექტემბრის ორ დღეს უმძიმესი ემოციები დაუკავშირდა — 2008 წლის ომის მე-10 და სოხუმის დაცემის 25-ე წლისთავს.

**სექტემბერმა** საქართველოს ისტორიაში ყველაზე ბინძური წინასაარჩევნო დაპირისპირებით ჩაიარა. ნაკლებად სავარაუდოა, ვინმეს იმ პერიოდის განცხადებების გახსენება სურდეს. საექსპერტო საზოგადოებაში და საზოგადოდ მოსახლეობაში გაჩნდა განცდა, რომ ხელისუფლება ამჯერად იოლად ვერ გაიმარჯვებდა, რაც მკაფიოდ აისახა მედიასა და სოცქსელებში.

**ოქტომბერში** ბიზნესმენმა **ზაზა ოქუაშვილმა** საჯაროდ დაადანაშაულა „ქართული ოცნების“ ლიდერები შანტაჟსა და რეკეტში. ყველამ როდი აღიქვა ოქუაშვილი უმანკო მსხვერპლად, მაგრამ სკანდალმა მაინც იმუშავა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, რადგან მის კორუფცირებულობასთან დაკავშირებული ეჭვები გაამყარა. ამას **მირზა სუბელიანის** ფარული ჩანაწერები დაემატა. ხელისუფლება ბრალდებებს მოუქნელად იგერიებდა, სიტუაციას მისი კანდიდატის ნეგატიური იმიჯი ართულებდა, მაგრამ პირველი ტურის შედეგი („ოცნებამ“ 15-20%-ით ნაკლები აიღო, ვიდრე ელოდა), სავარაუდოდ, არა მხოლოდ ამ პრობლემების, არამედ საპარლამენტო არჩევნებიდან დღემდე დაგროვილი შეცდომების შედეგს წარმოადგენდა. ადეკვატურობა მმართველ პარტიას, ალბათ, სწორედ 2016 წლის ტრიუმფმა დააკარგვინა.

**ნოემბერი** „ქართული ოცნებისთვის“ მობილიზაციის თვედ იქცა. ის იძულებული შეიქნა, წასულიყო უპრეცედენტო ნაბიჯებზე (ვალების განულება და სხვ.) და ზურაბიშვილის გამარჯვებისთვის ძალზე მაღალი ფასი გადაეხადა. მის საბედნიეროდ, „ნაცმოძრაობა“ ამ პერიოდში გაცილებით ცუდად მოქმედებდა, ვიდრე პირველი ტურის წინ. ორივე მხარე აქტიურად ცდილობდა, მიეღო ეკლესიისა და გაღიზიანებული „კონსერვატიული უმრავლესობის“ მხარდაჭერა. ეს ახლო მომავალში შეიძლება „კონსერვატიული რენესანსის“ ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად იქცეს. ამასთანავე, ორივე პარტია, სავარაუდოდ, შეეცდება მართვადი „მესამე ძალა“ შექმნას, რადგან ისინი დარწმუნდნენ, რომ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი „პირველსა“ და „მეორეს“ ვერ იტანს.

**დეკემბერი**, ალბათ, „არშემდგარი რევოლუციის“ თვედ უნდა გამოცხადდეს. სააკაშვილს აშკარად არ ეყო რესურსი იმისთვის, რომ ხელისუფლება „ქუჩიდან“ შეეცვალა ან თუნდაც ერთი ხალხმრავალი მიტინგი გაემართა, რაც ერთობ პარადოქსულია იმის გათვალისწინებით, რომ ვაშაძემ მეორე ტურში თითქმის 800 000 ხმა მიიღო. არჩევნებისგან განსხვავებით, ქუჩაში ნაციონალების შედეგი „ნული მთელი ნული მეათედია“. ზურაბიშვილის ინაუგურაციის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ქვეყანა საახალწლო პაუზის რეჟიმში გადავიდა.

2018 წელს საზოგადოებამ იგრძნო, რომ მისი და ხელისუფლების ურთიერთობა ძველებურად არ და ვერ გაგრძელდება. 2019 წლის დასაწყისში მთავარი გამოწვევა მისთვის სწორედ ურთიერთობის ახალი ფორმის მოძებნა გახდება. 2018-ში ქართულ პოლიტიკაში მოკვდა რაღაც ძველი, მაგრამ ახალი არ დაბადებულა. ყველა მიიჩნევს, რომ „ხვალიდან“ ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს, თუმცა არავინ იცის, როგორი იქნება ის.

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენთან აქამდე არ ყოფილა სწორი პოლიტიკის გატარების ნება. პრობლემა ჩვენვე გვაქვს, მაგრამ ხშირად გარე ძალებს ვაბრალებთ, ამიტომ აუცილებელია ნეოლიბერალური პოლიტიკის გამტარებლების ჩამოშორება ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროებიდან, განსაკუთრებით — ეკონომიკიდან“.**

# როგორ აფასებენ ექსპერტები პრემიერის მიერ წარმოდგენილ მთავრობის მუშაობის წლიურ ანგარიშს

**20 დეკემბერს პრემიერმინისტრმა მამუკა ბახტაძემ საზოგადოებას მთავრობის მუშაობის წლიური ანგარიში წარუდგინა. ის თავის სიტყვაში ყველა სფეროს შეეხო, ისაუბრა ნაკლოვანებებზე და მათი გამოსწორების გზებზე. მისი საუბრიდან ორ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს გამოვყოფთ: ეს არის ეკონომიკა და საგარეო პოლიტიკა. „თუ ჩვენ შევხედავთ ჩვენს ეკონომიკურ სტრუქტურას, ნათლად ჩანს, რაში გვაქვს ყველაზე დიდი ჩამორჩენა. სიღარიბის მთავარი წყარო გახდა ის ეკონომიკური მოდელი, რომლითაც ქვეყანა ცდილობდა, თავისი კონკურენტუნარიანობა განევითარებინა და ის არ აღმოჩნდა წარმატებული. რატომ? იმიტომ, რომ მასში ბევრი იყო არასამართლიანი თამაშის წესები. ეს იყო ერთ-ერთი პირველი, რისი ცვლილებაც ჩვენ დავიწყეთ. დიახ, ჩვენ გვჭირდება ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ორიენტირებული იქნება ისეთი ტიპის ეკონომიკურ ზრდაზე, რომელიც შეეხება საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, თითოეულ ქართულ ოჯახს“, — განმარტა პრემიერმა.**



## „ის, რასაც ჰქვია იაფი ფული, სტარტაპებისთვის უნდა გაიღოს სახელმწიფომ, სხვანაირად ეკონომიკა ფეხზე ვერ დადგება“

**დემურ გიორხელიძე, ეკონომიკის საკითხების ექსპერტი:**

— პრემიერმინისტრის მოხსენებას მოვუსმინე, მიწვეული ვიყავი. მისი გამოსვლა იყო ერთ-ერთი საუკეთესო, რაც ბოლო რამდენიმე წელიწადში მომისმენია, დადებითად განვეწყვე. მან ზუსტი აქცენტები დასვა. ამხილა ყალბ ლიბერალიზმზე აგებული მოდელი, რომელიც დარვინიზმს უწევდა კულტივირებას საქართველოში და რომლის მიხედვითაც ადამიანი დავიწყებული იყო. განვითარების გლობალური მიზნები სახელმწიფოსთვის დავიწყებული იყო და არაპროფესიულად ჩატარებული რეფორმის შედეგად ჩვენ მივიღეთ ძალიან მძიმე შედეგი — ეკონომიკა დანგრეულია, მიგრაცია უსაზღვროდ დიდია. გამბედაობა სჭირდებოდა პრემიერის მხრიდან იმის თქმას, რომ არსებული მოდელი შესაცვლელია. ყალბი იდეოლოგია, რომელიც, ამდენი წელიწადია, ინერგებოდა საქართველოში, მართლაც შესაცვლელია. ყველაფერი კანონის ფარგლებში უნდა მოექცეს, ბიზნესი თავისუფალი უნდა იყოს. მართალია, **პრემიერმინისტრს ბევრი რამ არ დაუკონკრეტებია, მაგრამ, რაც თქვა, საკმარისი იყო იმისთვის, ვიფიქროთ, რომ მან საქმე იცის.**

საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც ხალხის ნიჭსა და ინტელექტზეა დამოკიდებული, ძალიან კარგია, თუ მართლაც შეძლებენ, მთლიანი შიდა პროდუქტის ათი პროცენტი განათლების სფეროში გაუშვან.

**— პრემიერმა განაცხადა, რომ სიღარიბე 10 პროცენტით შემცირდა, მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია რიგითი მოქალაქისთვის, ასევე ძნელი დასაჯერებელია ის, რომ სოფლის მეურნეობაში ფული ჩაიდო და წინ მიდის საქმე, რადგან საქართველოში გლეხს ჯერ კიდევ ძალიან უჭირს...**

— მოდელი, რომელიც დაიწუნა პრემიერმა და რომელშიც, 28 წელიწადია, საქართველო ცხოვრობს, ცუდი იყო. ის არ ითვალისწინებდა ინოვაციებს. მოდელის შეცვლა ნიშნავს რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩაბმას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ამ ყველაფრის დაზუსტებული ფორმა არ არსებობს ამჟამად, მაგრამ შემიძლია წინასწარ გითხრათ — ფინანსები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სტარტაპებისთვის; მცირე და საშუალო ბიზნესი საერთოდ უნდა გათავისუფლდეს გადასახადებისგან. სახელმწიფო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესი ამოვარდნილია, მხოლოდ ვიწრო ჯგუფს აქვს ხელში ჩაგდებული ბიზნესი. აუცილებელია, ხელმისაწვდომი გახდეს ეს სფერო ყველასთვის და მჯერა, ეს მოხერხდება კიდეც. **ის, რასაც ჰქვია იაფი ფული, სტარტაპებისთვის უნდა გაიღოს სახელმწიფომ, სხვანაირად ეკონომიკა ფეხზე ვერ დადგება, სახელმწიფოც მეტ სარგებელს მიიღებს.**

მოდელის ცვლილება ნიშნავს სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებას, თანაც არა მხოლოდ ეკონომიკაში.

**— ბიზნესს გასაღების ბაზარიც სჭირდება, განსაკუთრებით მეწარმეობას, რაც ჩვენს ქვეყანას ძალიან უჭირს...**

— საქართველოს დიდი პერსპექტივა აქვს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაში, რომელზეც უზარმაზარი მოთხოვნაა მსოფლიოში. ჩვენ გვაქვს რესურსი, რომ მიმზიდველები ვიყოთ, განსაკუთრებით გადამამუშავებელ მრეწველობაში. **სახელმწიფო უნდა გადაერთოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე და მჯერა, ასეც იქნება.** სახელმწიფოში ყალბი იდეოლოგიის მქონე ადამიანები, რომლებიც პესტიციდების მომხრენი არიან და ლიბერალურ ეკონომიკაზე აკეთებენ აქცენტს, კერძო სექტორში გადავიდნენ. რაც ნაკლები იქნებიან ასეთი ადამიანები ბიზნესში, მით უკეთესი ჩვენთვის.

**— მოგვეცემა საშუალება, ვაწარმოოთ ჩვენი პროდუქცია და გავასაღოთ კიდეც?**

— ჩვენთან აქამდე არ ყოფილა სწორი პოლიტიკის გატარების ნება. პოლიტიკოსებს, რომლებიც აქამდე მოღვაწეობდნენ, სურვილიც არ ჰქონიათ რაიმეს შეცვლის. დღეს **ამ ხელისუფლებას უკანდასახევი გზა აღარ აქვს — ან საბოლოოდ დავიღუპებით და განუვითარებელი ქვეყნების რიგებს შევუერთდებით, ან ჯერ კიდევ არსებულ შანსს, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალოს, გამოიყენებენ.**

თუკი ცვლილებები, რომლებზეც საუბარია, განხორციელდება, რამდენიმე თვეში უნდა დაეტყოს ქვეყანას. თუმცა **ექვსი წლის დაგვიანებით, მაგრამ ხელისუფლება ალაპარაკდა შეცდომებზე და ეს არის მთავარი.**

პრობლემა ჩვენვე გვაქვს, მაგრამ ხშირად გარე ძალებს ვაბრალებთ, ამიტომ **აუცილებელია შევარდნაძის თაობის, შევარდნაძის ფრთის ქვეშ გამოზრდილი პოლიტიკოსების, ნეოლიბერალური პოლიტიკის გამტარებლების ჩამოშორება ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროებიდან, განსაკუთრებით — ეკონომიკიდან.**

პრემიერმა ბახტაძემ საგარეო პოლიტიკაზეც ისაუბრა, თუმცა ჩვენდა გასაკვირად, მან ყველაზე ნაკლები დრო ამ სფეროს დაუთმო: **„რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის კონგრესში მომზადდა დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი, ფაქტობრივად, ყველა გამოწვევა და არის ძალიან კონკრეტული მხარდაჭერის გზავნილები. სასიხარულო იყო ჩვენთვის, რომ მივიღეთ მხარდაჭერა იმ კონსულტაციებზე, რომლებიც თავისუფალი ვაჭრობის შემოღების თვალსაზრისით საქართველოსა და აშშ-ს შორის მიმდინარეობს. ვფიქრობ, 2019 წელი წარმატებული იქნება ამ თვალსაზრისითაც“,** — განმარტა ბახტაძემ.

საქმე ის არის, რომ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ ერთსულოვნად დაამტკიცა საქართველოს მხარდამჭერი კანონპროექტი — „საქართველოს მხარდამჭერი აქტი“. საქართველოში ეს აქტი ზოგიერთმა პოლიტიკოსმა „გეორგიევსკის ტრაქტატს“ შეადარა.



## „მხარდამჭერი აქტის“ შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები უფრო დაიძაბება, გაიზრდება აგრესია და ალბათობა ახალი პროვოკაციისა“

**საგარეო პოლიტიკაში მიღწეულ წარმატებებსა თუ წარუმატებლობაზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება:**

— უახლოეს რამდენიმე წელიწადს საქართველოს არ ექნება შანსი, გახდეს ნატოს წევრი, ამიტომ საგარეო პოლიტიკაში მიღწევებზე საუბარი ზედმეტია. უკვე ბევრი წელია, „მომსწრენი ვართ წარმატებებისა“ ნატოს სამიტებზე, ეს სირცხვილია. არადა, ყველა ხელისუფლება აქტივებში იწერს ნატოს სამიტებს.

**— არ დაგეთანხმებათ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი, რადგან რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა საქართველოს მხარდამჭერი კანონპროექტი — „საქართველოს მხარდამჭერი აქტი“, რომელიც საქართველოში გეორგიევსკის ტრაქტატის ტოლფასად შეფასდა...**

— გეორგიევსკის ტრაქტატმა სრულიად კავკასიაში შეცვალა პოლიტიკური ვითარება და საზღვრები. საქართველოს საზღვარი გაცილებით შორს იყო გადაწეული, ვიდრე დღეს გვაქვს. ამათი მხარდაჭერის წერილები და წარმატებული სამიტები 1991 წლის შემდეგ ბევრი გვაქვს, მაგრამ სიკეთე არ მოუტანია. **გეორგიევსკის ტრაქტატის შედარება ამერიკელების მიერ მიღებულ აქტთან, მსუბუქად რომ ვთქვათ, უცოდინარობაა.**

**ამ აღნიშნულ აქტზე მეტი იყო 2009 წელს კონდოლიზა რაისთან ხელმოწერილი სტრატეგიული პარტნიორობა, მაგრამ რა მივიღეთ? ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და სიკეთე არაფერი დაგვინახავს.**

**— გინდათ, თქვათ, რომ „საქართველოს მხარდამჭერი აქტის“ შემდეგ რუსეთი ჩვენკენ აგრესიულად რომ წამოვიდეს, ამერიკა არ დაგვეხმარება? მავთულხლართები რომ გადმოწიოს, ხელს არ შეუშლიან?**

— ჯერ ერთი, რუსეთს საზღვარი არ გადმოუწევია. ის აკეთებს იმას და მიჰყვება იმ საზღვრებს, რომელზეც თავის დროზე სააკაშვილმა მოაწერა ხელი, მათ არაფერი დაურღვევიათ. ისინი ნომინალურ საზღვარს ღობავენ, მართალია, დიდი შეცდომაა რუსეთის მხრიდან და აგრესიული პოლიტიკა, მაგრამ საზღვარს აქეთ არ წევენ.

**მიღებული „მხარდამჭერი აქტის“ შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები უფრო დაიძაბება, გაიზრდება აგრესია და ალბათობა ახალი პროვოკაციისა.**

საწყის ეტაპზე გეორგიევსკის ტრაქტატმაც არ გაამართლა, 15 წელიწადი დასჭირდა, რომ საქართველოს შვება ეგრძნო რეალურად. **კონდოლიზა რაისთან სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან ათი წელიწადი გავიდა და კიდევ ხუთი წელიწადი მოთმინებით დაველოდებით, მაგრამ არა მგონია, ამან შვება მოგვიტანოს.**

საქართველო, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებს, რაც ნატოსა და ევროკავშირს სჭირდება: იქნება ეს ბაზების გამოყენება, წვრთნების ჩატარება თუ სხვა რამ, თანაც ისე აკეთებს ამას, რომ მეორე მხარეს ვალდებულებები არ აქვს, ჩვენ მოსამსახურეები ვართ მათი სისტემის. **თუკი ნატო საქართველოს თავის რიგებში მიიღებს, გაუჩნდება გარკვეული ვალდებულებები, ამაზე კი, ისინი არ წამოვლენ, რადგან ისედაც მათი მონა-მორჩილები ვართ.**

**ჩვენმა პარტნიორებმა დასვეს საკითხი რუსეთის წინაშე, რომ მან გაათავისუფლოს ჩვენი ესა თუ ის ტერიტორია; მათ დაგმეს რუსეთის საქციელი და მოუწოდეს, აიღოს მავთულხლართები, მაგრამ რუსეთმა მათი მითითებები შეასრულა? ერთი ყანა მაინც დაგვითმო? რუსეთი დათმობს მაშინ, თუკი ჩვენ ურთიერთობები გვექნება მათთან, თუკი ბერკეტები გვექნება ზუსტად ისეთი, როგორიც სომხებსა და აზერბაიჯანელებს აქვთ.** ჩვენ გარდა, ასეთი ურთიერთობები ყველას აქვს რუსეთთან. საქართველო კი გამუდმებით იმ მხარეს იყურება, საიდანაც სარგებელი არაფერია. ეს სამომავლო პერსპექტივებს გვისპობს.

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისა და პირადად ბიძინა ივანიშვილის უდიდესი მიღწევა არის ის, რომ რუსეთის პრეზიდენტმა თავისი კეთილი ნებით ჩვენებს საზღვარი გაუხსნა, რათა პროდუქტები შეეტანათ ბაზარზე, ვიზების რეჟიმი შერბილდა, რითაც ქვეყნის ეკონომიკა გაუმჯობესდა. ეს ყველაფერი კი ისე მოხდა, რომ საქართველო დათმობაზე არ წასულა, ისევ ისეთივე ანტირუსული პოლიტიკა მიმდინარეობს, უბრალოდ, რუსეთი იმითაც კმაყოფილია, რომ ესენი სააკაშვილივით არაპროგნოზირებულები არ არიან.

**რუსეთი ითმენს, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელდება, აუცილებლად დაგროვდება ნეგატიური მუხტი და საქართველოს ძალიან ცუდად შემოუბრუნდება, ამიტომ „აქტებს“, „პაქტებს“, „ხელშეკრულებებს“ თავი უნდა დაანებონ და რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაზე იზრუნონ.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«საქართველო ყველაფერს აკეთებს, რაც ნატოსა და ევროკავშირს სჭირდება: იქნება ეს ბაზების გამოყენება, წვრთნების ჩატარება თუ სხვა რამ, თანაც ისე აკეთებს ამას, რომ მეორე მხარეს ვალდებულებები არ აქვს, ჩვენ მოსამსახურეები ვართ მათი სისტემის»**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**უგულავას რეგვნობის პიკი იყო ფრაზა: „როგორ შეიძლება, დამნაშავე ყაჩაღი და პოლიტიკური ლიდერი ერთი და იმავე მუხლით გასამართლდეს?“ ანუ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლის აზრით, ყაჩაღისა და პოლიტიკური ლიდერისთვის ცალ-ცალკე კანონები უნდა ამოქმედდეს და ერთი და იმავე ქმედებისთვის ისინი სხვადასხვანაირად უნდა დაისაჯონ. კანონი ყველასთვის ერთი რომ არის და კანონის წინაშე რომ ყველა თანაბარია, პატივცემულ „ფილოსოფოს მერს“, ალბათ, არ სმენია. თუმცა, რა უნდა ვილაპარაკოთ იმ ხელისუფლებაზე, რომლის ყოფილი გენერალური პროკურორის მოადგილე აცხადებს: „არ ვიცოდი, მოსამართლეები პროკურატურას რომ არ უნდა ემორჩილებოდნენო“.**

# ცუდი კორკოტა, კარგი კირკიტა და პოლიციის ფორმიანი «არაპოლიციელები»

**დაახლოებით ასეთი სურათი შეიძლება დავხატოთ, თუკი გასულ კვირაში ნაცების, მათი მხარდამჭერებისა და მათივე „გამპრავებელი“ ჟურნალისტების ნათქვამ-ნააზრევებს შევაჯერებთ. გამოდის, რომ გია კორკოტაშვილი (კორკოტა) იმისთვის არის ძალიან „ცუდი ბიჭი“, რისთვისაც დათო კირკიტაძე (კირკიტა) ძალიან „კარგი ბიჭია“, ხოლო ჟურნალისტების ორმაგ სტანდარტებს ისევ და ისევ არ აქვს ზომა, წონა და ფორმა. ნაცების მიერ აშკარად მოთაფლული (ფულით?) ჟურნალისტები ყოველთვის „გააპრავებენ“ კირკიტას იმავე საქციელს, რომელი საქციელისთვისაც კორკოტას „ძელზე“ გასვამენ და საქვეყნოდ „გაატელევიზორებენ“.**

ასეთ სურათს, დიდი ხანია, მივეჩვიეთ, მაგრამ მაინც გვინდა, ხაზი გავუსვათ წინა კვირაში ნაცებისგან კიდევ ერთი დემაგოგიური „ტრენდის“ დამკვიდრების მცდელობას, რომელსაც, მხოლოდ ჟურნალისტები კი არა, ამჯერად უკვე იურისტები და ასე განსაჯეთ, სასულიერო პირებიც კი აჰყვნენ.

თუმცა, ჯერ მინდა, ნაცების მიერ მოსყიდულ კიდევ ერთ მიმართულებაზე — იუმორზე შევაჩერო თქვენი ყურადღება. კერძოდ, სოციალურ ქსელში გავრცელდა „რუსთავი 2“-ის ყოვლად უნიჭო გადაცემა „კომედი შოუს“ ვითომ „იუმორისტული“ სკეტჩი, რომლის სიუჟეტი ასეთია: „საცოდავ“ **გიორგი გაბუნიას** „ქართველმა ინკვიზიტორებმა“ მიუსაჯეს კოცონზე დაწვა „სიმართლისა და შეუპოვრობისთვის“. მთავარი ინკვიზიტორის როლში კორკოტაა გამოყვანილი, ხოლო სხვა სკეტჩში „ძერჟინსკის“ თუ ვილაც დაუნდობელი „ბოლშევიკის“ როლში **ირმა ინაშვილი** უნდა ამოვიცნოთ, ამ სკეტჩების უნიჭო დამდგმელების ჩანაფიქრით.

კი, ბატონო, მდარე და უხარისხო იუმორი შეიძლება ეპატიოს კიდეც ვინმეს, მაგრამ სხვა თემაა, როცა საქმე გვაქვს არა მხოლოდ უხარისხო, არამეს ცალმხრივ, უსამართლო და ტუტუცურ „პოლიტიკურ იუმორთან“. **მართლაც საცოდაობაა, როდესაც „ქართულ ინკვიზიციაზე“ „ღლიცინებენ“ იმ ტელევიზიის „იუმორისტები“, რომელთა გენერალური დირექტორი პირდაპირი ეთერიდან დედის გინებით მიმართავს მისთვის არასასურველ პერსონებს, აკეთებს მართლაც ინკვიზიციის „მამის“, ტომაზო ტორკვემადას, შესაფერ განცხადებებს და საჯაროდ ემუქრება ადამიანებს „კოჭების დახვრეტით“!**

როდესაც ასეთ ტელევიზიაში მუშაობ „იუმორისტად“ და შენი „იუმორის“ თემა ძალადობა, სიძულვილის ენა და მუქარაა, მართლაც სასაცილოა, როდესაც „ინკვიზიტორად“ კორკოტას წარმოიჩენ, „ძერჟინსკად“ — ირმა ინაშვილს, ხოლო საკუთარი უზრდელი, ხეპრე და მართლა მოძალადე „უმფროსი“ გავიწყდება...

კაი, უფროსს თავი დავანებოთ, შეიძლება ვერ უბედავ შაყირს, მაგრამ ასევე „გავიწყდება“ ავტობუსზე ჩამოკონწიალებული კირკიტა. არადა, **წარმომიდგენია, იმავე ავტობუსს სინამდვილეში, კირკიტა კი არა, კორკოტა რომ ჩამოკონწიალებოდა, რამდენს იშაყირებდნენ პატივცემული „მიუკერძოებელი იუმორისტები“.**

მაგრამ, როგორც სტატიის დასაწყისში ვთქვით, იუმორისტებს რაღა უნდა ელაპარაკო, როდესაც იურისტები და სასულიერო პირებიც კი პირდაპირ დანაშაულებრივი აზრის დამკვიდრებას ცდილობენ საზოგადოებაში. დავით კირკიტაძის ადვოკატმა, ვინმე **კონდახაშვილმა** პირველმა განაცხადა ტელეეთერში: კირკიტაძის მიერ პოლიციელზე თავდასხმა სულაც არ არის დანაშაული, იმიტომ, რომ ავტობუსს პოლიციის ამოსაცნობი ნიშნები არ ჰქონდა, თვითონ პოლიცია კი არაკანონიერ მოთხოვნებს უყენებდა აქციის მონაწილეებს, ამიტომ კირკიტაძის ქმედება სრულიად ჯდებოდა კონსტიტუციის ფარგლებში და მის ქმედებაში უკანონო არაფერი ყოფილაო.

ვინმემ შეიძლება თქვას, კონდახაშვილი კირკიტაძის ადვოკატია და მისი დაცვის უფლება აქვს, ამიტომ მისი ნათქვამის მოტივი გასაგებიაო. ასე მარტივადაც არ არის საქმე. ადვოკატმა კლიენტი შეიძლება დაიცვას სხვადასხვა ფორმით — სცადოს მისი დასაცავის უდანაშაულობის დამტკიცება ან მოითხოვოს მისთვის სასჯელის შემსუბუქება, ან განაცხადოს, რომ სამხილებია არასაკმარისი და ა. შ. **კონდახაშვილი კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში საადვოკატო ნოუ-ჰაუს გვთავაზობს და გვეუბნება, რომ განა მის დაცვის ქვეშ მყოფს არ ჩაუდენია ეს ქმედება ან მის წინააღმდეგ არსებული სამხილი არ არის საკმარისი ქმედების დასამტკიცებლად, არამედ მის მიერ ჩადენილი ქმედება თურმე სრულიად კანონიერია.** ანუ, მისმა კლიენტმა კი ჩაიდინა ეს ქმედება სინამდვილეში, მაგრამ თურმე ასეთი ქმედება საზოგადოებისთვის მისაღები უნდა იყოს და ის სრულიად ჯდება კონსტიტუციის ფარგლებში. გამოდის, რომ საზოგადოების სხვა წევრებსაც შეუძლიათ იგივე ქმედება გაიმეორონ და მათ ამის გამო სასჯელი არ ეკუთვნის. ვიმეორებ და ხაზს ვუსვამ: **ადვოკატი აცხადებს, რომ მის კლიენტს განა არ დაურტყია წიხლები პოლიციელისთვის ან მისი ამ ქმედების დამტკიცება შეუძლებელია, არა! მან, რა თქმა უნდა, ურტყა წიხლები პოლიციელს, ოღონდ სრულიად „კანონიერად“. ანუ გამოდის, არსებობს გარკვეული სიტუაციები, როდესაც პოლიციელისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება დასაშვები და კანონიერია.**

კირკიტას ადვოკატის მიერ პირველად გახმაურებულ ამ დანაშაულებრივ „ტრენდს“ უმალ შეუერთდნენ ნაციონალების ლიდერები — **გიგა ბოკერია, თინა ბოკუჩავა, გიგი უგულავა** და სხვები. იგივე სიტყვები გაიმეორა „წლის ნაციონალმა“ გრიგოლ ვაშაძემ. ყველაზე აქტიური კი იყო ნაცების ფავორიტი პოლიციელი (იურისტი!) ქალი **ხატია დეკანოიძე,** რომელმაც პირდაპირ იურიდიული მარგალიტები დაგვაყარა თავზე და კირკიტაძე, კანონის დამრღვევად კი არა, კანონის უზენაესობის დამცველად გამოაცხადა ლამის.



**მართლაც საცოდაობაა, როდესაც «ქართულ ინკვიზიციაზე» «ღლიცინებენ» იმ ტელევიზიის «იუმორისტები», რომელთა გენერალური დირექტორი პირდაპირი ეთერიდან დედის გინებით მიმართავს მისთვის არასასურველ პერსონებს, აკეთებს მართლაც ინკვიზიციის «მამის», ტომაზო ტორკვემადას, შესაფერ განცხადებებს და საჯაროდ ემუქრება ადამიანებს «კოჭების დახვრეტით»**

აუცილებლად უნდა შევჩერდეთ იმ თემაზე, თუ რატომ არის ყოველივე ეს არა, უბრალოდ, არასწორი განცხადებები, არამედ სწორედაც დანაშაულებრივი, მავნებლური მოწოდებები და შეიძლება სულ სხვა ჩანაფიქრს ემსახურებოდეს. აკი, ვთქვით, რომ ნაცების ლიდერები და მათი „იურისტები“ არათუ პიროვნებას, ანუ დავით კირკიტაძეს, არამედ მის მიერ ჩადენილ ქმედებას ამართლებენ და „აპრავებენ“. გამოდის, ისინი საზოგადოების დანარჩენ წევრებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, უქმნიან წარმოდგენას, რომ არსებობს გარკვეული სიტუაციები, როდესაც პოლიციელზე თავდასხმა მისაღები და, ხაზს ვუსვამ, კანონიერია.

ანუ, თუკი ჩვენ სადმე მივდივართ და შემოგვხვდა პოლიციელი და გვეუბნება, რომ იქით წასვლა არ შეიძლება, ჩვენ ამ დროს კი არ ვაფიქსირებთ ამ ფაქტს და შემდეგ კი არ მივმართავთ სასამართლოს, რათა გავარკვიოთ პოლიციელის ქმედება იყო თუ არა კანონიერი და პასუხი მოვთხოვოთ მას სამართლებრივად, არა! ჩვენ იქვე, სპონტანურად, თავადვე ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ ეს პოლიციელი უკანონოდ გვაჩერებს, და თავ-პირს ვალეწავთ მას.

გიგი უგულავა უფრო შორსაც მიდის: **„ჯერ ერთი, ის პოლიციელი უკანონოდ უზღუდავდა გადაადგილების თავისუფლებას დავით კირკიტაძეს და მეორეც, საიდან უნდა სცოდნოდა კირკიტაძეს, რომ ის ნამდვილად პოლიციელია?“** — ასეთი კითხვა დასვა უგულავამ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ჟურნალისტ **თეონა გეგელიასთან** საუბრისას. ჟურნალისტის პასუხი, რა თქმა უნდა, იყო ის, რომ იმ პოლიციელს, რომელსაც კირკიტამ ტყუპი წიხლი უთავაზა, სრული ამუნიცია ეცვა და თავზე ქუდიც კი ეხურა! აი, აქ დაამყარა „ევროპელმა“ უგულავამ, მსოფლიოს არც ერთ ყველაზე ევროპულ ქვეყნანაშიც კი არავის არასოდეს რომ არ სმენიათ, ისეთ რეკორდი: **„კი, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, მაინც არ ყოფილიყო პოლიციელი? თქვენ თუ ვინმე უკანონოდ გთხოვთ რამეს, მაგალითად, სახლში გივარდებათ და აცვია პოლიციის ფორმა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ის მართლა პოლიციელია? ხომ შეიძლება მან, უბრალოდ, ჩაიცვა ეს ფორმა და ახორციელებს უკანონო ქმედებას?“** — ასე „ჩაჭრა“ ჟურნალისტი გიგი უგულავამ და კირკიტას საქციელი „კონსტიტუციურ ჩარჩოებში“ ძალიან „მოხერხებულად“ ჩასვა.

გამოდის, პოლიციელზე თავდასხმა მაშინაც კი არის დასაშვები და კანონიერი, როდესაც პოლიციელს აცვია ფორმა, რადგან ჩვენ გვაქვს „კონსტიტუციური უფლება“, ვიფიქროთ: იქნებ ეს ფორმაში ჩაცმული პოლიციელი სინამდვილეში „არაპოლიციელია“?

საინტერესოა, უგულავასა და სხვა ნაცების აზრით, რომელ შემთხვევაში არ შეიძლება პოლიციელზე თავდასხმა. ალბათ, მაშინ, თუკი პოლიციელს მკერდზე აქვს ამოსვირინგებული სიტყვა „პოლიცია“?

უგულავას რეგვნობის პიკი იყო ფრაზა: **„როგორ შეიძლება, დამნაშავე ყაჩაღი და პოლიტიკური ლიდერი ერთი და იმავე მუხლით გასამართლდნენ?“** ანუ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლის აზრით, ყაჩაღისა და პოლიტიკური ლიდერისთვის ცალ-ცალკე კანონები უნდა ამოქმედდეს და ერთი და იმავე ქმედებისთვის ისინი სხვადასხვანაირად უნდა დაისაჯონ. **კანონი ყველასთვის ერთი რომ არის და კანონის წინაშე რომ ყველა თანაბარია, პატივცემულ „ფილოსოფოს მერს“, ალბათ, არ სმენია. თუმცა რა უნდა ვილაპარაკოთ იმ ხელისუფლებაზე, რომლის ყოფილი გენერალური პროკურორის მოადგილე აცხადებს: „არ ვიცოდი, მოსამართლეები პროკურატურას რომ არ უნდა ემორჩილებოდნენო“, ხოლო ამავე ხელისუფლების ყოფილი პრეზიდენტი ამბობს: ახლა ვხვდები, რომ ბიზნესმენებისთვის ქონება და სახლები უკანონოდ და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე არ უნდა წამერთმიაო.** აქ კომენტარი, რაღა თქმა უნდა, ზედმეტია! ფაქტია: ეს ადამიანები პირდაპირ აქეზებენ ტელემაყურებელს, ანუ საქართველოს მოქალაქეებს, რომ პოლიციას არ დაემორჩილონ, თავადვე გადაწყვიტონ — პოლიციის მოქმედება კანონიერია თუ უკანონო და, თუ მიიჩნევენ, რომ პოლიცია მათ უკანონოდ სთხოვს რამეს, იქვე შედგნენ წიხლებით.

მიზანი გასაგებია — თუკი მოქალაქეები მართლა გამოშტერდნენ და აჰყვნენ ამ დანაშაულებრივ „ტრენდს“, ეს ქვეყანაში მასობრივ არეულობებს გამოიწვევს, რაც აძლევს კიდეც ხელს „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მიშა სააკაშვილისგან მართულ სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს.

ეგ კი არა, მგონი, მათ ეკლესიაშიც აქვთ საცეცები და იქიდანაც ავრცელებენ ამ დანაშაულებრივ პროპაგანდას. მაგალითად, სოციალურ ქსელში „მამა იოანეს“ სახელით გავრცელდა ზუსტად იგივე აზრი, რომ „პოლიცია ამ შემთხვევაში კანონს არღვევდა და ამიტომ კირკიტაძის მოქმედება სრულიად მისაღები და კანონიერი იყო. ამავე „მამაოს“ გვერდზე შეგიძლიათ ნახოთ ასეთი პოსტი: „სალომე ზურაბიშვილისთვის ხმის მიმცემებს ღვთის გეშინოდეთ! თქვენ სამშობლოს ღალატში გაისვარეთ ხელი!“

ასეთი ფრაზის ავტორს რამდენად შეიძლება ანდონ ტაძარი, რთული სათქმელია. სიტყვა „მამაო“ კი ბრჭყალებში სწორედ იმიტომ ჩავსვი, რომ ვიმედოვნებ, ეს მორიგი „ინტერნეტ-ფეიკია“ და სინამდვილეში ამ გვერდის მეპატრონე ოფიციალურად მღვდელი, დიაკვანი ან რომელიმე სხვა რანგის სასულიერო პირი არ არის.

თუ არადა, მაშინ მართლაც ყოფილა ჩასატარებელი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მაგვარი რამ ჩვენს ქვეყანაში, თუმცა მის ჩატარებას, ალბათ, ისევ აღმაშენებელი სჭირდება. ჩვენში კი, თუ ვინმე ჩანს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე და მყარად აქვს ფეხი მოკიდებული, აღმაშენებელი კი არა, ჯერჯერობით ყველა მხოლოდ ქვეყნის დამაქცევარია.

**კვლევაში ერთ-ერთი რეკომენდაცია სახელმწიფოს მხრიდან მესამე სექტორისთვის უფრო მეტი მექანიზმების მიცემას ეხება. ქვეყანაში მოქმედ უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ოჯახის კონტროლის სამართლებრივი მანდატი, რათა მშობელსა და შვილს შორის კონფლიქტის შემთხვევაში „ურჩი“ მამის ან დედის მიმართ „შესაბამისი“ სამართლებრივი რეაგირება უფრო ეფექტიანად შეძლონ.**

ლიბერალიზმის შემოტევა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «იუნისეფი» შეშფოთებულია: თურმე საქართველო და ქართველი ხალხი თავისი კულტურით ძალადობრივ გარემოს ქმნის ბავშვებისთვის

## რა რეკომენდაციებს აძლევს გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოს ხელისუფლებას

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოში მოქმედმა ერთ-ერთმა გავლენიანმა და მძიმეწონიანმა საერთაშორისო ორგანიზაცია UNICEF-მა, რომელიც მსოფლიოში, სადაც კი ხელი მიუწვდება და ცხვირის შეყოფის საშუალებას აძლევენ, ცნობილია, როგორც ბავშვთა უფლებების დაცვის სახელით მომუშავე ბავშვთა უფლებების დამრღვევი და დამთრგუნველი ორგანიზაცია, დასავლეთის ყურმოჭრილ „მეოცნებე“ ხელისუფლებას მოზარდების უფლებრივ (და არა მხოლოდ უფლებრივ) მდგომარეობაზე ვრცელი კვლევა დაუდო.**






საერთაშორისო ორგანიზაცია UNICEF-ის „ანგარიშში“, რომელზეც აღნიშნული ორგანიზაციის ადგილობრივი ქორები, როგორც ჩანს, დიდხანს მუშაობდნენ, ჩვეული ლიბერალური წიოკითა და დუჟისნთხევით შეშფოთებაა გამოთქმული იმის გამო, რომ თურმე საქართველო და ქართველი ხალხი თავისი კულტურით ძალადობრივ გარემოს ქმნის ბავშვებისთვის. მარტივად რომ ვთქვათ, „კვლევა“ მიმართულია იმის დემონსტრირებისკენ, რომ ტრადიციული ქართული ოჯახი (განსაკუთრებით, სადაც უფროსი მამაკაცია) ბავშვებს თავიდანვე ძალადობრივად ზრდის; რომ ამას უამრავ ფაქტორთან ერთად რელიგიაც განაპირობებს და, ჯამში, ეს ყველაფერი მოზარდს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უფლებას ართმევს. აი, რას ვკითხულობთ ამ „კვლევაში“, რომლის დამკვეთ-შემსრულებელი, რა თქმა უნდა, დასავლეთის გლობალისტური ისტებლიშმენტი და მისი შავრაზმელი „ლიბერალ-ჩეკისტები“ არიან: **„აღმოჩნდა, რომ მშობლები უფრო მკაცრად სჯიან ბიჭებს, მაგრამ ისინი ასევე იჩენენ სიმკაცრეს გოგონების მიმართ — მათ უფრო ნაკლებ ავტონომიასა და თავისუფლებას ანიჭებენ. ეს განსაკუთრებით იჩენს თავს მოზარდების რომანტიკული და სექსუალური ურთიერთობების სფეროში. მოზარდ ბიჭებს მშობლები ხშირად ახალისებენ, რომ თავიანთი „მამაკაცობა“ გამოავლინონ და მაშინაც ნაკლებად ისჯებიან, თუ გოგონას დააორსულებენ. გოგონები კი ხშირად ისჯებიან სექსუალური ურთიერთობის ან დაფეხმძიმების შემთხვევაში...“**

ყველასათვის გასაგებ ენაზე ეს ნიშნავს, რომ **ე.წ. სექსუალური თავისუფლება, რომლისთვისაც სოროსის გრანტნაწოვი გაურკვეველი სქესისა და წარმომავლობის ფემინისტები, უკვე დიდი ხანია, ქუჩაში „ფუჩუს“ ყვირილით ლოყებს იკაწრავენ, მაგრამ მათ დაკმაყოფილებას არ დაადგა საშველი, უწინარესად გოგონებს უნდა მიეცეთ.** მეტიც, ეს კვლევა ერთგვარი ლიბერალური ისტერიკითა და თითის ქნევით გვეუბნება, რომ თითოეულმა გოგონამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ვისთან, როდის და რამდენჯერ ექნება ურთიერთობა, ხოლო მშობელი, თუ მას იუვენალურ კანონმდებლობასთან კონფლიქტი არ სურს და არ უნდა, საბრალდებო სკამზე მოძალადის სტატუსით აღმოჩნდეს, ამ ყველაფერს გაგებით უნდა მოეკიდოს. ეს არ არის ერთადერთი „ლიბერასტული“ „ჭეშმარიტება“, რომელიც კვლევაში ერთგვარ თეზისადაა წარმოდგენილი: **„იმისათვის, რათა თავი დამოუკიდებლად იგრძნონ, მოზარდებს უნდა მიეცეთ თავისუფლება და ავტონომია, მათ უნდა გამოიმუშაონ გადაწყვეტილების მიღების უნარი მაშინაც კი, თუ ეს ხშირად შეცდომების დაშვებასაც გულისხმობს...“** იქვე ვკითხულობთ: **„მოზარდობის პერიოდი, შესაძლოა, მოიცავდეს ცხოვრების სტილის შეცვლას, მათ შორის, უფრო ხშირად გასვლას გარეთ, ურთიერთობების ძიებას ოჯახის გარეთ... ახალი სარისკო გატაცებების ათვისებას, გარეგნული სტილის შეცვლას, სიგარეტის მოწევას, ალკოჰოლის მიღებას, გვიანობამდე გარეთ დარჩენას და ა.შ.“**

მოკლედ, **აღნიშნული კვლევის „ლიბერასტული“ ლოგიკით, ბავშვი შეიძლება ალკოჰოლს, ნიკოტინს, ნარკოტიკსა და სხვა მსგავს უბედურებას მიეძალოს, გარეთ აღამებდეს და ათენებდეს, სექსუალურ პარტნიორებს ხელთათმანებივით იცვლიდეს, ტანზე სვირინგებს იკეთებდეს და დღითიდღე ხელიდან მიდიოდეს, მაგრამ მშობელი ამას იმ შეგნებით უნდა მოეკიდოს, რომ ეს ყველაფერი შვილის, როგორც ინდივიდის, უფლებაა და თავისუფლება, და ამიტომ მშვიდად უნდა შეხვდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი მცდელობა, რომ გზასაცდენილი შვილი ადამიანური ცხოვრების ნორმალურ რიტმს დაუბრუნონ, შეფასებული იქნება, როგორც „აღზრდის ავტორიტარული სტილი“ (კვლევაში ზუსტად ეს სიტყვები წერია) და „თავისუფლების“ მაძიებელ მოზარდზე „მოძალადე“ მამა თუ დედა ან ორივე ერთად, კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება.**

დასჯის ხსენებაზე აქ ახლა, ალბათ, ბევრმა იფიქრა, რომ სამართლებრივ პასუხისგებაში მშობლის მიცემა რამე განსაკუთრებულ შემთხვევაში, ვთქვათ, შვილის მიმართ ფსიქოლოგიური ზემოქმედების ან ცემის ფაქტზე მოხდება. ცხადია, ეს ასე არ არის. **დასჯის საფუძველი სულ უმნიშვნელო ქმედებაც კი შეიძლება გახდეს, მაგალითად, მამის ან დედის მხრიდან შენიშვნის მიცემა არასრულწლოვანი შვილისთვის, რომელიც სახლში გვიან ღამით მთვრალი დაბრუნდება. მშობელი ასევე გაგებით უნდა მოეკიდოს მის რომანებს, სექსუალურ ურთიერთობებს, ორგიებს, გოგონას შემთხვევაში — დაფეხმძიმებას...** მეტიც, მან თვითონვე უნდა მიაწოდოს ბავშვს ინფორმაცია რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, უსაფრთხო სექსზე და ა.შ. თუმცა კვლევაში ერთვარი წუხილი და შესფოთებაა გამოთქმული იმის გამო, რომ გამოკითხული მშობლების მხოლოდ მცირე ნაწილი თვლის ამას საჭიროდ: **„მოზარდების აღზრდა იშვიათად თუ მოიაზრებს მათთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლების მიწოდებას. ცოტა მშობელი თუ გამოთქვამს მზაობას და უნარს, მისცეს შვილს საშუალება, რომ ის დამოუკიდებელ, სექსუალურად აქტიურ ზრდასრულად ჩამოყალიბდეს და ხელი შეუწყოს მას სექსუალური იდენტობის ჩამოყალიბებაში, ესაუბროს და რჩევები მისცეს შვილს სექსზე, ფიზიკურ ცვლილებებზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე...“**

კვლევაში ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მშობლები (ამ შემთხვევაში მამები) არატოლერანტულად არიან განწყობილნი გოგონების სექსუალური თავისუფლების მიმართ: **„აღსანიშნავია, რომ მამები არ ავლენენ ტოლერანტულ დამოკიდებულებას გოგონა შვილების მიმართ, ქორწინებამდე დაამყარონ სქესობრივი ან ინტიმური ურთიერთობები...“** დასკვნის თანახმად, მიზეზი ამ ყველაფრის თურმე არის ის, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა ძველი, პატრიარქალური „მავნე“ ტრადიციებიდან, რომლებიც უპირატესობას მამაკაცს ანიჭებს, ქალს კი შეზღუდვებს უწესებს, მათ შორის, სექსუალური თავისუფლების თვალსაზრისითაც.

მოკლედ, **კვლევამ ვრცელი სამოქმედო გეგმა დაუსახა საქართველოში მოქმედ აგრესიულ „ულტრალიბერალებს“, რომელთა არსებობის მთავარი არსიც სხვა არაფერია, თუ არა გამუდმებით ქილიკი და ღლიცინი „ქართველობის დაკარგვაზე“; ხელისუფლების სათავეში მოკალათებულ რენეგატებს კი მწარედ უსაყვედურა, რომ, დასავლეთისკენ განუხრელი მრავალწლიანი სწრაფვის მიუხედავად, ქართული ეროვნული თვითმყოფადობის ჩანაცვლება „ლიბერალური“ ფასეულობებით ვერა და ვერ ხერხდება.**

რაც შეეხება რეკომენდაციებს, კვლევა ექვს რეკომენდაციას იძლევა და თითოეულში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ძალისხმევის გაძლიერება, როგორც მშობლების, ისე შვილების ცნობიერების „ასამაღლებლად“. იქვე საუბარია პრევენციის მიზნით დასჯის უფრო ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებაზეც, რათა მოქალაქემ იცოდეს, რა სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს მის მიერ ამა თუ იმ „ნორმის“ უგულებელყოფა: **„აღზრდის მეთოდი, რომელიც კარგად მუშაობდა წინა თაობაში, შეიძლება, აღარ იყოს ეფექტიანი და ლეგალური. მშობლებსა და მომვლელებს ესაჭიროებათ ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, არა მარტო დაიცვან და გააძლიერონ თაობათაშორისი ურთიერთობა, არამედ მოამზადონ ახალგაზრდა მოზარდობისთვის სწრაფად ცვალებად გარემოში**“.

საინტერესოა ისიც, რომ კვლევაში ერთ-ერთი რეკომენდაცია სახელმწიფოს მხრიდან მესამე სექტორისთვის უფრო მეტი მექანიზმების მიცემას ეხება. **ქვეყანაში მოქმედ უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ოჯახის კონტროლის სამართლებრივი მანდატი, რათა მშობელსა და შვილს შორის კონფლიქტის შემთხვევაში „ურჩი“ მამის ან დედის მიმართ „შესაბამისი“ სამართლებრივი რეაგირება უფრო ეფექტიანად შეძლონ.**

მეგობრებო, ცხადია, ამგვარ სახელმწიფოში, ადრე თუ გვიან, მართლა დადგება ის დრო, როცა 13-14 წლის გოგო-ბიჭები მამის თვალწინ სიგარეტს გააბოლებენ და ალკოჰოლით გალეშილები სახლში სექსუალურ პარტნიორებს მიიყვანენ, მაგრამ გულგახეთქილ მშობელს პირში წყლის ჩაგუბება მოუწევს, რადგან ფუჩუ-ფემინისტი „ლიბერალები“ მაშინვე კნავილს დაიწყებენ, — ქალთა უფლებები ირღვევაო. მერე ამას მოჰყვება კიდევ უფრო მკაცრი და ტოტალური იუვენალური კონტროლი, რათა შვილის აღზრდის ბუნებრივი პრივილეგია მშობელს საბოლოოდ ჩამოართვან და მის ნაცვლად უცხოეთიდან დაფინანსებულ მეხუთე კოლონას გადააბარონ (არაფერს ვამბობ იმაზე, რომ უამრავი მშობელი, რომლებმაც შეიძლება ვერ მოითმინონ და აუმხედრდნენ ამ გარყვნილების ტერორს, მრავალი წლით ციხეში აღმოჩნდებიან; არაფერს ვამბობ იმაზე, რომ უამრავ ოჯახში შეაღებენ კარს ბავშვის წასართმევად მისული „ფემინო-ტერორისტები“, რომლებსაც სახელმწიფოსგან სოცმუშაკის სტატუსი ექნებათ მინიჭებული). ახლა ბევრი, ალბათ, იტყვის, ეს საქართველოა და რა კატეგორიული მოთხოვნებიც უნდა იყოს დასავლეთიდან, ხელისუფლება მის შესრულებას ვერ გაბედავსო. ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ ფაქტია — ხელისუფლებამ ეს უკვე გაბედა, კვლევის გამოქვეყნებიდან სულ რაღაც ერთი კვირის თავზე პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ორგანიზებით ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმის მონიტორინგის უწყებათაშირისი საბჭოს სხდომა გაიმართა. სხვათა შორის, ამ სხდომას კომიტეტის თავმჯდომარე **ეკა ბესელიასთან** ერთად UNICEF-ის ხელმძღვანელი საქართველოში — **ღასან ხალილი** უძღვებოდა. მოკლედ, რაზე იმსჯელეს და იბაასეს ამ შეკრებაზე მონაწილეებმა, თავისთავად ცხადია. რა თქმა უნდა, რეფორმებზე ახალგაზრდების „ცნობიერების ასამაღლებლად“, „შემწყნარებლობის“ დასამკვიდრებლად, „თავისუფლების“, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების, „განსხვავებულისადმი“ პატივისცემისა და მიმღებლობის დასანერგავად, თუმცა ეს მაინც მედიისთვის ღია შეხვედრა იყო და მასში რეფორმების ყველა დეტალზე საუბარი არ ყოფილა. არადა, ძნელი მისახვედრი არ არის, რა ვერაგულ გეგმასა და მზაკვრობას შეიძლება უნასკვავდეს ხელისუფლება საკუთარ ხალხს, რომელიც ქართული ეროვნული ცნობიერების ძალადობად გამომცხადებ UNICES-ს ფეხქვეშ ეგება და მის ხელმძღვანელ ვინმე **ღასან ხალილს** ფინია ძაღლივით თვალებში შესციცინებს. ისე, რაოდენ პასიურიც უნდა იყოს მოცემულ მომენტში სრულ პოლიტიკურ და არა მხოლოდ პოლიტიკურ ნიჰილიზმში ჩავარდნილი ჩვენი საზოგადოება, ხელისუფლებას ერთი რამ არ უნდა დაავიწყდეს: **2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სასიკვდილოდ განწირული „ოცნება“ ნაცხროვასთან სამარცხვინო მარცხისგან სწორედ ქართველმა ხალხმა იხსნა, მაგრამ, როგორც კი ქართველი ხალხი საბოლოოდ დარწმუნდება (და, ალბათ, უკვე დარწმუნდა კიდეც), რომ ეს „ოცნება“ მტრის დაკრულზე მობუქნავე ოცდაათ გრანტზე გაყიდული იუდების თავშესაყარია, შემდეგ არჩევნებზე ერთსაც და მეორესაც — „ქოცებსაც“ და „ნაცებსაც“ სანაგვეში მოისვრის...**

ჯაბა ჟვანია

პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაძლიერდა გლობალიზაციის საწინააღმდეგო პროცესები, თეთრი სახლის ინტერესმა მთელი რიგი საკითხების მიმართ იკლო და არაერთმა ექსპერტმა მიუთითა, რომ სამხრეთ კავკასიის პრიორიტეტულობა მისთვის შემცირდა.**

# ტრამპის «ტვიტერი» და შეშლილი მსოფლიო

**2018 წელი საერთაშორისო პოლიტიკაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. წლის მთავარ თემად იქცა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის სკანდალური განცხადებები და ქმედებები, რომლებიც ძველ ურთიერთობებსა და წესებს ანადგურებდა. ცხადია, იყო სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიც, რომლებსაც შედეგების შეჯამებისას გვერდს ვერ ავუვლით.**

2018-ში **დონალდ ტრამპმა** საფუძვლიანად შეცვალა აშშ-ის საგარეო პოლიტიკა და გლობალიზაციის ეპოქიდან თითქოს კლასიკური იმპერიალიზმის ხანაში დააბრუნა — ეროვნული ინტერესები და ბრძოლა ბაზრების გადანაწილებისთვის უდავო პრიორიტეტი გახდა. შარშან ტრამპის ადმინისტრაცია აწარმოებდა ეკონომიკურ ომს ჩინეთსა და ევროკავშირთან, გააფუჭა ურთიერთობა მეზობლებთან — კანადასა და მექსიკასთან. ის დაუპირისპირდა რუსეთს, მათ შორის ევროპის გაზის ბაზრის გამო, ხოლო ტრადიციულ მოკავშირესთან, თურქეთთან, ლამის „ცივი ომი“ გააჩაღა. ტრამპი აწყობდა სკანდალებს „დიდი შვიდეულისა“ და ნატოს სამიტებზე, უახლოეს პარტნიორებს მაღალ ტარიფებს უწესებდა და გამუდმებით იმეორებდა, რომ მოკავშირეებმა უსაფრთხოებაზე გაცილებით მეტი უნდა დახარჯონ (მშპ-ს 2%-მდე და ზევით). პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია პრინციპზე „ამერიკა — უპირველეს ყოვლისა“, ძალიან მოსწონს ტრამპის ამომრჩევლებს და აღიზიანებს მის ოპონენტებს, ამერიკელი დემოკრატები იქნებიან ისინი თუ გლობალისტები სხვა ქვეყნებიდან.

წლის ბოლოს ტრამპმა მოულოდნელად განაცხადა, რომ სირიიდან ჯარებს გაიყვანს. მიუხედავად იმისა, რომ სამხედროების სახლში დაბრუნება მის ერთ-ერთ წინასაარჩევნო დაპირებას წარმოადგენდა, მომხდარის გამო გადადგნენ აშშ-ის თავდაცვის მინისტრი **ჯეიმს მეტისი** და სპეციალური წარმომადგენელი „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის საკითხებში — **ბრეტ მაკგერკი**, რომელიც, როგორც უმცროსი ბუშის, ისე ობამას ადმინისტრაციაში მუშაობდა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება. ორივე დარწმუნებულია, რომ ამერიკელების წასვლას სირიიდან შეიძლება ქაოსი და რეგიონულ მოთამაშეებს შორის დაპირისპირება მოჰყვეს. მწვავე კრიტიკამ აიძულა ტრამპი, ეთქვა, რომ ჯარების ევაკუაცია ნელი და (თურქეთთან) შეთანხმებული იქნება, თუმცა სიტუაცია სირიაში ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს.

სირიის ქურთისტანში შექმნილი დე ფაქტო ავტონომიის მდგრადობას სწორედ ამერიკელი სამხედროები უზრუნველყოფდნენ. თურქეთი მალე დაიწყებს ოპერაციას, რომლის მიზანი სირიის ქურთისტანის ჩრდილოეთ ნაწილის დაკავება იქნება და, შესაბამისად, თურქეთის საზღვრების გასწვრივ მდებარე უსაფრთოხების ზონის გაფართოება. **ასადი** ირანელებისა და რუსების მხარდაჭერით შეეცდება, ევფრატის აღმოსავლეთით ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოები და გადამამუშავებელი ქარხნები დაიკავოს. ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ ტრამპი ცდილობს, ერთმანეთს თურქეთი და ირანი დაუპირისპიროს, თუმცა ეს ჯერჯერობით არ დასტურდება ფაქტებით, მით უმეტეს, რომ მხარეები მუდმივი კონსულტაციების რეჟიმში იმყოფებიან.

20 დეკემბერს **ვლადიმერ პუტინი,** რომელმაც ამჯერად ტრადიციული შემაჯამებელი პრესკონფერენციის უდიდესი ნაწილი რუსეთის საშინაო საქმეებს დაუთმო, ტრამპის გადაწყვეტილებას მიესალმა. არაერთმა გამოცემამ ამის შემდეგ დაწერა, რომ პუტინმა გაიმარჯვა, რადგან ის დიდხანს მოუწოდებდა ამერიკელებს, სირიის საშინაო საქმეებში უხეშად არ ჩარეულიყვნენ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად აცხადებდა, რომ ამერიკელების ყოფნა სირიაში არის „საშიში ბარიერი კონფლიქტის დარეგულირების გზაზე“. ახლა კი კრემლმა სირიაში გავლენის სფეროს გაფართოების ახალი შესაძლებლობები მიიღო.

ამასთანავე, **რუსეთის პრეზიდენტმა გააკრიტიკა ტრამპის ადმინისტრაციის სურვილი, გავიდეს საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულებიდან და განაცხადა, რომ მას რუსეთის საპასუხო ნაბიჯები მოჰყვება. ჯერ კიდევ 24 ოქტომბერს პუტინმა აღნიშნა, რომ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგება მას საპასუხო დარტყმის საფრთხის წინაშე დააყენებს.**

პუტინი, აგრეთვე, შეეხო ურთიერთობებს დიდ ბრიტანეთთან, რომელიც „სოლსბერის ინციდენტის“ შემდეგ მკვეთრად გაუარესდა. მან თქვა, რომ ურთიერთობის დარეგულირება ორივე ქვეყნის ინტერესებშია, დადებით კონტექსტში ისაუბრა რუსეთში მომუშავე ბრიტანელ ბიზნესმენებზე, შემდეგ კი „ბრექსიტის“ პრობლემას შეეხო, რომელიც 2018 წელს ბრიტანული საზოგადოებისთვის უდავოდ მთავარ თემას წარმოადგენდა. პუტინის აზრით, **ტერეზა მეის** კაბინეტი გამოუვალ მდგომარეობაშია და მას რეფერენდუმის შედეგების ხორცშესხმა, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გაყვანა მოუწევს.

წლის ბოლოს კიდევ ორი ევროპელი ლიდერი აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში. გერმანიაში მმართველი კოალიციის პარტიებმა მტკივნეული მარცხი განიცადეს არჩევნებზე ბავარიასა და ჰესენში; რადიკალი მემარჯვენეების გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა. სოციალ-დემოკრატები მმართველი კოალიციის დატოვებაზე დაფიქრდნენ, ხოლო **ანგელა მერკელმა** განაცხადა, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარის პოსტზე კენჭს აღარ იყრის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მალე (2-3 წელიწადში) ის კანცლერის პოსტს დაემშვიდობება.



**ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილი საერთაშორისო პოლიტიკას შავ-თეთრი, «ცივი ომის» დროინდელი სტერეოტიპების ფარგლებში აღიქვამს, ნაწილს კი ჰგონია, რომ მსოფლიოში კვლავ ის სიტუაციაა, რომელიც მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა. ისინი მრავალპოლარული სამყაროს არსებობის შესაძლებლობასაც კი უარყოფენ — მათ წარმოდგენებში ის ან ერთპოლუსიანია, ან ორ ნაწილად დაყოფილი. შესაბამისად, ბოლოდროინდელი პროცესების ადეკვატური აღქმა უჭირთ. მათ საგარეო პოლიტიკის თუნდაც მცირე კორექტირების, ახალი რეალობის მიმართ მისი ადაპტირების პერსპექტივა აშინებთ და იქცევიან ისე, თითქოს მსოფლიოში ახალი და უჩვეულო არაფერი ხდება**





საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** შრომის კანონმდებლობის, განათლების სისტემის და ზოგიერთ სხვა სფეროს რეფორმირება დაიწყო, თუმცა წლის ბოლოს შეეჯახა ე.წ. ყვითელი ჟილეტების ხალხმრავალ და რადიკალურ პროტესტს, როცა ათი ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე ასეული დაშავდა. ამ გამოსვლების მიზეზი საწვავის მოსალოდნელი გაძვირება იყო, თუმცა მოგვიანებით მომიტინგეებმა სხვა მოთხოვნებიც წამოაყენეს. ამ მოვლენების დროს მაკრონის რეიტინგი მკვეთრად დაეცა, საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, მანევრის თავისუფლება დაკარგა.

ჩინეთის ხელისუფლებისთვის მთავარი 2018 წელს ორი თემა იყო — **სი ძინპინის** ხელში ძალაუფლების კონსოლიდაციის ტენდენცია, რომელიც ცალსახად გამოიკვეთა კომპარტიის ბოლო ყრილობის დროს, და ეკონომიკური ომი აშშ-თან. ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელების ფონზე პეკინი მისი ნეგატიური ეფექტის განეიტრალებას ცდილობს, მაგრამ, ამასთანავე, 2018 წელს განუხრელად იზრდებოდა ჩინეთის გავლენა მსოფლიოში — მისი ინფრასტრუქტურული პროექტები უცხო ქვეყნებში სულ უფრო შთამბეჭდავი ხდებოდა.

2018-ში საქართველოს ორმა მეზობელმა, თურქეთმა და ირანმა, ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკის გამო, სერიოზული ეკონომიკური ზარალი განიცადა, რომელიც მთელ რეგიონზე აისახა. წლის ბოლოს თურქეთის მდგომარეობა, განსაკუთრებით ინფლაციის მიმართულებით, ასე თუ ისე, დასტაბილურდა, ირანს კი მთავარი პრობლემები წინ აქვს —ახალი სანქციების გავლენა მის ეკონომიკაზე სრულად რამდენიმე თვეში აისახება, თუმცა დონალდ ტრამპის ბოლო ნაბიჯებმა თეირანს შესაძლებლობა მისცა, ერთგვარი რევანში სირიაში აიღოს.

სამეზობლოში ყველაზე გახმაურებული მოვლენები 2018 წელს **სომხეთში** განვითარდა, სადაც ხალხმრავალ საპროტესტო გამოსვლებს ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა. ახალ ლიდერს, **ნიკოლ ფაშინიანს,** ქართველი საზოგადოება სიმპათიით უყურებს, თუმცა მისი ზოგიერთი ნაბიჯი **სააკაშვილის** მმართველობის საწყის პერიოდს ახსენებს და, შესაბამისად, აფრთხობს.

ვითარება უკრაინაში მთელი წლის განმავლობაში უკიდურესად მძიმე იყო, მაგრამ 2018 წელს დაწყებული პროცესები კულმინაციას 2019-ში მიაღწევს — ეს ეხება, როგორც დაპირისპირებას საპრეზიდენტო არჩევნებისა და ავტოკეფალიის გარშემო, აგრეთვე, სავარაუდო ესკალაციას აღმოსავლეთ რეგიონებში.

ყველა ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ სასურველია, 2018 წლის მთავარ ტენდენციებზე ვისაუბროთ. გაძლიერდა გლობალიზაციის საწინააღმდეგო პროცესები, თეთრი სახლის ინტერესმა მთელი რიგი საკითხების მიმართ იკლო და არაერთმა ექსპერტმა მიუთითა, რომ სამხრეთ კავკასიის პრიორიტეტულობა მისთვის შემცირდა. საერთაშორისო პოლიტიკა ნაკლებად პროგნოზირებული შეიქნა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ დონალდ ტრამპი „ტვიტერში“ სკანდალურ სტატუსებს აქვეყნებდა — გლობალიზაციის პარადიგმის ეტაპობრივმა ჩანაცვლებამ „ახალი ნაციონალიზმით“ სახელმწიფოთა ურთიერთობის ფორმები შეცვალა. შესაძლოა, მსოფლიო დიპლომატია ერთგვარი „გეოპოლიტიკური პოსტმოდერნის“ სტადიაში შევიდა, სადაც ყველა მოთამაშის მიერ გაზიარებული წესები თანდათან წარსულის კუთვნილება ხდება, ხოლო ის, რაც ადრე წარმოუდგენელი ჩანდა, რეალობის ნაწილია (ჟურნალისტის მკვლელობა საუდის არაბეთის საელჩოში და სხვ.).

დღევანდელი ტენდენციები წარმოადგენს ერთგვარ რეაქციას იმ პრობლემებზე, რომლებიც დაჩქარებულმა გლობალიზაციამ მოიტანა. მისთვის დამახასიათებელია ნაციონალისტური გრძნობებისა და კონსერვატიული ღირებულებების რენესანსი, რომელსაც ლიბერალები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ. ბრძოლა იმდენად გამძაფრებულია, რომ არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების, არამედ რეგიონებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დესტაბილიზაციას ახდენს.

ეს პროცესები საქართველოსთვის უკიდურესად საშიშია. ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილი საერთაშორისო პოლიტიკას შავ-თეთრი, „ცივი ომის“ დროინდელი სტერეოტიპების ფარგლებში აღიქვამს, ნაწილს კი ჰგონია, რომ მსოფლიოში კვლავინდებურად ის სიტუაციაა, რომელიც მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა. ისინი მრავალპოლარული სამყაროს არსებობის შესაძლებლობასაც კი უარყოფენ — მათ წარმოდგენებში ის ან ერთპოლუსიანია, ან ორ ნაწილად დაყოფილი, შესაბამისად, ბოლოდროინდელი პროცესების ადეკვატური აღქმა უჭირთ. მათ საგარეო პოლიტიკის თუნდაც მცირე კორექტირების, ახალი რეალობის მიმართ მისი ადაპტირების პერსპექტივა აშინებთ და იქცევიან ისე, თითქოს მსოფლიოში ახალი და უჩვეულო არაფერი ხდება. კარგად ცნობილი „სირაქლემას დოქტრინა“ კვლავინდებურად ძალაშია და მხოლოდ კატასტროფა თუ აიძულებს მმართველ ელიტას, მასზე უარი თქვას.

**ლუკა ნემსაძე**

**ისრაელელი ჟურნალისტი სოლომონ მანი იერუსალიმის საპატრიარქოს წყაროზე მითითებით წერს, რომ უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსს დაჰპირდა, გადასცეს უკრაინის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ტაძარი და ობიექტი. მან, აგრეთვე, დაარწმუნა კონსტანტინოპოლი, რომ ამ ტაძრების გადაცემას კანონმდებლობით განამტკიცებს. იქ პატრიარქი ბართოლომეოსი საეგზარქოსოს დაარსებას აპირებს, რათა პირდაპირ მართოს ტაძრები.**

მართლმადიდებელი სამყარო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბართოლომეოსი 150 მლნ დოლარს მიიღებს უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის განადგურებისთვის, ხოლო 38 ტაძარს – ტომოსისთვის




**„რასკოლნიკური“ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების ტომოსში იქნება პუნქტები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში 38 ტაძრისა და სხვა ობიექტების გადაცემის შესახებ, რომლებიც უკრაინის ტერიტორიაზეა.**

ისრაელელი ჟურნალისტი **სოლომონ მანი** იერუსალიმის საპატრიარქოს წყაროზე მითითებით წერს, რომ უკრაინის პრეზიდენტი **პეტრე პოროშენკო** კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსს დაჰპირდა, გადასცეს უკრაინის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ტაძარი და ობიექტი. მან, აგრეთვე, დაარწმუნა კონსტანტინოპოლი, რომ ამ ტაძრების გადაცემას კანონმდებლობით განამტკიცებს. იქ პატრიარქი ბართოლომეოსი აპირებს საეგზარქოსოს დაარსებას, რათა პირდაპირ მართოს ტაძრები. აღსანიშნავია, რომ ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ყველა რთული საეკლესიო წესის, ტექსტისა და რიტუალის უნიფიცირებას მოახდენს ბერძნულ ეკლესიასთან.

სოლომონ მანი წერს იმის შესახებაც, რომ **უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის გასანადგურებლად პატრიარქმა ბართოლომეოსმა უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლებისა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისგან 150 მილიონი დოლარი მოითხოვა. სახელმწიფო დეპარტამენტი ამ თანხის ნახევარს ფენერის ანგარიშზე უკვე 2019 წელს გადარიცხავს, როდესაც უკრაინის ტომოსს გადასცემენ.**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **რობერტ პალადინოს** განცხადებით, „ამ ეკლესიის შექმნა უკრაინისთვის ისტორიული მოვლენაა“. მან აშშ-ის სახელით მიულოცა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, მიტროპოლიტ **ეპიფანეს** ამ პოსტზე არჩევა. აღსანიშნავია, რომ არც ერთ ადგილობრივ კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას არ გაუგზავნია მისალოცი ე.წ. გამაერთიანებელი კრებისთვის და არც უკრაინის არაკანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის.

**მოამზადა**
**ნიკოლოზ აბაშიძე**



# 45 ვინიცელი მღვდელმსახური კვლავ დაუბრუნდა უკრაინის კანონიკურ ეკლესიას

**ვინიცის ეპარქიის 45 მღვდელმსახური, რომლებიც ადრე დაადგნენ ვინიცისა და ბარსკის ყოფილი მიტროპოლიტის, სიმონიეს, გზას და ცდილობდნენ „რასკოლნიკურ“ ავტოკეფალიურ ეკლესიაში გადასვლას, უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნდნენ.**

15 დეკემბერს კიევში ე.წ. გამაერთიანებელი კრების ჩატარებისა და ვინიცის ახლა უკვე ყოფილი მიტროპოლიტის „რასკოლნიკებთან“ გადასვლის შემდეგ მის გზას გაჰყვა ეპარქიის 75 მღვდელმსახური 250-დან, მაგრამ რამდენიმე დღეში, კერძოდ, 19 დეკემბერს, ვინიცის ერთ-ერთ ტაძარში გაიმართა ეპარქიის სასულიერო პირებისა და არქიეპისკოპოს **ბარსონოფის** შეხვედრა, რომლის შემდეგ 45-მა „წასულმა“ კლირიკმა განაცხადა, რომ რჩებიან კანონიკურ ეკლესიაში.

# რას ყიდის და ყიდულობს საქართველო



**დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის მიუხედავად, რუსეთი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორ ქვეყნად რჩება. 2018 წლის იანვარ-ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას შორის მეორე ადგილზე იმყოფებოდა რუსეთი, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ საანგარიშო პერიოდში მილიარდ 254,9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.**

გთავაზობთ იმ ტოპ-5 პროდუქტს, რომლებსაც ყველაზე მეტი რაოდენობით ვყიდით რუსეთში და ასევე, რომელიც იქიდან შემოგვაქვს. მიმდინარე წლის 11 თვეში საქართველოდან რუსეთში გატანილი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფი იყო **ფეროშენადნობები**, რომლის ექსპორტმაც 120,1 მლნ დოლარი შეადგინა; მას მოსდევს ყურძნის **ნატურალური ღვინოები** — 105,1 მლნ დოლარით; მე-3 ადგილზე კი 45,2 მლნ დოლარით მინერალური და **მტკნარი წყლებია**; მე-4 და მე-5 პოზიციებს **სპირტიანი სასმელები** და **ცენტრიფუგები** იკავებენ, შესაბამისად, 19 მლნ და 13,5 მლნ დოლარით. რაც შეეხება რუსეთიდან იმპორტს, უმსხვილესი საიმპორტო ჯგუფი **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** იყო.

იანვარ-ნოემბერში საქართველოში რუსეთიდან 187,2 მლნ დოლარის ღირებულების აღნიშნული პროდუქტი შემოვიდა. მე-2 ადგილზეა **ხორბალი**, რომლის იმპორტმაც 89,5 მლნ დოლარი შეადგინა; მას კი 35,6 მლნ დოლარით **ქვანახშირის კოქსი** და **ნახევარკოქსი** მოსდევს; რუსეთიდან საიმპორტო პროდუქტების ტოპ ხუთეულში მე-4 და მე-5 პოზიციებს **მზესუმზირის ზეთი** და **ტელეფონის აპარატები** ინაწილებს, შესაბამისად, 30,2 მლნ და 27,4 დოლარით.

**2018 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 11,3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 18,6 პროცენტით აღემატება.**

„საქსტატის“ მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში 24%-ით გაიზარდა ექსპორტი და 3 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო იმპორტი 16,8%-ით გაიზარდა და 8,3 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ყველაზე დიდი რაოდენობით **სპილენძის მადნებსა** და **კონცენტრატებს** ყიდის, მას მოსდევს **მსუბუქი ავტომობილები,** მე-3 ადგილზე კი **ფეროშენადნობებია,** მე-4 და მე-5 პოზიციებს ყურძნის **ნატურალური ღვინოები, სიგარები და სიგარეტები** ინაწილებს.

რაც შეეხება, ტოპ-5 საიმპორტო პროდუქტს, ყველაზე დიდი რაოდენობით ვყიდულობთ ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, მე-2 ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები, ხოლო მესამეზე — სპილენძის მადნები და კონცენტრატები, მე-4 და მე-5 პოზიციებს კი დაფასოებული მედიკამენტები, აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები იკავებს.

**„ბიზნესპრესნიუსის“**
**მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძე**



# ბელარუსის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მრევლს უკრაინის «ახალი ეკლესიის» მსახურებაში მონაწილეობა აუკრძალა

**ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის მინსკის ეპარქიამ თავის მრევლს მიუთითა, რომ მონაწილეობა არ მიიღოს უკრაინის „ახალი ეკლესიის“ მიერ გამართულ რიტუალებში, — ნათქვამია ეპარქიის საერთო კრების განცხადებაში, რომელიც ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

„განემარტოს მინსკის ეპარქიის კლირიკებსა და მრევლს, რომ დაუშვებელია არაკანონიკური სტრუქტურის მიერ ჩატარებულ მსახურებაში მონაწილეობა“, — ნათქვამია დოკუმენტში.

ეპარქიის საერთო კრებამ დაადგინა, რომ მხარი დაუჭიროს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდების გადაწყვეტილებას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ევქარისტული ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.

განცხადებაში, აგრეთვე, გამოთქმულია მხარდაჭერა კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ **ონოფრესა** და სრულიად უკრაინის მართლმადიდებელი კანონიკური ეკლესიის მიმართ.

**მოამზადა**
**ნიკოლოზ აბაშიძე**

გრიგოლ ოთიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„1941 წლის 27 მაისიდან 4 ივნისამდე დიუნკერკიდან და მისი მოსაზღვრე სანაპირო ზოლიდან ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალები იქნა ევაკუირებული, სულ 335 000 ჯარისკაცი, ნაცვლად ჩერჩილის მიერ ნავარაუდევი 50 000-ისა, მათგან ბრიტანელი იყო 224 000 ჯარისკაცი, დანარჩენი 110 000 კაცი კი — მოკავშირეთა ძალები. დიუნკერკიდან ევაკუაციას ბრიტანელები უფრო გამარჯვებად მიიჩნევდნენ, ვიდრე განსაცდელიდან თავის დაღწევას, ამის გამო თემთა პალატაში 4 ივნისს ჩერჩილმა მტკიცედ განაცხადა: „ჩვენ ევაკუაციით ომს ვერ მოვიგებთ“.**

# სტალინი და... ორი იდიოტი

**„მითი — ხალხთა კოლექტიური ფანტაზიის ქმნილება, რომელიც განზოგადოებულად ასახავს სინამდვილეს ზოგადკონკრეტული პერსონიფიკაციისა და სულიერი არსების სახით. მითოლოგია სინამდვილეს ხატოვანი ფორმით გადმოსცემს, იგი ახლოს დგას მხატვრულ ლიტერატურასთან“ (ქართული ენციკლოპედია, ტომი 6. გვ. 681). წერილი ენციკლოპედიის ენით იმიტომ დავიწყე, რომ მინდა, ზოგიერთს განვუმარტო მითის ცნება და დავარწმუნო, რომ წიგნის სათაურშივე სისულელეს ამბობენ, ასე უფრო იოლი იქნება მათი დარწმუნება წიგნის შინაარსის სისულელეზეც. „სამეზობლო“, როგორც ქართულ მეტყველებაში, ისე სოციალურ ყოფაში, ფრიად ხატოვანი და მიმზიდველი სიტყვაა, რომლითაც ხშირად ლამაზდება სიტყვაკაზმული ქართული ლიტერატურა, მაგრამ სტალინზე „13 მითის შექმნას“ რა აკავშირებს ნიდერლანდების სამეზობლოსთან, გაუგებარია. დღევანდელ თბილისში გასაკვირი არაფერია, ჩვენს დიდ დასახლებაში (დიღომში) ბევრია ირანული, თურქული, არაბული, ჩინური, ინდური და სხვა ათასი ჯურის, ფერისა და ენის „სამეზობლო“, მაგრამ არსად შემხვედრია ნიდერლანდური სამეზობლო, რომლის წარმომადგენლებიც არიან წიგნის „13 მითი სტალინის შესახებ“ ავტორები — ლევან ცუცქირიძე და ბონდო კუპატაძე.**

ბონდოსა და ლევანს მითოლოგიზებულად დაუწყიათ წიგნის ყდის გაფორმება და გენერალისიმუსისთვის, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი კაცისთვის, თვალებზე წითელი ფერის საღებავი წაუდღაბნიათ, თვითონ კი ღიმილიანი სახით გამოიყურებიან.

აღნიშნული წერილი ორ ნაწილად უნდა გავყო: პირველი, რომელსაც ახლა ვწერ მიეძღვნება დიდ „მკვლევარსა და მეცნიერს“ — ლევან ცუცქირიძეს, რომელმაც 13 მითიდან 3 თვითონ შექმნა. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული 3 მითი ერთი შეხედვით ყველაზე ფალსიფიცირებულად გამოიყურება, უპირველესად, მათ მინდა გავცე პასუხი.

სანამ პასუხის გაცემას დავიწყებ, უნდა განვმარტო, რომ, რადგან აღნიშნული სისულელეები ვერ აკმაყოფილებს მითის მოთხოვნებს, ისინი, უბრალოდ, ერთი ადამიანის ნააზრევის „აჯაფსანდალს“ წარმოადგენს.

**ფითი №1: „მეორე მსოფლიო ომი სტალინმა მოიგო“.**

რადგან თემა წყალწყალაა და ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე მომზადდა, ამიტომ მას პირობითად არა მითი, არამედ ფითი დავარქვი (აზერბაიჯანული კერძის სახელია).

**ფითი №1-ში** ლევან ცუცქირიძე წერს: **„ფაშისტური გერმანიის დამარცხების წარმოჩენა სტალინის პირად დამსახურებად არასწორია“.**

აი ამის „მტკიცებულებაც“:

„განსაკუთრებით 1939 წლიდან მოყოლებული დიდი ბრიტანეთის ლიდერობითა და შეერთებული შტატების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერით, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელის უშუალო მონაწილეობით მეორე მსოფლიო ომში, მათ შორის გერმანიის საზღვაო ბლოკადის შენარჩუნებით, გერმანია საგრძნობლად დასუსტდა, როგორც სამხედრო, ისე მატერიალური თვალსაზრისით. სტრატეგიულ დონეზე ჰიტლერი იძულებული გახდა, ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელოვან ფრონტზე ებრძოლა და თავისი სამხედრო ძალები დაენაწევრებინა. ეს ითვლება გერმანიის, თვით ჰიტლერის დაუშვებელ სტრატეგიულ შეცდომად, რაც დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დამსახურება იყო. განსაკუთრებით გამორჩეული მასშტაბური სამხედრო კამპანიები და ოპერაციები, რომელთაც გადამწყვეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ, იყო ბრძოლა ბრიტანეთისთვის, ბრძოლა ატლანტის ოკეანისთვის, სამხედრო კამპანია ჩრდილოეთ აფრიკაში და, რა თქმა უნდა, ნორმანდის დასკვნითი ოპერაცია, მისი თანმდევი კამპანიით მოკავშირეთა ჯარების ევროპაში შეხვედრითა და მესამე რაიხის სწრაფი განადგურებით რომ დასრულდა. მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხებაში შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის როლის დაკნინება შეუძლებელია, მათი მონაწილეობის გარეშე, ან დიდი ბრიტანეთის ომიდან გამოთიშვის შემთხვევაში, რთულია, ითქვას, რამდენად გაუმკლავდებოდა მოუმზადებელი, არასათანადოდ აღჭურვილი, გამოუცდელი და გენერლების მორიგი „წმენდით“ დასუსტებული საბჭოთა არმია „ფაშისტური ღერძის“ მობილიზირებულ, მაღალტექნოლოგიურ და კონცენტრირებულ იერიშებს, რომ არაფერი ვთქვათ



გერმანიის დამარცხებაზე.

**სტალინს უპიროზოდ დიდი ბრალი მიუძღვის ჰიტლერის წაქეზებასა და მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში, ხოლო ამ ომში გერმანიის დამარცხებაში მისი პირადი როლი მეტად გაზვიადებულია. მითი იმის შესახებ, რომ მეორე მსოფლიო ომი სტალინმა მოიგო, საბჭოთა პროპაგანდის შექმნილია და თანამედროვე პერიოდში მას აქტიურად ავრცელებს ავტორიტარული ანტიდასავლური მედია“.**

მსოფლიოში არ მოიძებნება ადამიანი, არათუ ისტორიკოსი, რომელიც ამდენ სისულელეს ერთად მოაგროვებდა, დალაგებდა და მითად თუ ფითად წარმოადგინდა.

**უისტონ ჩერჩილის** მემატიანე **როი ჯენკინსი** თავის წიგნში „ჩერჩილი“ წერს:

**„1941 წლის 27 მაისიდან 4 ივნისამდე დიუნკერკიდან და მისი მოსაზღვრე სანაპირო ზოლიდან ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალები იქნა ევაკუირებული, სულ 335 000 ჯარისკაცი, ნაცვლად ჩერჩილის მიერ ნავარაუდევი 50 000-სა, მათგან ბრიტანელი იყო 224 000 ჯარისკაცი, დანარჩენი 110 000 კაცი კი — მოკავშირეთა ძალები. დიუნკერკიდან ევაკუაციას ბრიტანელები უფრო გამარჯვებად მიიჩნევდნენ, ვიდრე განსაცდელიდან თავის დაღწევას, ამის გამო თემთა პალატაში 4 ივნისს ჩერჩილმა მტკიცედ განაცხადა: „ჩვენ ევაკუაციით ომს ვერ მოვიგებთ“.** 17 ივნისს ჩერჩილმა საფრანგეთის კოლაბორაციონისტული მთავრობის მეთაურ **ანრი-ფილიპ პეტენს** დეპეშა გაუგზავნა. ალექსანდრე კადოგენი შეეცადა, ჩერჩილის ტონი ცოტა შეერბილებინა. ჩერჩილი წერდა, რომ, თუ პეტენი და ვიგანდი საფრანგეთის ფლოტზე გერმანელებთან სისუსტეს გამოიჩენდნენ, თქვენი სახელები კიდევ ათასი წელი შეარცხვენენ ისტორიასო. 18 ივნისს საფრანგეთი დაეცა. ჩერჩილი სიტყვით გამოვიდა:

„საფრანგეთისთვის ბრძოლა დამთავრდა, ბრიტანეთისთვის ბრძოლა მალე დაიწყება. ეს ბრძოლა გადაწყვეტს, ქრისტიანული ცივილიზაცია არსებობას გააგრძელებს თუ ვერა, ძალიან მალე მტერი მთელი ძალითა და მძვინვარებით ჩვენკენ შემობრუნდება. ჰიტლერმა კარგად იცის, თუ ჩვენ ამ კუნძულზე არ გაგვტეხა — ომს წააგებს, თუ ჰიტლერს წინ აღვუდგებით — მთელი ევროპა გათავისუფლდება; თუ დავეცით — სრულიად მსოფლიო ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით უფსკრულში ჩაიძირება და დამახინჯებული მეცნიერული აზროვნების წყალობით ახალმა, ბნელმა ხანამ შეიძლება მეტ ხანს იარსებოს. მოდი, მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს და ჩვენი ვალი მოვიხადოთ, თუ ბრიტანეთის თანამეგობრობას და იმპერიას კიდევ ათასი წლის არსებობა უწერია, ჩვენზე იტყვიან, ეს მათი ცხოვრების საუკეთესო წლები იყოო“.

აგვისტოს დასაწყისში გერმანელები ნორმანდიასა და ბრეტანისთვის განკუთვნილ თვითმფრინავებს ინგლისის დასავლეთ ნაწილსა და უელსის სამხრეთში რეიდებისთვის იყენებდნენ. 31 ივლისს ბომბები ჩამოყარეს ქორნვოლში, დევონში, სომერსეტში, გლოჩესტერშირშსა და სამხრეთ უელსში რეიდებს 258 ადამიანი შეეწირა, აგვისტოს დაბომბვას — 1075, ხოლო, როცა სექტემბერში გერმანელებმა აღმოსავლეთ ნაწილში ინდუსტრიულ ქალაქებსა და ლონდონზე დაიწყეს თავდასხმა, მსხვერპლმა 6500-ს მიაღწია.

7 სექტემბერს, დღისით, ლონდონის პირველი მასირებული დაბომბვა დაიწყო, რომელსაც სხვა ქალაქების დაბომბვები და უკვე ღამის რეიდები მოჰყვა. 31 ოქტომბერს თავდასხმები არ დამთავრებულა, ლონდონისთვისაც და პროვინციული ქალაქებისთვისაც ნოემბერიც არანაკლებ საშინელი იყო. 1945 წელს დრეზდენის განადგურებამდე ისტორიული ძეგლებისადმი ასეთი სისასტიკე არსად არ გამოვლენილა.

ჩერჩილი ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე ომის მოგების ვერანაირ გზას ვერ ხედავდა. ის ძალიან შეაშფოთა ატლანტიკის ჩრდილოეთში ბევრი გემის დაკარგვამ, თავისი გამჭრიახობით რენტგენზე გაშუქებულივით მკაფიოდ ხედავდა საფრანგეთის მხოლოდ ნაწილიდან გერმანული ბომბდამშენების ახალი თავდასხმის საფრთხეს. 8 დეკემბერს ჩერჩილმა რუზველტს 4000-სიტყვიანი წერილი გაუგზავნა, რომელშიც წერდა:

**„თუ ასე გაგრძელდა, ქვეყანა ბრძოლის უნარს დაკარგავს, ბატონო პრეზიდენტო, დარწმუნებული ვარ ნაციზმისა და ფაშიზმის ტირანიის დამარცხებას ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ნახევარსფეროსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ წერილს მხოლოდ დახმარების თხოვნად ნუ ჩათვლით, ეს მოწოდებაა, საერთო საქმეში მინიმალური წვლილი შეიტანოთ“.**

„ჩერჩილისა და ბრიტანეთის მომავლისთვის პერსპექტივა საშინელი ჩანდა. საჰაერო რეიდებმა ბრიტანეთს დიდი ზარალი მიაყენა. ლივერპულის დოკში ღუზის ჩასაშვები 144 ადგილიდან 69 გამოუსადეგარი გახდა.

...„საქმე თითქმის ყველგან ცუდად მიდიოდა. 6 აპრილს ჰიტლერი იუგოსლავიასა და საბერძნეთში შეიჭრა. გერმანული არმიის 13 ნაწილი ბელგრადში იდგა. სამეფო ოჯახმა თავს უშველა, მაგრამ იუგოსლაველი პარტიზანები მთელი 4 წელი შეუპოვრად იბრძოდნენ. აპრილის ბოლო დღეებში ბრიტანელებმა კიდევ ერთი ევაკუაცია დაიწყეს. 55 ათასი ჯარისკაცი-






ლევან ცუცქირიძე



ბონდო კუპატაძე

**წერილი ენციკლოპედიის ენით იმიტომ დავიწყე, რომ მინდა, ზოგიერთს განვუმარტო მითის ცნება და დავარწმუნო, რომ წიგნის სათაურშივე სისულელეს ამბობენ, ასე უფრო იოლი იქნება მათი დარწმუნება წიგნის შინაარსის სისულელეზეც. «სამეზობლო», როგორც ქართულ მეტყველებაში, ისე სოციალურ ყოფაში, ფრიად ხატოვანი და მიმზიდველი სიტყვაა, რომლითაც ხშირად ლამაზდება სიტყვაკაზმული ქართული ლიტერატურა, მაგრამ სტალინზე «13 მითის შექმნას» რა აკავშირებს ნიდერლანდების სამეზობლოსთან, გაუგებარია**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბრიტანელები თუ რამეთი ჯობდნენ გერმანელებს, ეს მაღალ დონეზე განხორციელებული ევაკუაცია იყო. კრეტიდან 16 000 ჯარისკაცი ალექსანდრიაში დაბრუნდა, ნორვეგიიდან მოყოლებული კრეტა უკვე დამამცირებელი ევაკუაციის მეოთხე შემთხვევა იყო. მწერალმა ივლინ ვომ ომის თემაზე შექმნილ ტრილოგიაში შესანიშნავად აღწერა ეს პერიოდი.


უინსტონ ჩერჩილი


ალან ბრუკი

**ჩერჩილი: «ჩვენი ჯარისკაცები თავიანთი მამებივით ვერ იბრძვიან. 1915-ში ერთი ჭურვიც რომ ჰქონოდათ დარჩენილი, საშინელი დაბრკოლებების მიუხედავად, ბრძოლას განაგრძობდნენ. ესენი მოპიკირე ბომბდამშენებს ვერ უმკლავდებიან. იმდენი კაცი გვყავდა სინგაპურში, იმდენი — ასე როგორ წახდნენ». ალან ბრუკმაც სინანულით ჩაწერა დღიურში: «თუ არმიას უკეთესად ბრძოლა არ შეუძლია, მაშინ ღირსნი ვართ, იმპერია დავკარგოთ»**

◀დან დაახლოებით 12 000 დაიღუპა. სამწუხაროდ, **ჯერჯერობით ბრიტანელები თუ რამეთი ჯობდნენ გერმანელებს, ეს მაღალ დონეზე განხორციელებული ევაკუაცია იყო. კრეტიდან 16 000 ჯარისკაცი ალექსანდრიაში დაბრუნდა, ნორვეგიიდან მოყოლებული კრეტა უკვე დამამცირებელი ევაკუაციის მეოთხე შემთხვევა იყო. მწერალმა ივლინ ვომ ომის თემაზე შექმნილ ტრილოგიაში შესანიშნავად აღწერა ეს პერიოდი.**

„მომდენო 2 კვირის განმავლობაში ბრიტანელები ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანულმა ძალებმა **ერვინ რომელის** ხელმძღვანელობით ძალიან ცუდ დღეში ჩაყარა. როგორც ჩერჩილმა დაწერა, ეს იყო ყველაზე მწარე დარტყმა. ჩერჩილს ბედნიერი დილა გაუთენდა 22 ივნისს — ჰიტლერი რუსეთს დაესხა თავს. საღამოს ჩერჩილმა ქოლვილს უთხრა, რომ, ანტიკომუნისტობის მიუხედავად, მისი პოლიტიკა რუსეთთან დაკავშირებით შემდეგნაირად გამოიხატებოდა:

„ჰიტლერს ჯოჯოხეთი რომ დაეპყრო, მე ეშმაკთან ვარჩევდი საქმის დაჭერას“. ჩერჩილმა რამდენიმე საათი რადიოგამოსვლას დაუთმო. შესავალ სიტყვაში თქვა:

**„ბოლო 25 წლის განმავლობაში ჩემისთანა ოპონენტი კომუნიზმს არ ჰყოლია. ადრე ნათქვამი არც ერთი სიტყვა უკან არ მიმაქვს, მაგრამ სანახაობა, რომელიც ახლა ჩემ წინაშე გადაიშალა, ყველაფერს აბათილებს. წარსული, თავისი დანაშაულებით, თავისი შეცდომებითა და თავისი ტრაგედიით გაქრა. ჩვენ ერთი საბოლოო მიზანი და საბრძოლველად ერთი მიზეზი გვაქვს: ჩვენ ჰიტლერი და მასთან ერთად ნაციზმის ყველა კვალი უნდა აღმოვფხვრათ, ამ გზიდან ვერაფერი გადაგვახვევინებს, ვერაფერი... ნებისმიერი ადამიანი და ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ნაციზმის წინააღმდეგ გაილაშქრებს, ჩვენს დახმარებას მიიღებს, ნებისმიერი ადამიანი და ნებისმიერი ქვეყანა, თუ ჰიტლერს გვერდით ამოუდგება, ჩვენი მტერია. აქედან გამომდინარე, რუსეთსა და რუს ხალხს ყოველნაირად დავეხმარებით.**

ბრიტანეთისა და ამერიკის მილიტარისტულ წრეებში ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ვერმახტი წითელ არმიას მალე მიწასთან გაასწორებდა. საკამათო მხოლოდ ის იყო, ერთ თვეში მოამთავრებდნენ ამ ამბავს თუ სამში.

ზამთრის დადგომასთან ერთად ნათელი შეიქნა, რომ საბჭოთა ჯარი უკეთ იბრძოდა, ვიდრე მისგან მოელოდნენ. სეზონიც მათთვის სასარგებლო დადგა. რუსული ზამთარი, მოგეხსენებათ, დამპყრობლისთვის როგორი სახიფათოა, მოსახლეობამ ვრცელი ტერიტორია დატოვა, მაგრამ მოსკოვსა და ლენინგრადს იცავდა. მოკავშირეების წარმოდგენა წითელ არმიასა და მის შესაძლებლობაზე მცდარი აღმოჩნდა. ყველაზე საინტერესო იყო ის, რომ სტალინმა პოლიტიკური ურთიერთობებიც ყველასთვის მოულოდნელად საკმაოდ პირქუშად დაიწყო. დახმარებისათვის მადლიერებას კი არ გამოთქვამდა, ბუზღუნით იღებდა და თითქოს არც თავისი სტრატეგიის შესახებ აპირებდა რაიმეს გამხელას ვინმესთვის.

კრემლს მალევე შეეტყო, რომ მეტ ინტერესს იჩენდა ამერიკელებისადმი, რომლებიც ჯერ ომში არ მონაწილეობდნენ, ვიდრე ბრიტანელებისადმი, რომლებმაც თავიდანვე გაილაშქრეს ჰიტლერის წინააღმდეგ და ერთ წელიწადს მარტონი იბრძოდნენ. სტალინმა თავისი დამოკიდებულება ამერიკისადმი ჯერ კიდევ ივლისის ბოლოს გამოავლინა, როცა **ჰოპკინსი** ამერიკელების აგებული და ბრიტანელებით დაკომპლექტებული ბომბდამშენით მოსკოვში ჩავიდა.



სტალინმა და ჰოპკინსმა ექვს საათს ისაუბრეს და ამ ექვს საათში სტალინმა გაცილებით მეტი პატივისცემა და გულახდილობა გამოავლინა, ვიდრე ინგლისელ **კრიპსთან** მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ის რუსეთში მსახურობდა. ჩერჩილისათვის ეს პირველი მინიშნება იყო, რომ რუსეთი დიდი ქვეყნის ინტერესს უფრო გაითვალისწინებდა, ვიდრე პატარა კუნძულისას.

1942 წლის 14 იანვარს ჩატარდა არკადიის კონფერენცია. ამ კონფერენციაზე, პირველ რიგში, დაარსდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მომზადდა დეკლარაცია, რომელზეც ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებმა მოაწერეს ხელი. დეკლარაციას ხელი მოაწერეს დანარჩენი ქვეყნების ელჩებმაც. მოკავშირე ძალების დედაქალაქად ვაშინგტონი აღიარეს, აღმოსავლეთის იმპერატორად — სტალინი.

23 იანვარს კრიპსი 19 თვე რუსეთში ელჩად მსახურობის შემდეგ ლონდონში დაბრუნდა. ის მაინცდამაინც წარმატებული ელჩი არ ყოფილა. ჩერჩილს კიდევ ერთი სერიოზული საზრუნავი გაუჩნდა — კრიპსი ჰყავდა დასაბინავებელი. რუსეთიდან ახალდაბრუნებული ყოფილი ელჩის ასკეტიზმი სიმბოლურად საბჭოთა ხალხის სიმამაცითა და თავგანწირვით მიღებულ შთაბეჭდილებას ეფუძნებოდა, მაგრამ სტალინის ასკეტიზმისგან განსხვავდებოდა. კრიპსი ვერც სტალინს დაუახლოვდა ისე, როგორც ეს **ბივერბრუკმა** და **ჰარიმანმა** მოახერხეს, მაგრამ მისი 8 თებერვლის რადიოგამოსვლა ძალიან შთამბეჭდავი გამოდგა: **„ქვეყანაში ისეთი განწყობა სუფევს, (რუსეთში) თითქოს ჩვენ ომის მონაწილეები კი არ ვართ, არამედ მაყურებლები“.**

1941 წლის დეკემბერში ბრიტანელებმა ორი დიდი გემი დაკარგეს, ამ ამბავმა ჩერჩილი ძალიან ცუდ გუნებაზე დააყენა. შემაშფოთებელი იყო ის ფაქტიც, რომ ბრიტანელი ჯარისკაცები სათანადოდ ვერ იბრძოდნენ. პირველი ეჭვი 1940 წელს ნორვეგიაში გაჩნდა. საფრანგეთის ლაშქრობა და 1942 წელს უკვე სინგაპურის დანებება ეჭვებს სულ უფრო აღრმავებდა. 11 თებერვალს ჩერჩილმა **ვაიოლეტ კარტეს** — ძალიან ძველ მეგობარს, რომელსაც ყველაზე გულწრფელად უშლიდა ხოლმე გულს, დიდი წუხილი გაუზიარა: „ჩვენი ჯარისკაცები თავიანთი მამებივით ვერ იბრძვიან. 1915-ში ერთი ჭურვიც რომ ჰქონოდათ დარჩენილი, საშინელი დაბრკოლებების მიუხედავად, ბრძოლას განაგრძობდნენ. ესენი მოპიკირე ბომბდამშენებს ვერ უმკლავდებიან. იმდენი კაცი გვყავდა სინგაპურში, იმდენი — ასე როგორ წახდნენ“.

**ალან ბრუკმაც** სინანულით ჩაწერა დღიურში:

**„თუ არმიას უკეთესად ბრძოლა არ შეუძლია, მაშინ ღირსნი ვართ, იმპერია დავკარგოთ“.**

წარუმატებლობას წარუმატებლობა მოსდევდა. 21 ივნისს ჩერჩილმა მიიღო ცნობა, რომ ლიბიის საპორტო ქალაქ ტობრუკში განლაგებული ბრიტანელთა 35 000-კაციანი გარნიზონი გერმანელებს დანებდა. ჩერჩილი რუზველტთან, ჰოპკინსსა და ისმეისთან ერთად ოვალურ დარბაზში იჯდა, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტს შეტყობინება გადასცეს. „უსიტყვოდ გადმომაწოდა, — იხსენებს ჩერჩილი, — თვალებს ძლივს დავუჯერე“, — უთქვამს პრეზიდენტს.

ლონდონში დაბრუნებულ ჩერჩილს პარლამენტში არასასურველი სურათი დახვდა. დებატები აუცილებელი ხდებოდა. ჩერჩილის კომპეტენტურობა ომის საკითხებში დასაზუსტებელი იყო. დებატები პირველ და ორ ივლისს დაინიშნა.

დებატებში ჩერჩილმა ძველი მეგობრების დახმარებით პრემიერმინისტრის სავარძელი შეინარჩუნა: „პრემიერმინისტრი დებატებს დებატებზე იგებს და ბრძოლას ბრძოლაზე აგებს“. ქვეყანაში ფიქრობენ, რომ ჩერჩილი კამათისას ისე იბრძვის, როგორც ომში უნდა ებრძოლა, ომში კი ისე, როგორც კამათს შეეფერება“, — განაცხადა **ბევინმა.** შემდეგ არმიას გადასწვდა, აღნიშნა: არმიაში კლასობრივი დაპირისპირება და მცდარი შეხედულებებია გამეფებულიო. ბრიტანულ არმიას, ერვინ რომელი რომ ჰყოლოდა, ჯერ კიდევ სერჟანტი იქნებოდაო. ჩერჩილი ოპერაცია „ტორჩის“ დაწყებას აგვიანებდა, რაც ერთანაირად აღიზიანებდა სტალინსა და რუზველტს, რის გამოც 22 ივლისს სტალინმა ჩერჩილს საკმაოდ მკაცრი ტელეგრამა გაუგზავნა. ამან აიძულა პრემიერმინისტრი, სახიფათო გადაწყვეტილება მიეღო და თვითონ ხლებოდა „კაციჭამიას თავის ბუნაგში“.

10 აგვისტოს ჩერჩილმა თეირანამდე 6 საათი იფრინა, თეირანიდან მოსკოვამდე კი — 10 საათი და საღამოს უკვე სტალინს შეხვდა. ჩერჩილს **ჰარიმანი** და **კერი** ახლდნენ, შეხვედრა 3 საათსა და 40 წუთს გაგრძელდა.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**




**ყურადღება!**

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

**ჩერჩილი ოპერაცია «ტორჩის» დაწყებას აგვიანებდა, რაც ერთანაირად აღიზიანებდა სტალინსაც და რუზველტსაც, რის გამოც 22 ივლისს სტალინმა ჩერჩილს საკმაოდ მკაცრი ტელეგრამა გაუგზავნა. ამან აიძულა პრემიერმინისტრი, სახიფათო გადაწყვეტილება მიეღო და თვითონ ხლებოდა «კაციჭამიას თავის ბუნაგში». 10 აგვისტოს ჩერჩილმა თეირანამდე 6 საათი იფრინა, თეირანიდან მოსკოვამდე კი — 10 საათი და საღამოს უკვე სტალინს შეხვდა. ჩერჩილს ჰარიმანი და კერი ახლდნენ, შეხვედრა 3 საათსა და 40 წუთს გაგრძელდა**

ერის საგანძური
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მთავარი კი არის თემატიკა და კომპოზიცია „ციმბელინისა“, რომელიც „ვეფხისტყაოსნისეულია“ და რომლის კვალი ჩანს შექსპირის მომდევნო ნაწარმოებებშიც. შექსპირის ბოლო პერიოდის პიესებია „ციმბელინი“, „ზამთრის ზღაპარი“, „პერიკლე“ და „ქარიშხალი“.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №46 (470)

# ქართველი მეცნიერის სენსაციური აღმოჩენა

# «ვეფხისტყაოსანზე» აგებული შექსპირის პიესები

**ჩვენი მკითხველი „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში უკვე გაეცნო აკადემიკოს ელგუჯა ხინთიბიძის ინტერვიუს, რომელშიც იგი სენსაციურ აღმოჩენაზე (თავად მოკრძალებით ვარაუდს რომ უწოდებს) საუბრობს.**
**დღეს ამ ინტერვიუს დასასრულს გთავაზობთ.**

## აბას პირველის აღმზრდელი და მრჩეველი ქართველი კაცი იყო

— 1599 წლის დასაწყისში შაჰ აბასის კარზე ინგლისიდან 26-კაციანი დელეგაცია გაემგზავრა.

გემი ქალაქ საუთჰამფთონის ნავსადგურიდან გავიდა. სხვათა შორის, ეს ის პორტია, საიდანაც გავიდა „ტიტანიკი“ და ჩაიძირა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა შემდეგში ძალიან ცნობილი დიპლომატი, მოგზაური და, როგორც წერდნენ, ცოტა ავანტიურისტი, სახელად **ანტონი შერლი**. ექსპედიციას აფინანსებდა ორი დიდი ინგლისელი გრაფი — ესექსის გრაფი **რობერტ დევერუქსი** და საუტჰამფტონის გრაფი **ჰენრი საუტჰამფთონი**. ორივენი შემდგომში დაუპირისპირდებიან ელისაბედ I-ს, მოაწყობენ ამბოხს და დედოფალი ორივეს სიკვდილს მიუსჯის.

ინგლისელთა მისია წლის ბოლოს ჩადის შაჰის კარზე.

შერლი ხვდება შაჰს და ცდილობს, დაარწმუნოს სპარსეთის მმართველი, დაიწყოს ომი თურქეთის წინააღმდეგ. ეს ის პერიოდია, როცა თურქეთი ევროპას იპყრობს და ევროპას თურქეთი აშინებს. ანტონი შერლი ბოლოს დაიახლოვა შაჰმა. 6 თვე დაჰყვეს ინგლისელებმა სპარსეთში: ექსპედიციის წევრები დაინტერესებულნი იყვნენ ქვეყნის შესწავლით. **1611 წელს შერლი ლონდონში გამოსცემს წიგნს „ჩემი მოგზაურობა სპარსეთში“, რომელშიც აღნიშნავს, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც ომის დაწყებაა, შაჰი დამოუკიდებლად ვერ გადაწყვეტდა, ამიტომ საჭირო გახდა ვეზირების მიმხრობა. მე ჩემს მხარდამჭერად ორი კაცი ავარჩიეო, — წერს შერლი, — ორივე ქართველი, ყოფილი ქრისტიანები, რომლებსაც შაჰის მამამ მაჰმადიანობა მიაღებინა, მაგრამ გამაჰმადიანება მხოლოდ გარეგნული იყო, რადგან ისინი შინაგანად ქრისტიანებად დარჩნენ და ქრისტიანებს ყოველმხრივ ეხმარებოდნენ. ერთი ალავერდი ხანია, ცნობილი პიროვნება, ირანის სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე, გვარად უნდილაძე; მეორე — ვიღაც თეჰმურაზ მირიმანიძე.**

ალავერდი ხანი შაჰის პირველი მრჩეველი და აღმზრდელია, უწინ იგი **აბას პირველის** მამის მრჩეველი იყო. უახლოესი კაცია სპარსეთის მმართველის. პორტუგალიის ელჩისთვის უთქვამს შაჰს: მთელი სპარსეთი მე მემორჩილება, მე კი ალავერდი ხანს ვმორჩილებო. **ისპაჰანში 1611 წლის ერთ-ერთ ფრესკაზე დახატულია შაჰის მიერ რომელიღაც დიდი ელჩის მიღების ცერემონია. შაჰი ამბობს სიტყვას, ვეზირები გვერდს უმშვენებენ. მიღებული ეტიკეტის თანახმად, მარცხნივ უნდა ეჯდეს შაჰს პირველი კაცი** *(ბატონი ელგუჯა მაჩვენებს ამ ნახატის ფოტორეპროდუქციას, რომელზეც აღბეჭდილია ეს სცენა და შაჰის ხელმარცხნივ მჯდომ სპარსელ ვეზირზე მიმითითებს — ქართველი ალავერდი ხანი ეს არისო).* ყველაზე დიდი ლაშქარი ალავერდი ხანს ჰყავდა. უცხოელების ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ ამ ლაშქრის რაოდენობა 12 ათასია და მთლიანად ქართველებისგან შედგება, რომელთა ასაკი 12-დან 18 წლამდე არისო (ეტყობა, გადაჭარბებულია).

ალავერდი ხანს ჰყავდა შვილები, მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეული იყო **იმამ ყული ხანი**, რომელიც მამამისის შემდეგ უმდიდრესი ადამიანი გახლდათ და დიდი ლაშქარი ჰყავდა. მეორე შვილი **დაუდ ხანი** განჯის ბეგლარბეგი იყო. ალავერდი ხანს ქართველი ცოლი ჰყავს. იმამ ყული ხანის ოთხი ქალიშვილი შაჰის ნებართვით წარმოშობით ქართველებზე არიან გათხოვილნი *(ცნობილია, რომ შაჰ აბასი და ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I ქვისლები იყვნენ. პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზს შერთეს ლუარსაბ მეფის უფროსი და თამარი, უმრწმესი თინათინი კი შაჰ აბასს ჰყავდა ცოლად. —* ***ა.ს.****).* ინგლისურ წყაროებში მითითებულია, რომ ანტონი შერლის და მასთან ერთად ჩასული დელეგაციის მასპინძელი და პატრონი, შაჰის დავალებით, ალავერდი ხანი იყო. თათბირზე, სადაც წყდებოდა თურქეთთან ომის დაწყების საკითხი, სწორედ ალავერდი ხანის სიტყვა აღმოჩნდა გადამწყვეტი *(ელგუჯა ხინთიბიძემ ეს ბრწყინვალე სიტყვა ლონდონში 1611 წელს გამოცემული ანტონი შერლის წიგნიდან ათარგმნინა და გამოაქვეყნა).* **სპარსულ წყაროებში წერია, რომ ალავერდი ხანი და მისი შვილი იმამ ყული ხანი იყვნენ მწიგნობართა მფარველები. მეტიც, ალავერდი ხანი პოეტი იყოო.**

სპარსელი მეცნიერის — **ფალსაფის წიგნში წერია, რომ ალავერდი ხანის აშენებული მეჩეთის ერთ კედელზე ყურანის სურები ქართულად იყო წარწერილიო.**



ელგუჯა ხინთიბიძის გამოსვლა დიდი ბრიტანეთის სამეფო სააზიო საზოგადოებაში 2018 წლის 27 ნოემბერს

**„ინთელიჯენტ სერვისის“ წარგზავნილი დელეგაციის წევრებს მასპინძელი გამაჰმადიანებული ქართველები თავიანთ ისტორიულ სამშობლოზეც რომ მოუყვებოდნენ, „ვეფხისტყაოსანზეც“ რომ ეტყოდნენ, მის შინაარსს რომ უამბობდნენ ცნობისმოყვარე ინგლისელებს, გამორიცხული არ არის.**

ჩვენ უკვე ვთქვით და დავასაბუთეთ, რომ ზემოთ განხილული ინგლისელი ავტორების ნაწარმოებებში ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავია გადმოცემული და შემდეგ ორ ამბად არის გაყოფილი.

ანტონი შერლი შაჰმა თავისთან დაიტოვა და ევროპაში სპარსეთის ელჩად გაგზავნა. ორი გრაფი, რომლებიც ვახსენე, უაღრესად ახლო დამოკიდებულებაში არიან შექსპირის თეატრთან, ანუ სამეფო დასთან, იმდენად ახლოს, რომ, როცა ისინი აუჯანყდებიან დედოფალს, თეატრი მათ დაუჭერს მხარს: შექსპირის ერთ ნაწარმოებს გადააკეთებენ ისე, რომ ელისაბედის წინააღმდეგ მიმართული აღმოჩნდება.

უილიამ შექსპირის ავტორობის გარშემო დღემდე მიმდინარე კამათი თქვენი გაზეთის მკითხველებისთვის ცნობილია. ბევრი ვარაუდია. შექსპირის ნაწერებში მხოლოდ ერთი ისტორიული პიროვნება ჩანს, ვისაც ავტორი უძღვნის თავის ორ ადრინდელ პოემას, იგივე კაცი ჩანს მის ორ სონეტში. ეს არის საუტჰამფთონის გრაფი ჰენრი საუტჰამფთონი, რომელიც ვახსენეთ, როგორც სპარსეთში გაგზავნილი მისიისა თუ ექსპედიციის ერთ-ერთი დამფინანსებელი.

ჰენრი საუტჰამფთონს, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, უმაღლეს ზომას დედოფალი სამუდამო პატიმრობით შეუცვლის. ამ გრაფს უძღვნის შექსპირი თავის ოპუსებს. 1603 წელს გარდაიცვალა ელისაბედი, გამეფდა **ჯეიმს I**, რომელიც მანამდე შოტლანდიის მეფე იყო. შექსპირი წერდა: ჩაესვენაო მიმცხრალი მთვარე, რომელიც აქამდე უნდა მომკვდარიყო (ელისაბედი) და ციხიდან გათავისუფლდა ჩემი სატრფოო (მაი ლავ). ავი ხმები იმასაც ამბობენ, რომ ამათ არატრადიციული სიყვარული აკავშირებდა ერთმანეთთან, მაგრამ ჩვენ ეს გრაფი გვაინტერესებს, როგორც ექსპედიციის სპონსორი და დიდი დრამატურგის უახლოესი მეგობარი.

ანტონი შერლი, ექსპედიციის ხელმძღვანელი, საუტჰამფტონის გრაფის ქვისლია. ცოლები რობერტ დევერუქსის დის შვილები არიან. ერთი წრეა შეკრული. დევერუქსთან მიდის ანტონი შერლის წერილები სპარსეთიდან. რამდენიმე წერილი დღემდეა შემორჩენილი.

ამას იმიტომ გიყვებით, რომ გითხრათ: შექსპირი იცნობდა ანტონი შერლის მოგზაურობის დეტალებს. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ შაჰმა ანტონი შერლი თავის ელჩად წარგზავნა ევროპაში, ხელფასად 3000 კრონი დაუნიშნა. შერლი დევერუქსს წერს, — შაჰმა 3000 კრონის პენსია დამინიშნაო. შექსპირს თავის „მეთორმეტე ღამეში“ ზუსტად აქვს გადმოტანილი ეს ფაქტი — „შაჰის პენსია 3000 კრონი“. სხვა დეტალებიც არის, რომლებიც ადასტურებს ზემოთ თქმულს — შექსპირი სრულად იცნობს შერლის მოგზაურობის დეტალებს მის (შერლის) მიერ გამოგზავნილი წერილობითი შეტყობინებების საშუალებით.

ანტონი შერლი უაღრესად განათლებული კაცია, პოლიგლოტია. ამბობენ, 20 ენა იცოდაო. შერლი იწერდა ხოლმე აღმოსავლეთის ამბებს და თეატრს უგზავნიდა გადასამუშავებლად. ერთ-ერთი ინგლისელი ავტორის აზრით, შექსპირის ბოლო პერიოდის პიესები შერლის ჩაწერილია, მაგრამ გადამუშავებულია შექსპირის მიერ.

**— ესეც ვარაუდია?**

— ვარაუდია, მაგრამ სარწმუნო ისაა, რომ სპარსეთიდან მიდის ცნობები და, ალბათ, სიუჟეტებიც თეატრალურ დასში. **ოტელო ბოლო მონოლოგში („ჯერ შეიცადეთ“...), სიცოცხლესთან განშორების წინ ამბობს: „როცა ერთხელ ალეპოში ოსმალო ვინმე, თავს რიდე-დგმული, სიამაყით გულზედ მოსული, ვენეციელსა სცემდა ერთსა და მის ქვეყანას უშვერის სიტყვით აგინებდა, მივწვდი მე ყელში იმ ქოფაკ ძაღლსა, წინდაცვეთილს და დავკალ ასე“ და ხმალს გულში ჩაიცემს.**

ზუსტად ეს სიტყვები წერია ანტონი შერლის ერთ-ერთი თანამგზავრის მიერ ინგლისში გამოგზავნილ ჩანაწერში: ალეპოში რომ გავჩერდით, მოწმენი გავხდით იმისა, რომ თურქს ვენეციელი ჰყავდა დაჭერილი, სცემდა და აგინებდაო მის ქვეყანას. სიტყვასიტყვით აქვს გადმოტანილი შექსპირს ეს ამბავი.

**— ე. ი. სპარსეთიდან იწერებიან, როგორც ამბავს, და შექსპირიც უცვლელად იყენებს.**

— ზუსტად გადმოაქვს, როგორც ოტელოს მონოლოგის შემადგენელი ნაწილი.

საინტერესო რა არის, იცით? შერლის ეს წერილი, რომლის ფრაგმენტს იყენებს შექსპირი, იმ დროს გამოქვეყნებული არ არის. მეცნიერებმა აგერ, ახლახან დაბეჭდეს. თუმცა ვიცით, რომ წერილი ექსპედიციის სპარსეთში ჩასვლის პირველ წელსვეა გაგზავნილი დევერუქსისადმი და მას კითხულობს შექსპირი.

## ერთი საერთო წყარო „ვეფხისტყაოსანია“

**ბატონი ელგუჯა განაგრძობს „ფილასტერთან“ დაკავშირებული მასალების შესწავლას.**

— ინგლისელმა მეცნ-

▶



# ინტერპოლი: მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ისლამური ტერორიზმის მეორე ტალღა შეიძლება დაემუქროს

**„მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ისლამური ტერორიზმის მეორე ტალღა შეიძლება დაემუქროს“, — განაცხადა ინტერპოლის გენერალურმა მდივანმა იურგენ შტოკმა. მისი თქმით, ამგვარ სიტუაციას შეიძლება ეწოდოს „ისლამური სახელმწიფოს“ ვერსია 2.0“.**

ინტერპოლის გენერალური მდივანი აღნიშნავს, რომ ტერორისტების თანამზრახველები ციხეებში მცირე ვადის სასჯელს იხდიან, ვინაიდან მათთვის გამოტანილი განაჩენები არ იყო მიბმული კონკრეტულ თავდასხმებზე.

„ტერორიზმის მხარდამჭერების თაობა რამდენიმე წელიწადში გათავისუფლდება. ჯიჰადისტური დაჯგუფება დამარცხებული რომ ყოფილიყო გეოგრაფიულ ჭრილში, მისი მხარდამჭერები შეეცდებოდნენ მსოფლიოს სხვა რეგიონებში გადაბარგებას, მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ან აფრიკაში“, — განაცხადა შტოკმა.

INTERPOL

ერის საგანძური
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შექსპირის გვიანდელ პიესებში ჩანს სასახლიდან გადაკარგვა ქალის, ზოგჯერ უფლისწულის, ზღვაში გადაგდება, უმართავ ნავსა თუ კიდოგანში დატოვება, რათა თავისით გაქრეს და დაიღუპოს, მაგრამ ბოლოს მაინც იმარჯვებს სიკეთე.

◀ იერებმა შენიშნეს, რომ პიესა „ფილასტერი“ ძალიან ჰგავს შექსპირის ერთ ნაწარმოებს, რომლის სახელწოდებაა „ციმბელინი“ და დაწერილია დაახლოებით 1608-1610 წლებში.

ერთი ევროპელი მკვლევარი XIX საუკუნის ბოლოს შენიშნავს, რომ „ფილასტერი“ შექსპირის „ციმბელინიდან“ სესხულობს ბევრ რამეს. ძალიან ჰგავსო.

1901 წელს აშშ-ში გამოდის ცნობილი ავტორის — **თორდაიკის** წიგნი ბომონტისა და ფლეტჩერის შექსპირზე გავლენის შესახებ. ის ამტკიცებს, რომ შექსპირი გაჰყვა იმათ ტრაგიკომედიურ სტილს, რაც აშკარად ჩანს მის ბოლოდროინდელ ნაწარმოებებში. შექსპირის „ციმბელინი“ (მეფის სახელია) უფრო გვიან ჩანს დაწერილი. ყოველ შემთხვევაში, 1611 წელს სცენაზე იდგმებოდა, ანუ მას შემდეგ, რაც „ფილასტერი“ უკვე პოპულარული იყო.

**და ბატონი ელგუჯა ასკვნის (მიაქციეთ ამას ყურადღება!):**

— ყველა დეტალი, რომლებიც, ამ მეცნიერების აზრით, ამ ორ პიესაში ერთმანეთს ჰგავს, გამოდის „ვეფხისტყაოსნიდან“, „ვეფხისტყაოსნისეულია“.

**ერთი მეცნიერი ამბობს, რომ ერთმა ავტორმა მეორისგან გადაიღო; მეორე მეცნიერი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ხოლო უფრო თანამედროვე მეცნიერს მიაჩნია, რომ ერთმანეთისგან კი არ უსესხებიათ, არამედ მათ ერთი საერთო წყარო აქვთ. იმასაც ამბობენ, რომ ეს საერთო წყაროა შუა საუკუნეების რომელიღაც რომანი.**

მაგრამ ხომ არ შეიძლება მსგავსება ზუსტი კალკი იყოს — ცოტა განსხვავებულია. ის მცირე განსხვავებებიც, რომლებიც შეიმჩნევა, „ვეფხისტყაოსნისეულია“. ის დეტალებიც რუსთაველიდან მოდის.

**ამას ამტკიცებს ქართველი მკვლევარი!**

**— ერთი ასეთი დეტალი დაასახელეთ, თუ შეიძლება, ბატონო ელგუჯა.**

— ერთი მაინც ვთქვათ. ერთი მაინც ვთქვათ... — **ჩაფიქრდება რესპონდენტი და დასძენს,** — ერთს გეტყვი და შემდეგ უფრო საინტერესოსაც დავუმატებ.

ორივე შემთხვევაში სამეფო ოჯახს გასათხოვი ქალიშვილი ჰყავს და ორივე შემთხვევაში მეფესა და დედოფალს შერჩეული ჰყავთ სასიძო. ორივე შემთხვევაში ქალიშვილებს არ სურთ, ცოლად გაჰყვნენ მშობლების მიერ შერჩეულ საქმროებს. მათ საკუთარი სატრფოები ჰყავთ. „ფილასტერში“ მეფის მემკვიდრე ქალიშვილის სატრფო არის შემოერთებული ქვეყნის უფლისწული. „ციმბელინში“, ანუ შექსპირთან შემოერთებული სახელმწიფოს უფლისწული არ არის, მაგრამ არის ახალგაზრდა, რომელიც მეფის მიერ მასთან (ქალიშვილთან) ერთად არის აღზრდილი. ჩემთან ერთად რომ იზრდებოდა, ის შემიყვარდაო, — ეუბნება ქალიშვილი მეფეს. ამ სხვაობათაგან ორივე „ვეფხისტყაოსნისეულია“.

**მეორე.** ფილასტერი შეუყვარდება ერთი დიდებულის ქალიშვილს. ვაჟად გადაიცვამს და პაჟად დაუდგება უფლისწულს. ფილასტერი ყვება, პირველად როგორ ნახა იგი: ვნადირობდი, დავინახე, რომ წყლის პირას ზის შესანიშნავი ახალგაზრდა და ტირის. მოვიხიბლე. მომინდა მასთან შეხვედრაო. **გავიხსენოთ: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“, — ზუსტად „ვეფხისტყაოსანია“. ამას დავამატოთ ის, რომ შექსპირის „ციმბელინში“ სამეფოდან გადაკარგული უფლისწული გამოქვაბულშია დამკვიდრებული და სამეფო კარის ძველი ამბის მბობა იქ ხდება. ეს „ვეფხისტყაოსნისეულია“.**

შექსპირი იღებს ნაწარმოების თემას: ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ამბავს. მეფეს ჰყავს გასათხოვი ქალიშვილი და მისთვის შეარჩევს შესაფერის საქმროს, ახალგაზრდა კაცს, რომელიც მას შეჰფერის. ქალიშვილი ამ შერჩეულს იწუნებს და სურს, გაჰყვეს ისეთ პიროვნებას, რომელიც უკვე სამეფო კარის მოხელეა, მაგრამ სიძედ, არსებული წესის თანახმად, უნდა მოიყვანონ მეფისწული, მეფის ძე და არა ქვეშევრდომი. ტარიელი ქვეშევრდომია, ვეზირი. **შექსპირის „ციმბელინში“, როგორც „ვეფხისტყაოსანში“, გატარებულია სამეფო მემკვიდრეობის იდეა — სამეფო ტახტი შეუნარჩუნდეს მემკვიდრეს და არა „ხვარაზმშა დავსვა ხელმწიფედ“, „ესე ამბად არ იქნების, რომე სპარსნი გაგვიხასდნენ“.**

შექსპირის პიესაში ჩანს „ვეფხისტყაოსნისეული“ კომპოზიცია. ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში შენიშნულია, რომ „ციმბელინში“ პირველად იცვლება კომპოზიცია, რომელიც შექსპირის ადრინდელ ტრაგედიებში ჩანს: ამბავი იწყება, კვანძი შეიკვრება სამეფო კარზე, გაგრძელდება სამეფო კარს მიღმა, სხვა სივრცეში, რაც შუა საუკუნეების რომანების ტრადიციაა. სხვა სივრცეში გაიხსნება ეს კვანძი და დასრულდება ისევ სამეფო კარზე, დასრულდება ბედნიერად. ზუსტად „ვეფხისტყაოსნისეული“ კომპოზიციაა.

სასიძოს, რომელსაც სურს მემკვიდრე ქალის შერთვა და ამ გზით ქვეყნის მეფობის ხელში ჩაგდება, კლავს ჭეშმარიტი უფლისწული, როგორც „ვეფხისტყაოსანშია“. აი, ბატონო არმაზ, პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც თქვენ აგრერიგად გაინტერესებდათ.

დეტალი ბევრია-მეთქი, მაგრამ ეს ვიკმაროთ.

მთავარ ხაზს მივყვეთ.

**მთავარი კი არის თემატიკა და კომპოზიცია „ციმბელინისა“, რომელიც „ვეფხისტყაოსნისეულია“ და რომლის კვალი ჩანს შექსპირის მომდევნო ნაწარმოებებშიც. შექსპირის ბოლო პერიოდის პიესებია „ციმბელინი“, „ზამთრის ზღაპარი“, „პერიკლე“ და „ქარიშხალი“.**

განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებიან „ციმბელინს“ — ეძებენ, იკვლევენ, საიდან წამოვიდა ეს ნაწარმოები. შექსპირი თავდაპირველად წერდა ტრაგედიებს ან კომედიებს. ამას მოსდევს ნაწარმოებები, რომლებიც იწყება ტრაგიკულად, მაგრამ მთავრდება ბედნიერად. მის ყველა ბოლო ნაწარმოებში იცვლება ძველი სტილი, კომპოზიცია: ამბავი იწყება სამეფო კარზე, გადის სხვაგან და უბრუნდება სამეფო კარს ბედნიერებად. ყველა ნაწარმოებში ჩანს რაღაც საერთო: ამბავი ხდება ზღვასთან დაკავშირებულ სივრცეში. შექსპირის პირველი პერიოდის ტრაგედიებში ამ თვალსაზრისით ერთადერთია „ვენეციელი ვაჭარი“: ზღვაზე გემის დაღუპვა.

**შექსპირის გვიანდელ პიესებში ჩანს სასახლიდან გადაკარგვა ქალის, ზოგჯერ უფლისწულის, ზღვაში გადაგდება, უმართავ ნავსა თუ კიდოგანში დატოვება, რათა თავისით გაქრეს და დაიღუპოს, მაგრამ ბოლოს მაინც იმარჯვებს სიკეთე.** ყველაფერი მთავრდება უფლისწულების ბედნიერი დაქორწინებით.

**ბატონი ელგუჯა ხაზგასმით ამბობს, რომ იგი ამ ფაქტებს იმიტომ კი არ ასახელებს, რამე რომ დაამტკიცოს, არამედ იმიტომ, რომ დაგვანახვოს რემინიცინციები. ამ მთავარ ღერძზეა ასხმული მისი წიგნი, რომელიც ინგლისურ ენაზე გამოიცა ევროპაში და ჰქვია „შუასაუკუნეების ქართული რომანი და შექსპირის ბოლო პერიოდის პიესები“.**

**ამ წიგნის წარდგენა გაიმართა ლონდონში 27 ნოემბერს „სამეფო სააზიო საზოგადოებაში“ და იყო დიდად წარმატებული.**

**დაბოლოს დასკვნა, რომელსაც ბატონი ელგუჯა ხინთიბიძე გვთავაზობს:**

**— „ვეფხისტყაოსნიდან“ რომ არის შესული ინგლისურ დრამატურგიაში ყველაფერი ის, რაზეც ვილაპარაკეთ, ამაში ეჭვის შეტანა, არა თუ ძნელია, შეუძლებელიცაა. ხოლო სპარსეთიდან რომ მივიდა „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისში, ეს მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ, ჩემი აზრით, სარწმუნო ვარაუდი!**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«ვეფხისტყაოსნიდან» რომ არის შესული ინგლისურ დრამატურგიაში ყველაფერი ის, რაზეც ვილაპარაკეთ, ამაში ეჭვის შეტანა, არა თუ ძნელია, შეუძლებელიცაა. ხოლო სპარსეთიდან რომ მივიდა «ვეფხისტყაოსანი» ინგლისში, ეს მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ, ჩემი აზრით, სარწმუნო ვარაუდი!»**




**ბრიტანეთ-საქართველოს საზოგადოების მიერ მოწყობილ რუსთაველის დღეზე მიწვევის ბარათი, სადაც გაიმართა ელგუჯა ხინთიბიძის წიგნის „შუა საუკუნეების ქართული რომანი „ვეფხისტყაოსანი“ და შექსპირის ბოლოდროინდელი პიესები“ წარდგენა**



ალავერდი-ხანი (უნდილაძე) შაჰ-აბას I-ის ხელმარცხნივ ზის

**P.S.** **შესანიშნავი ქართველი მეცნიერის — ელგუჯა ხინთიბიძის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის შესახებ პუბლიკაციის დასასრულს XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის — დონ კრისტოფორო დე კასტელის ეპიგრაფად გამოტანილი ციტატის მკითხველებისთვის სრულად წარდგენის სურვილი გამიჩნდა (არ მკითხოთ — რატომ):**

**„ეჰ, ვუმზერ საქართველოს და (გული ცრემლებით მევსება)... იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სივრცე წარმოშვა, ახლა კი უვიცობის წყარო გამხდარა, სადაც თავიანთი შემეცნების სიბრმავის გამო ბევრი სიღატაკეში ჩავარდნილა და სადაც ყველა ღმერთი მიტოვებულია“ *(ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. გვ. 203).***

**„მწყურვალენო, მოდით წყალთან!“ — ესეც იქიდანაა.**

**ა.ს.**

**«შექსპირის «ციმბელინში», როგორც «ვეფხისტყაოსანში», გატარებულია სამეფო მემკვიდრეობის იდეა — სამეფო ტახტი შეუნარჩუნდეს მემკვიდრეს და არა «ხვარაზმშა დავსვა ხელმწიფედ», «ესე ამბად არ იქნების, რომე სპარსნი გაგვიხასდნენ»**

მსოფლიო




## შვედეთში ძალადობის პრობლემა ფრიად გამძაფრებულია

**შვედეთში დიდი გავლენის მქონე „ზომიერი კოალიციური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის, ულფ კრისტენსონის, განცხადებით, ქვეყანაში ძალადობის პრობლემა ისეთი ექსტრემალური გახდა, რომ ეს ყველაფერი უკვე განგსტერულ ფილმს ჰგავს.**



საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ღმერთო, მოუმართე ხელი ყოველ იმას, ვინც თავის საკუთარ ბედნიერებად ჰხადის მთელის ქართველობის ბედნიერებას და ამ პატიოსან წადილით განდიდებული და გაძლიერებული გამოვა სამოქმედო მოედანზე და თავგანწირულობით მხნედ მებრძოლი საქმის ბურთს გაიტანს და ნავალი გზა, მისგან თელილი, ბრწყინვალე კვალს დასტოვებს შემდეგთა სამაგალითოდ და მადლობით მოსახსენებლად“.

# ღმერთმა ნუ დაგაბეროთ





ორი საუკუნის წინათ საახალწლოდ დიდი ილია წერდა, რომ ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოილო ჩვენზე და დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამო. ილიას ტკივილიანი რიტორიკული შეკითხვები „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ დღესაც აქტუალურია — პრობლემა, რომელიც იყო XIX საუკუნეში, კვლავ დგას. ქართველი ერი, ისევე, როგორც უწინ, ახლაც მძიმე დღეშია — ცრუ დაპირებები, სიყალბე, შური, მოძმის მტრობა, ღალატი, გაუტანლობა...

თითქოს თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთვნის?

რაზე იზრდებოდნენ ჩვენი წინაპრები და რაზე იზრდება მომავალი თაობა?...

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ილიას დარად ჩვენც ვისურვოთ, რომ მომავალ თაობებს თვალი აეხილოთ, ყურებიდან ბამბა გამოეცალოთ, ფუტკრისგან ისწავლონ „დროთა შესაფერი სამამაცო ზნენი“, რათა მათ მაინც აღარ თქვან: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

და თქვან, რომ აშენდა და გაძლიერდა ქვეყანა, რომ ჩვენისთანა ბედნიერი ერი მართლაც არსად არ არის.

ვისურვოთ, რომ „ღვთის წყალობასთან ერთად წყალობა მოილოს ჩვენზე ჩვენმა მხნეობამაც, ჩვენმა გამრჯელობამაც და ფრთა-ასხმულმა სიყვარულმა ქვეყნისამ, დღეს-აქამომდე უქმი ქართველი საქმიან კაცად გარდაჰქმნას მისის ქვეყნის სასიხარულოდ და სასიქადულოდ.

ღმერთო, გვისმინე ეს ვედრება, ეს ნატვრა, მოგვეც ძალღონე საქმის ქმნისა, და ჩვენი მარჯვენა, ჩვენი ჭკუა და გონება, ჩვენი გული მოგვახმარებინე ჩვენის ქვეყნის გასაღონიერებლად, გასაძლიერებლად. ღმერთო, მოუმართე ხელი ყოველ იმას, ვინც თავის საკუთარ ბედნიერებად ჰხადის მთელის ქართველობის ბედნიერებას და ამ პატიოსან წადილით განდიდებული და გაძლიერებული გამოვა სამოქმედო მოედანზე და თავგანწირულობით მხნედ მებრძოლი საქმის ბურთს გაიტანს და ნავალი გზა, მისგან თელილი, ბრწყინვალე კვალს დასტოვებს შემდეგთა სამაგალითოდ და მადლობით მოსახსენებლად“.

დამდეგ ახალ წელს გილოცავ, ჩვენო მკითხველო და აქვე ილიას წინასაახალწლო პუბლიკაციას „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“ შემოგთავაზებთ, რომლის საახალწლო განწყობა და უკეთესი ხვალინდელი დღის იმედი, მინდა, თქვენც გადმოგედოს.

**მრავალ ახალ წელს! იცოცხლეთ, ღმერთმა ნუ დაგაბეროთ!**

„წავიდა ძველი წელიწადი – ეგ უგემური, უმადური, უმადლო, ილაჯ-გაწყვეტილი და პირგამშრალი ბებრუცანა. გუშინ ღამის თორმეტს საათზედ ანდერძი ავუგევით და ჩავაბარეთ მის გაუმაძღარს პატრონს, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, და საუკუნოება ჰქვიან. ნეტა რა პირით შეეყრება მაგ ულმობელს პატრონს ეგ პირშავი, პირუტყვი წელიწადი? რა ანგარიშებს დაულაგებს, დავთრებს რა მაცდურობით გადაუშლის, სასწორის ულელს როგორ ასწევს და დასწევს? ეს ძველი წელიწადი ჩვენგან, კაცთაგან, ისე გაცუღლუტებული იყო, რომ არა მგონია, თავის უტყუარ გამკითხავის წინაშე თავისი ოინბაზობა დაიშალოს, ერთს-ორს მალაყს მაინც გადავა. ხოლო მისი პატრონი საუკუნოება, თუმცა გაუმაძღარია და ბევრად-ბევრი მაგისთანა წელიწადი გადაუყლაპავს, და როგორც ვეშაპს წვეთი, ისე ადვილად მოუნელებია, მაგრამ რომის პაპსავით შეუცდომელი გამკითხავია, და თუ უწინდელ დიამბეგსავით დაუქრთამებელი არ არის, მაინც უანგაროა. რაც უნდა მალაყებს გადავიდეს, იგი გამკითხავი თავის უანგაროს, უტყუარს და პირმოუფერებელს მსჯავრს დასდევს. ამ მსჯავრს არც აპელაცია აქვს, არც კასაცია, თუმცა-კი ამეებში გავარჯიშებული, გაწურთვნილი და ადვოკატებისაგან გაცუღლუტებული ძველი წელიწადი თავისას ეცდება, რომ ერთიც მოახერხოს და მეორეც. მაგრამ ამაოდ-კი: განაჩენი საუკუნოებისა დაურღვეველი და შეუცვლელია.

საზარელი სახე ჰქონდა ამ მიცვალებულს ბებერსა: კბილები ჩამტვრეული, პირის-სახის კანი მეშსავით შემხმარი, დამჭკნარ ლელვსავით დანაოჭებული, წელწახრილი, ხელფეხ-გაშეშებული, თვალებ-ჩაცვივნული, უსულო, უგულო, უსისხლო და უსიცოცხლო. შემეზარა, თვალი მოვარიდე, ზურგი შევუქციე, პირი მზის ამოსვლისაკენა ვქენი და რა დავინახე? **პატარა ოქროსთმიანმა, თურაშაულ ვაშლსავით წითურმა, ჩაბურთებულმა, ჩასუქებულმა, ახლად დაბადებულმა ბავშვმა შემომცინა თავის უმანკოებით სავსე მშვენიერ ღიმილითა. ზურგთ უკან ძველია, თვალ-წინ ახალი, იქ სიკვდილია, აქ — სიცოცხლე, იქ გახრწნილებაა, აქ — აღყვავება, იქ მზე ჰშლის, ალპობს და ჰხრწნის, აქ — ჰბადავს, ჰზრდის და აკოკრებს, იქ მომწყდარია წყარო ცხორებისა, აქ — დუღს და ჩუხჩუხებს, იქ სამარეა, აქ — აკვანი.**

წავიდა ნავარდზედ ჩემი გულის თქმა, როგორც გათამამებული მიმინო, და ვსთქვი გულში: ამ ახლად-შობილის აკვანს ნეტა რა-რიგი ბედი დაარწევს-მეთქი?

ვაი თუ!.. მაგრამ რა ვაი თუ? დღეს ახალი წელიწადია და შავი ფიქრი შორს ჩვენგან. ახალი წელიწადია, მაგრამ როგორ მოგილოცოთ ეს პირველი დღე ახალის წელისა, — არ ვიცი. **ჩვენს ძველს ჩვეულებას რომ ავყვეთ, უნდა შაქრის-ყინული მოგართოთ და მოგახსენოთ: „ღმერთმა ასე ტკბილად დაგაბეროთ“. მე თუ მკითხავთ, ამის თქმა ვერ მეჭაშნიკება. არ ვიცი, სხვა რას იტყვის და მე-კი ეგ წყევლა მგონია და არა დალოცვა. ნეტა რა სანატრელია სიბერე? სიბერე ყველა ჭირზედ უფრო ძნელი ჭირია. სხვა ჭირი ან მოვა, ან არა, სათუო საქმეა. სიბერეს კი სად გაექცევა ადამიანი? დღეს იქნება თუ ხვალე, უსათუოდ მოცოცდება თავისთავად და ჩვენდა დაუკითხავად იასაულად ჩაგვიდგება ტანში. ვერც ვერავინ გადაუდგება წინ, ვერც ვერავინ გადაურჩება. ეს ერთი. მეორე ისა, რომ სხვა ჭირს, თვინიერ მამულების გამიჯვნის ჭირისა, რაც უნდა იყოს, როგორმე მოევლება, თუ კაცი არ გაბრიყვდა და ჩვენებურ ექიმებს არ ჩაუვარდა ხელში, სიბერეს კი წამალი არა აქვს. სიბერე დროთა-ბრუნვის „ისპოლნიტელნი ლისტია“.** დროთაბრუნვა კიდევ ჩვენს საადგილმამულო ბანკზედ უფრო ულმობელი, უფრო შეუბრალებელი მოვახშეა. რაც უნდა ძვირფას ღერბიან ქაღალდზედ საჩივარი დასწეროთ, მაგ „ისპოლნიტელნი ლისტს“ ვერავინ გააუქმებს! სიკვდილის ბოქაულს, სულთამხუთავს, ხელთ უპყრია აღსასრულებლად.

ღმერთმანი, ზოგიერთებსავით დაჰქრთამავ, ხახას ჩაულბობ და უკან გააბრუნებ! მოვა კარებს დაგიკაკუნებთ, თუ არ გაუღეთ, ისე შემოგეპარებათ, რომ ვერც-კი გაიგოთ. ვერავინ ვერ წაუვა ხელიდამ, თუნდა მთელი რაც მარშლებია, სულ წამოგესარჩლონ.

პრიკაზის ვალი შეიძლება გაპატიონ, შეიძლება საადგილ-მამულო ბანკი იმისთანა ბანკად გადაიქცეს, რომელსაც ჩვენი სანატრელი სახელი ჰქვიან: „ავიღე და აღარ მოგეციო“; შეიძლება სომეხმა გუთანს მოჰკიდოს ხელი და ქართველმა – დუქანს; შეიძლება ქართველი კაცი ისე დაჭკვიანდეს, რომ ადვილად ასაღებს ვალს ძნელად შეჰბედოს და ხვალინდელი ქათამი დღევანდელს კვერცხს ამჯობინოს. შეიძლება ქართველი კაცი ისე გამოკეთდეს, რომ არამც-თუ ძმამ ძმას უმტროს და აბეზღოს, არამედ სხვის მტრობაც შეეზაროს; შეიძლება ჩვენმა ქალებმა ქართული ლაპარაკი აღარ ითაკილონ, იქნება რაღაცა დაისწავლონ, იქნება დაისწავლონ კიდეც და ძერა-დედობის სათამაშოდ მოწყობილი ტიურნიურები, როგორც იყოს, ცრემლის ფრქვევით და ვაი-ვაგლახით დასთმონ; შეიძლება ქართველმა კაცმა სასკოლო ფული, თავის შვილების გასაზრდელად, ჭაპან-წყვეტით როგორც იქნება გამოიმეტოს; შეიძლება ქართული ლიტერატურა ისე გამოკეთდეს, რომ ლანძღვა და თრევა ლიტერატურად კი არა, უკადრისობად ჩაითვალოს და გაუპატიურება ადამიანისა უწვრთნელობაში ჩამოერთვას გამაუპატიურებელს; შეიძლება ჩვენი მტკვარი დოდ იქცეს, გორის ციხე — ჯამად, იალბუზი — ჯამში ჩაყრილ მჭადად, მცხეთის ხიდი — კოვზად და ისეთი მუცელიც ჰქონდეს კაცს, რომ ყოველივე ეს ერთ სადილადაც არა ჰყოფნიდეს, — გლეხური სიმღერისა არ იყოს; შეიძლება — ზღვა დაშრეს, ქვიშა გამოჩნდეს, თევზი მთასვლიდეს სიარულითა, ვირი ბჭედ იჯდეს, ჯორი შვილს ზრდიდეს, მგელი თავს ადგეს ჭიანურითა (ძველი სიმღერაა).

ყოველივე ეს შესაძლოა, მხოლოდ ოთხი რამ არის ყოვლად შეუძლებელი: ერთი — ვალში ჩავარდნილ ქართველ კაცის ვალიდამ გამოსვლა, მეორე — ქართველ ლიტერატორის კუჭმაძღარობა, მესამე — აქაურის ექიმებისაგან კაცის მორჩენა და მეოთხე — დროთა-ბრუნვის „ისპოლნიტელნი ლისტის“ გაუქმება და თავიდამ აცდენა. **სიბერე, ბატონებო, რაც გინდათ სთქვით, სენია, და სენი ტკბილი იყოს, თუნდა მწარე, ორივ ღმერთმა დასწყევლოს. სხვისა არ ვიცი და მე-კი ღმერთმა თავის-დღეში ნუ დამაბეროს. ღმერთმა ცხოველმყოფელი სიჭაბუკე არ მომაკლოს, არ მომიშალოს, ვინემ პირში სული მიდგა, ანუ ვინემ შევესწრებოდე იმისთანა ქართველის კაცის ნახვას, რომ მოძმესათვის არ ემტროს, სხვის სიკეთე არ შეშურვებიდეს და ვალი თავისდღეში არ აეღოს და, თუ აეღოს, გადაეხადნოს.**

ბევრი წყალი ჩაივლის მინამდის, მართალია, მაგრამ სიცოცხლე არავის მოსჭარბდება. მეც დიდის ხნით სიცოცხლე მინდა თქვენთვისაც და ჩემთვისაცა. მართალია, არც იმისთანის ნატვრა უნდა, რაც უიმისოდაც არ აგვცდება, და არც იმისთანისა, რასაც თითონ ბუნება უარყოფს და არ გვითმობს. სიჭაბუკე ბუნებითად წარმავალია, მოკლე ხნით მოსული სტუმარია, დილით მოვა და საღამოთი მიდის და, როგორ შეიძლება ადამიანს სამუდამოდ შეჰრჩესო, მეტყვიან? მართალი ბრძანებაა. **სიჭაბუკე მოკლე ხნის სტუმარია. ხოლო ვიკითხოთ: ვისთვის და რისთვის? მარტო ხორცისათვის. დროთა-ბრუნვა მარტო ხორცს ერჩის, ხორცსა სძლევს. ხორცს მაგისათვის არც ფარი აქვს, არც ხმალი. ადამიანი ხატებაა ღვთაებისა განა ხორცითა? ადამიანს ხორცის გარდა ერთი რამ სხვა მოჰმადლებია, რომლითაც იგი ადამიანობს ვით კერძო ღვთისა. ის ერთი – სული და გულია, უჭკნობლობის ნიჭით და ღონით დალოცვილი. ეგ ღვთაებრივი ნიჭი, როგორც ყოველივე ღვთაებრივი, დროთა მბრძანებელია და არა ყმა. შესაძლოა, ხორცი დაბერდეს, დაუძლურდეს, სული და გულიკი ისე ჰყვაოდეს, ზეგარდმო მადლით შუქმოფენილი და მრავალფერად გადაშლილი, თუკი ადამიანი საკადრისად უპატრონებს, ადამიანურად მოუვლის, ხორცის მბრძანებლად გახდის და ხორცს არ გაალახვინებს**. მე ვსთქვი – ეგ ნიჭია-მეთქი და ნიჭს ზრდა, წრთვნა, გახსნა და გაშლა უნდა. ყოველი ცოტად თუ ბევრად სხვაზედ აღმატებული კაცი არ შეიძლება ამ გზას ასცდენოდეს, და ამიტომაც მოხდება, რომ ხორცით დაბერებულს სული და გული ჭაბუკისა შერჩება ხოლმე საფლავის კარამდინა. უკეთესნი და უდიდესნი კაცნი ქვეყნიერობაზედ ამისთანანი ყოფილან. **საქმე ის არის, ხორცთან ერთად არ დაგიბერდეს სული და გული, სულით და გულით ყოველთვის ჭაბუკი იყო, და მაშინ ფარიც ხელთ გექნება მოსაგერად და ხმალიც სატევრად.**

ეხლა-კი შემიძლიან ჩემებურად მოგილოცოთ ახალი წელიწადი: მაშ, ღმერთმა თქვენც თავის-დღეში ნუ დაგაბეროთ, ღმერთმა ყოვლად შემძლებელი, ცხოველმყოფელი სიჭაბუკე არ მოგაკლოთ, არ მოგიშალოთ, ვინემ ცოცხალ ხართ. „ვინემ ცოცხალ ვართ, ეგრე

**«ნუთუ ერს ან ქვეყანას მოუხდება ესეთი დალოცვა: ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო? ღმერთმა ნუ ქნას! ერის სიბერე ერის აღგვაა დედამიწის ზურგიდამ. შორს ჩვენგან სიბერე! ერს ერთი სული, ერთი გული აქვს, ხოლო ხორცი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია. როგორც ყველასი ერთად და ერთს დროს დაბერება არ შეიძლება, ისეც ერისა»**



გიგანტური ველოსიპედის ძეგლი — მისი ავტორია ფრანგი მოქანდაკე ჟან დუპა. 2011 წელს ის დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილას დაიდგა. ეს არის 10 მ სიმაღლისა და 20 მ სიგრძის რკინის კონსტრუქცია, რომელსაც აქვს ორი საჭე და ორი დასაჯდომი. „ძეგლმა" დადგმისთანავე მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კრიტიკა დაიმსახურა.

დედაქალაქის ისტორია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვქნათ, ვახაროთ ჩვენსა იასა, მოვკვდებით, გაუხარდება სამარის კარსა ჭიასა" *(ფშაური ლექსია — რედ.).*

მაინც ვშიშობ, ვაი თუ ეს დალოცვა მიწყინოთ-მეთქი. უწინდელს ისე შევჩვეულვართ, რომ მეც თითონ ტანში ჟრუანტელი მივლის, როცა ვამბობ: ღმერთმა ნუ დამაბეროს-მეთქი. ეს ამისთანა თქმა წყევლად არის ჩვენში მიღებული. ჩვენმა მოხუცებულმა დედაბერმა რომ გამიგონოს, ღვთის გმობად ჩამომართმევს, მომვარდება, პირზედ ხელს ამაფარებს და მეტყვის: „ნუ, ნუ, შვილო, ეგრე თავს ნუ გამოიმეტებ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი. ნუ აწყენინებ ღმერთსა, ნუ იწყევლი თავსაო". ლამის გული გადამიდგეს და ამ დედაბერს მიემხროს! რა ძნელი ყოფილა ჩვეულება.

მე რომ თვითოეულთან ცალკე მქონდეს ამ შემთხვევაში საქმე, იქნება დედაბერს დაეძლია და მე ჩვენის ძველის ჩვეულებისამებრ მოვქცეულიყავ და ეს ახალი დალოცვა თუ მოლოცვა არ შემომეღო. მე სახეში მყევხართ ყველანი ერთად. ყველანი ერთად ხომ ერია, ქვეყანაა. **ნუთუ ერს ან ქვეყანას მოუხდება ესეთი დალოცვა: ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო? ღმერთმა ნუ ქნას! ერის სიბერე ერის აღგვაა დედამიწის ზურგიდამ. შორს ჩვენგან სიბერე! ერს ერთი სული, ერთი გული აქვს, ხოლო ხორცი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია. როგორც ყველასი ერთად და ერთს დროს დაბერება არ შეიძლება, ისეც ერისა.** ივანე ბერდება და მიდის, პეტრე იბადება და მოდის, და ერი-კი ისევ ერია, ერთ-სულ, ერთგულ. **ერი თავისის სულით და გულით იმ ტურფა საბაღნაროსა ჰგავს, საცა, რუსთაველის სიტყვით, ერთი მიდის და მის მაგიერ სხვა მოდის, თითონ ბაღნარი-კი არის და არის მუდამ მწვანე, მუდამ დაუჭკნობელი, მუდამ ყვავილოვანი, ია-ზამბახ-ვარდგაშლილი,** როგორც ჩვენი ძველი პოეტი ბესიკი იტყოდა.

მართალია, ხან ცა მოუღრუბლებს ხოლმე და მშვიდობიანი, მორცხვი, კდემითმოსილი ია ნაღვლიანად თავს ჩაჰკიდებს, ყელმოღერებული და თავმომწონე ზამბახი წელში გადიხრება, ეშხით ცეცხლმოდებული არშიყი ვარდი აღარ აკვნესებს თავის ბუჩქებში ტრფიალებით დამთვრალს და გახელებულს ბულბულსა, მაგრამ ბაღნარი მაინც ბაღნარია, მაინც ჰყვავის, მაინც ფშვენს, მაინც სიცოცხლის ძარღვი დაუღალავად უცემს სიცოცხლისათვისვე და ემზადება კარგის დღისთვის, სხვა უკეთეს დროისთვის. აბა, ახლა მაშინ ნახეთ ერი, როცა ფირუზის ფრად გადაწმენდილი ცა, უღრუბლო და შუქმოფენილი, თავის უშველებელ ფრთებს ზედ გადმოაშლის ხოლმე, როგორც ფრინველი თავის ბლარტებს; მაშინ ნახეთ ის ტურფა საბაღნარო, რომელსაც მე სული და გული ერისა დავარქვი, რა ყვავილების კონას შეჰკრავს! ნუთუ გინდათ, ეს სული და გული დაგვიბერდეს!

ღმერთმა ნუ ქნას.

მაშ, გაუმარჯოს დაუჭკნობელს სიჭაბუკესა, აწ და მარადის!

**31 დეკემბერი, 1885 წ., ტფილისი".**

**დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1886 წ., 1**

**რუბრიკას უძღვება**
**დარეჯან ანდრიაძე**

# პირველი რესპუბლიკის მოედანი





პირველი რესპუბლიკის მოედანი ვერის უბანში, რუსთაველის გამზირის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

ამ გამზირს 1918 წლამდე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, გოლოვინის პროსპექტი ერქვა, ხოლო შოთა რუსთაველის სახელის მინიჭების შემდეგ, საბჭოთა პერიოდში, პროსპექტზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა: 30-იან წლებში გაფართოვდა ყოფილი სასახლის ქუჩა, რომელიც ვიწრო ყელს ქმნიდა პროსპექტსა და ერევნის მოედანს შორის. ამის შედეგად პროსპექტი უშუალოდ შეუერთდა მოედანს; ქუჩიდან აიღეს ტრამვაის ხაზები; 1965 წელს კეთილმოწყობისა და გამწვანების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა; აიგო საბჭოთა მონუმენტალიზმისთვის ტიპური შენობები, როგორიცაა მთავრობის სახლი, ტელეგრაფი, კავშირგაბმულობის სახლი, სასტუმრო „ივერია"... ამასთანავე განადგურდა XIX საუკუნის რამდენიმე ისტორიული შენობა, მათ შორის სამხედრო ტაძარი, რომლის ეზოში 1921 წელს საბჭოთა რუსეთის ჯარებთან ბრძოლაში დაცემული ქართველი იუნკრები იყვნენ დაკრძალული.

**პროსპექტის დასავლეთ ნაწილში მოედანი 1983 წელს შეიქმნა და მას რესპუბლიკის მოედანი ეწოდა. 2005 წლამდე აქ ბეტონის არკადებიანი ტრიბუნები იდგა, რომელიც კომუნისტური აღლუმებისთვის გამოიყენებოდა. ცნობილია, რომ არქიტექტორ ოთარ კალანდარიშვილს ეს მონუმენტი სხვაგვარად ჰქონდა ჩაფიქრებული — გაკეთდა მთელი კომპლექსის მხოლოდ ერთი ნაწილი — გაყინული ტალღები, მაგრამ საბოლოო სახით ავტორის იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა, ამიტომ ხალხმა ამ მონუმენტს „ანდროპოვის ყურები" შეარქვა (იური ანდროპოვი საბჭოთა პოლიტიკოსი და სკკპ-ის გენერალური მდივანი იყო) ნაწილობრივ მისი ფორმების გამო, მაგრამ უფრო მეტად იმდროინდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე მინიშნების მიზნით.**

ე.წ. ანდროპოვის ყურები მოედნიდან 2005 წელს აიღეს და რესპუბლიკის მოედანს ამიერიდან „ვარდების რევოლუციის" მოედანი დაარქვეს. მოგვიანებით, 2018 წლის 25 მაისს, კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან მე-100 საიუბილეო წლის აღსანიშნავად მოედანს, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, პირველი რესპუბლიკის მოედანი ეწოდა.

* * *

მოედანზე მდებარეობს **Radisson Blu Iveria Hotel** — ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო ქალაქ თბილისში (ყოფილი „ინტურისტის" სასტუმრო). თავდაპირველი 18-სართულიანი ნაგებობა 1967 წელს აიგო არქიტექტორ ო. კალანდარიშვილის მიერ, ი. ცხომელიძის მონაწილეობით. ის XX საუკუნის მოდერნისტული არქიტექტურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნიმუში იყო ქალაქში.

რაც შეეხება ფოსტისა და ტელეგრაფის ყოფილ შენობას თბილისის შუაგულში, რუსთაველის გამზირზე, ის იქნება ტურისტული და ბიზნეს ცენტრი.

რვა სართულიან ნაგებობას სამი მიწისქვეშა სართული გააჩნია. დაგეგმილია შენობის სრული რეკონსტრუქცია, რომლის შედეგად 170-180 ნომრიან სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიას მივიღებთ.

მომავალი სასტუმროს შენობისთვის საჭირო სრული ტექნიკური აღჭურვილობა, წყლის ავზები და მარაგები, მომსახურების ოთახი და სხვა დამხმარე ობიექტები შენობის სარდაფშია განთავსებული. სასტუმროს პირველ სართულზე ჯაზკლუბი განთავსება, რომელსაც ქუჩიდან პირდაპირი შესასვლელი ექნება.

პროექტის მთავარ კომპონენტს სასტუმროს მთავარი შესასვლელი რუსთაველის გამზირიდან ექნება. ლობი რესტორანთან და ბართან, მთავარ სამზარეულოსთან და შეხვედრების (საკონფერენციო) საბანკეტო დარბაზებთან ერთად პირველ სართულზე განთავსდება; მეორე სართული სტანდარტული ტიპის სასტუმრო ოთახებსა და სპორტულ დარბაზს დაეთმობა; მესამე და მეოთხე სართულებზე კი სტანდარტული ბიზნეს და უმაღლესი კლასის, ხოლო მეხუთე სართულზე მხოლოდ ბიზნეს და უმაღლესი კლასის სასტუმრო ნომრები განთავსდება; შენობის ბოლო სართული საპრეზიდენტო სიუტსა და პენტ ჰაუზს დაეთმობა.

მოედანი კი გადაიქცევა რეკრეაციულ სივრცედ, სადაც ქალაქის სტუმრები და ადგილობრივი მოსახლეობა დროის სასიამოვნოდ გატარებას შეძლებენ, შეიქმება სრულიად უნიკალური სივრცე, რომელიც ნამდვილად დაამშვენებს ჩვენს ქალაქს.

წლეულს, ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, აქ საახალწლო სოფელი მოეწყო და დაიდგა ულამაზესი ნაძვის ხე, დაგეგმილია სხვადასხვა საახალწლო ღონისძიებები, რომლებიც, იმედია, კარგ განწყობას შეუქმნის დედაქალაქის მკვიდრთ და საქართველოში ჩამოსულ სტუმრებს.







ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მასწავლებელი დაპატიმრებულია არასრულწლოვანის მიმართ სასტიკი მოპყრობის ბრალდებით. მიზეზებს იძიებენ. თუ ბრალი დაუმტკიცდა, მარგარეტს სამ წელიწად-ნახევრით პატიმრობა ემუქრება.**



## იდეალურ დედად მიიჩნევდნენ, მან კი ათი თვის ტყუპი ბიჭები დაახრჩო



**კალიფორნიის (აშშ) მკვიდრმა ჰიზერ ლენგდონმა ქმართან გაყრის მძიმე პროცესი გადაიტანა, რომელთანაც ხუთ ბავშვს ზრდიდა. ცდილობდა, გამკლავებოდა პრობლემებს, რომლებიც თავს დაატყდა, და ამ ყველაფერთან ერთად ათი თვის ტყუპი ბიჭებისთვისაც უნდა მოევლო, მაგრამ არც ძალა ეყო, არც ვინმემ გაუწოდა ხელი და ქალმა, რომელსაც იდეალურ დედად მიიჩნევდნენ, უსაშინელესი ნაბიჯი გადადგა — უმწეო ჩვილები სიცოცხლეს გამოასალმა, — იუწყება The Sun.**

დედობას უღალატა — უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა.

ჰიზერმა ბიჭები სასტუმროს აბაზანაში დაახრჩო, სადაც იგი ბავშვებთან ერთად პოლიციელებმა მას შემდეგ მიიყვანეს, რაც იგი ქალთა თავშესაფრიდან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის გამოაგდეს. „ვინ წარმოიდგენდა, — წერს The Sun, — რომ წესრიგის დამცველებმა დედას უპოვეს შვილების მკვლელობისთვის შესაფერი ადგილი.

ადგილი რა შუაშია?! საზოგადოება რომ იხრწნება, იქ ეძებეთ მიზეზები.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## მასწავლებელმა ქმრის საყვარელი ბავშვების თვალწინ მოკლა

**32 წლის ჩელსი კუკი იუტას შტატის (აშშ) სკოლაში ჯანდაცვის საკითხებში მასწავლებლად მუშაობდა. ქმართან გაყრილი იყო. ყოფილი ქმარი მათი 3 წლის ტყუპი ბიჭების აღზრდაში უწინდებურად მონაწილეობდა, მაგრამ ჩელსიმ ვერა და ვერ აპატია ოჯახის ღალატი და გადაწყვიტა, სამაგიერო გადაეხადა, — იუწყება Daily Mail.**

იმ დღეს ყოფილი მეუღლე **თრევისის** სახლში მივიდა, ერთ-ერთი ბავშვისთვის გაცივების საწინააღმდეგო წამლის მიტანის მოტივით. მაგრამ მისი ქცევა დედის მზრუნველობას არ ჰგავდა, განსაკუთრებით, მაშინ, როცა სააბაზანოში ჩაიკეტა. თრევისმა, როგორც იქნა, დაიყოლია ჩელსი, სააბაზანოდან გამოსულიყო, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა თითქოს მზად იყო წასასვლელად და თავის პალტოს დასწვდა, ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო და ბავშვების თვალწინ ორჯერ ესროლა ყოფილი ქმრის საყვარელს — 26 წლის **ლიზა ვილეიტს.** სანამ თრევისი ცდილობდა დაჭრილი ქალის გადარჩენას, ყოფილი ცოლი დივანზე მოკალათდა და მშვიდად და კმაყოფილებით უცქერდა იმ უბედურებას, რომელიც მან იქ დაატრიალა. დაჭრილი ვერ გადაარჩინეს.

ჩელსი დაპატიმრებულია. მას ბრალად ედება მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში.



## ჩეშირში (ინგლისი) მცხოვრებმა სამი შვილის დედამ თავი მოიკლა

**Mirror-ის ვერსიით, სუიციდური აქტის განხორციელება ამ ქალმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მისი ქმარი ციხეში ჩასვეს ქალიშვილის მხეცური გაუპატიურების ბრალდებით. 40 წლის ქალს ფსიქოლოგიური პრობლემები სწორედ ამ მიზეზით დაეწყო.**

**რიკის** (ქმარს) 7 წელიწადი მიუსაჯეს, ცოლმა, **ინკა მაკეიმ,** ეს სირცხვილი ვერ გადაიტანა და ზუსტად წლის თავზე თავი მოიკლა.



ინკამ თავისი მომავალი ქმარი ბირმინჰემში ასტონის უნივერსიტეტში სწავლის დროს გაიცნო. 2000 წელს დაქორწინდნენ, სამი ვაჟი ეყოლათ. ოჯახის რღვევა დაიწყო მას შემდეგ, რაც რიკი შინიდან შორს შეუდგა საქმიანობას — ეხმარებოდა ლონდონში 2012 წლის ოლიმპიადის მოსამზადებელ სამუშაოებში, შემდეგ კი აზერბაიჯანში გაემგზავრა.

პრობლემები 2015 წელს დაეწყოთ. ინკა თავს ვერართმევდა სამუშაოს და ყოველთვის დათრგუნული იყო. აშკარად დაეტყო პარანოის ნიშნები.

2016 წელს რიკს გაუპატიურების ბრალი წაუყენეს, მაგრამ აპატია იმ პირობით, რომ მსგავს გადაცდომას არ ჩაიდენდა, მაგრამ 2017 წელს ცნობილი გახდა, რომ რიკი სასამართლოს წინაშე წარდგებოდა. ცოლს ხელმეორედ ნერვული შოკი დაემართა.

რიკის მსხვერპლმა განაცხადა, რომ კაცმა იგი თავის ბინაში შეიპატიჟა და მასთან სექსუალური ურთიერთობა დაამყარა. თავიდან ყველაფერი ურთიერთშეთანხმებით მიმდინარეობდა, მაგრამ რიკმა მალე დაკარგა კონტროლი. ბრალდებული კი ამტკიცებს, რომ ქალიშვილი წინააღმდეგი არ იყო.

## ამერიკული პატრიოტიზმის ორიგინალური დემონსტრაცია





**ეს ამბავიც კალიფორნიაში მოხდა: 52 წლის მარგარეტ გიზინგერმა თავისი მოწაფე დასაჯა — თმა მოსწავლის სურვილის საწინააღმდეგოდ, ძალით შეჭრა. კრეჭდა შეშინებულ ბავშვს პატივცემული მასწავლებელი და ამ აქტის პატრიოტულ სულისკვეთებას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით განამტკიცებდა.**

თავდავიწყებით მღეროდა და არანაკლები გატაცებით ჭრიდა თმას პატარა ბიჭს, ჭრიდა და ზურგზე აყრიდა. ისე იყო აზარტში შესული, რომ ვერც ამჩნევდა, რომ მოწაფეები ამ ყველაფერს მობილურებით იღებდნენ.

ერთის კრეჭას რომ მორჩა, მასწავლებელმა მეორეზე გადაინაცვლა, ამჯერად გოგონაზე, მაგრამ იგი ხელიდან დაუსხლტა და კლასიდან გავარდა. იხუვლეს ბავშვებმა და ჩაიშალა „პატრიოტიზმის საჩვენებელი“ გაკვეთილი.

ეს ამბავი Mirror-მა გააცნო თავის მკითხველებს.

მასწავლებელი დაპატიმრებულია არასრულწლოვანის მიმართ სასტიკი მოპყრობის ბრალდებით. მიზეზებს იძიებენ. თუ ბრალი დაუმტკიცდა, მარგარეტს სამ წელიწად-ნახევრით პატიმრობა ემუქრება.

## დედინაცვალი — თვალში ნაცარი

**თამი ბლაიმერი შვიდ ბავშვს ზრდიდა. მათგან ერთი, ხუთი წლის გერი, ისე სძულდა, რომ კიბის ქვეშ, საკუჭნაოში ჰყავდა გამოკეტილი, რისთვისაც 38 წლის ტეხასელ ქალს 28 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, — იუწყება The Sun.**

პოლიციელებს პატარა **ჯორდანისთვის** დროზე რომ არ მიესწროთ, რამდენიმე დღეში შიმშილით მოკვდებოდა. ექიმებმა განაცხადეს, რომ ბიჭი ჰოლოკოსტისდროინდელ პატიმარს ჰგავდა, იწონიდა მხოლოდ 13 კილოგრამს. დაზარალებულის მამა ამ არაადამიანური მოპყრობის მოწმე იყო, მაგრამ არაფერი უღონია მის აღსაკვეთად, ამიტომაც მიუსაჯეს 15 წელიწადი. ქალის ასეთი მხეცური მოქმედება მას შემდეგ გაცხადდა, რაც პოლიციას თამის ერთ-ერთმა შვილმა მიმართა. 16 წლის ყმაწვილმა განაცხადა, რომ მისი მშობლები ჯორდანს შიმშილით კლავდნენ. ბიჭს კიბის ქვეშ ეძინა, იქ, სადაც მავთულის ნაგლეჯებსა და ლურსმნებს ინახავდნენ და დღეში მხოლოდ ერთ ნაჭერ პურს აძლევდნენ. დედინაცვალი და-ძმებთან სადილობას უკრძალავდა და ლუკმას პირიდან აცლიდა. ნაცემი ჯორდანის სხეული დალილავებული და სისხლჩაქცევებიანი იყო.







გაირკვა, რომ მშობლები ბავშვს ნარკოტიკებით ჭყიპავდნენ, სტუმრიანობის დროს ხელი რომ არ შეეშალა(!).

სასამართლოზე თამის წინააღმდეგ ორმა მისმა ვაჟმა მისცა ჩვენება: **„შენ დიდი შეცდომა დაუშვი და ამისთვის პასუხი უნდა აგო: როგორ შეგეძლო, ასე მოგვპყრობოდი? ჩვენ შენი სიამაყე და სიხარული უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ამის ნაცვლად შიშსა და რისხვაში ვცხოვრობდით“,** — განაცხადეს მათ.

ჯორდანი ამჟამად თავის ბიოლოგიურ დედასთან ცხოვრობს. ბავშვებზე ზრუნვის სამსახურმა თამი ბლაიმაიერის ექვსი შვილის მეურვეობა იკისრა.

**„ასე წარმატებით როგორ მოგვასაღებენ ხოლმე სიცრუეს?“ — მსგავსი შეკითხვა, დასავლეთის მედიას, რა თქმა უნდა, არ დაებადება. კლაასი მხილებულია, მაგრამ ასობით ასეთი ავტორი და მათი პუბლიკაციები მარაგშია და თავის საქმეს აკეთებს. მთავარი ის კი არ არის, რომ ისინი ტყუიან, სიცრუეს ავრცელებენ, არამედ ის, რომ სწორად ტყუიან და სწორ სიცრუეს ავრცელებენ.ხოლო „სიმართლის მოწინავე მანქანა“, ყველაფრის მიუხედავად, მათ გვერდით კი არ იქნება, ვინც ცრუობს, არამედ მათ მხარეს დადგება, ვინც სწორად არ ლაპარაკობს.**

ანტიჟურნალისტიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მე ვცრუობდი»

## ევროპის საუკეთესო ჟურნალისტის აღიარება

**თავისუფალი სამყაროს ერთ-ერთმა საუკეთესო ჟურნალისტმა, უძველესი გერმანული გამოცემა „შპიგელის“ რეპორტიორმა კლაას რელოტიუსმა თითქმის შეუძლებელი შეძლო. ხელის ერთი მოსმით ცხადად წარმოაჩინა მითი თავისუფალი მედიის შესახებ, გამოააშკარავა დასავლეთის „სიმართლის ინდუსტრიის“ გაბერილი რეპუტაცია და სიყალბე.**



შემთხვევით გამოუვიდა, არც აპირებდა, არც სურდა ამის გაკეთება. გაემგზავრა მორიგ მივლინებაში მექსიკისა და აშშ-ის საზღვარზე ლტოლვილების სევდიანი ცხოვრების შესასწავლად და გამოაგზავნა კიდეც შესანიშნავი რეპორტაჟი-ლონგრიდი *(ლონგრიდი — ინტერნეტში ჟურნალისტური მასალების გამოქვეყნების სპეციფიკური ფორმატი)*, მაგრამ ყველაფერი გააფუჭა მისმა აბეზარმა კოლეგა ხუანმა, რომელიც ვარსკვლავთან ერთად მოგზაურობდა. ხუანმა „შპიგელის“ უფროსობასთან უჩივლა კლაასს: იტყუება თქვენი საამაყო ჟურნალისტი, ცრუობსო. ხელმძღვანელობამ ერთ ყურში შეუშვა, მეორედან გამოუშვა. **აბეზარმა, ასე არ უნდაო, პირადი ინიციატივა გამოიჩინა, გამოიძია, და დაამტკიცა, რომ კლაასმა თავისი რეპორტაჟის საუკეთესო და შთაბეჭდილების მომხდენი უმნიშვნელოვანესი ნაწილი თავადვე მოიგონა; რომ მისი ფანტაზიის შედეგია რასისტული წარწერები მინესოტაში, გამოგონილია დიალოგები ადამიანებთან, რომლებსაც იგი საერთოდ არ უნახავთ და ა.შ.**

კლაას რელოტიუსმა თავდაპირველად უარყო ბრალდება, შემდეგ აღიარა, რომ ლონგრიდი ფალსიფიცირებულია; თქვა, რომ „შპიგელისთვის“ დაწერილი მისი რეპორტაჟების ნაწილი მართლაც ფანტაზიის ნაყოფია — დაახლოებით ერთი მეოთხედიო. ბოლოს განაცხადა, რომ ძალიან რცხვენია, რომ, ფაქტობრივად, ავად არის და დახმარება სჭირდება.

და გადადგა.

რატომ მოექცა ეს კერძო შემთხვევა ყურადღების ცენტრში? — იმიტომ, რომ კლაასი საერთაშორისო დონის ვარსკვლავად იყო მიჩნეული;

იყო 2014 წლის „CNN-ის რეპორტიორის პრემიის“ ლაურეატი (სიკვდილმისჯილთა ყოველდღიურობის სიმკაცრეთა შესახებ);

იყო გერმანული ჟურნალისტიკის რამდენიმე ყოველწლიური პრემიის ლაურეატი (ბოლო პრემია რამდენიმე თვის წინათ მიენიჭა რეპორტაჟისთვის ღარიბი სირიელი ლტოლვილი ბიჭის შესახებ);

იყო 2017 წლის საერთოევროპული ჟურნალისტური პრემიის ლაურეატი (რეპორტაჟისთვის ორი ღარიბი სირიელი ბავშვის შესახებ, რომლებიც გამოექცნენ ალეპოს დაბომბვებს და თურქეთში მძიმე, უმეტეს შემთხვევაში, არალეგალური სამუშაოთი ირჩენდნენ თავს, რადგან ევროპაში მოხვედრა გამორიცხული იყო).

პრიზების მინიჭებისას პროფესიული გილდიები ყოველთვის აღნიშნავდნენ მის მიერ აღწერილი საზარელი რეალობის ლირიკულობასა და პოეტურობას.

გამომშვიდობებისას რელოტიუსმა მორცხვად აღნიშნა, რომ მისი სხვა მასალები, რომლებიც პრიზებით იყო დაჯილდოებული, ასევე ფალსიფიცირებულია, მათ შორის, რეპორტაჟიც სირიელ ლტოლვილ ბიჭზე.

**ამჟამად „შპიგელი“ ცდილობს სკანდალის განეიტრალებას მისთვის ჩვეული ხერხით — შიდა გამოძიებით. აცხადებს, რომ მისთვის ჭეშმარიტება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეპუტაცია.**

შედეგი ნათელია: „ასე წარმატებით როგორ მოგვასაღებენ ხოლმე სიცრუეს?“ მსგავსი შეკითხვა, დასავლეთის მედიას, რა თქმა უნდა, არ დაებადება. კლაასი მხილებულია, მაგრამ ასობით ასეთი ავტორი და მათი პუბლიკაციები მარაგშია და თავის საქმეს აკეთებს. მთავარი ის კი არ არის, რომ ისინი ტყუიან, სიცრუეს ავრცელებენ, არამედ ის, რომ **სწორად ტყუიან და სწორ სიცრუეს ავრცელებენ.**

ხოლო „სიმართლის მოწინავე მანქანა“, ყველაფრის მიუხედავად, მათ გვერდით კი არ იქნება, ვინც ცრუობს, არამედ მათ მხარეს დადგება, ვინც სწორად არ ლაპარაკობს. ახლახან ბრიტანულმა მედიარეგულატორმა Ofcom-მა განაცხადა, რომ „ტელეარხი RT („რაშა თუდეი“) არ იცავს მიუკერძოებულობის წესებს“ და ამას ამბობს მაშინ, როცა წლევანდელ გაზაფხულზე ეს წესები თვითონ შვიდჯერ დაარღვია.

საკითხი ასე დგას: რით დამთავრდება სწორ სიცრუეს დაქვემდებარებული „ყველაზე უფრო მოწინავე ცივილიზაციის“ არსებობა?

**აბეზარმა ხუანმა პირადი ინიციატივა გამოიჩინა, გამოიძია და დაამტკიცა, რომ კლაასმა თავისი რეპორტაჟის საუკეთესო და შთაბეჭდილების მომხდენი უმნიშვნელოვანესი ნაწილი თავადვე მოიგონა. რომ მისი ფანტაზიის შედეგია რასისტული წარწერები მინესოტაში, გამოგონილია დიალოგები ადამიანებთან, რომლებსაც იგი საერთოდ არ უნახავთ, და ა.შ. კლაას რელოტიუსმა თავდაპირველად უარყო ბრალდება, შემდეგ აღიარა, რომ მისი ტექსტები ფალსიფიცირებულია**

# ჟურნალისტები, რომლებიც ტყუილში ამხილეს






### გამოგონილი პერსონაჟები

**სტივენ გლასი** — ამერიკელი ჟურნალისტი, რომელიც ჟურნალ The New Republic-ში 1990-იან წლებში მუშაობდა და გამოცემის ვარსკვლავად მიიჩნეოდა, 1998 წელს სამსახურიდან გაათავისუფლეს. როგორც აღმოჩნდა, გლასი იგონებდა თავისი მასალებისთვის პერსონაჟებსა და კომპანიებს. დღეს სტივენ გლასი იურიდიულ ფირმაში მუშაობს.



### პრემია ცრუ პერსონაჟის გამოგონების გამო

1981 წელს The Washington Post-მა ჰეროინზე დამოკიდებულ 8 წლის ბიჭზე, ჯიმიზე, გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც პულიტცერის პრემია მიიღო. სტატიის ავტორი 27 წლის **ჯანეტ კუკი** იყო. მასალის გამოქვეყნების შემდეგ ვაშინგტონის პოლიციამ ბიჭის ძებნა დაიწყო, რომელსაც „ინიექციის კვალი ჰქონდა ხელებზე“. ოპერაციაში ქალაქის მერიც ჩაერთო. ჯიმი ვერ იპოვეს და პრესაში დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ ჟურნალისტმა ყველაფერი მოიგონა, თუმცა კუკი თავის პოზიციაზე იდგა და საბოლოოდ გამოცხადდა, რომ ბავშვი დაიღუპა. ჭეშმარიტების დადგენა პულიტცერის პრემიის გადაცემის შემდეგ შეიქნა შესაძლებელი. ავტორის ტექსტი და მისი ბიოგრაფია ქალის წინა სამსახურში, ყოველდღიურ გაზეთ Toledo Blade-ში წაიკითხეს. ბიოგრაფიაში ეწერა, რომ კუკს „ტოლედოში“ მუშაობისას დოქტორის ხარისხი ჰქონდა და მიიღო ჟურნალისტური პრემია იქ მუშაობისთვის. როგორც გაირკვა, ორივე ფაქტი ჯანეტმა გამოიგონა, რათა The Washington Post-ში დაეწყო მუშაობა. მოგვიანებით კუკმა აღიარა, რომ ნარკომანი ბავშვის პერსონაჟი მოიგონა და პულიტცერის პრემია დააბრუნა. ეს პრემიის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო. აღსანიშნავია, რომ მწერალი **გაბრიელ გარსია მარკესი** შემდეგ ხუმრობდა, რომ ჯანეტ კუკს სტატიისთვის არა პულიცერი, არამედ ლიტერატურაში ნობელის პრემია ეკუთვნოდა.




### გამოგონილი ინტერვიუ აშშ-ის პრეზიდენტთან

კიდევ ერთი ისტორია პულიტცერის პრემიაზე, რომელიც მოგონილი წერილის ავტორს გადაეცა: 1921 წელს ჯილდო გამოცემა The New York World-ის ჟურნალისტმა **ლუი სეიბოლდმა** მიიღო აშშ-ის პრეზიდენტ **ვუდრო უილსონთან** ინტერვიუსთვის. მოგვიანებით დადგინდა, რომ მითითებულ დროს პრეზიდენტი ავად იყო და ვერ მისცემდა ინტერვიუს სეიბოლდს. ინტერვიუ ფაბრიკაცია იყო და ჟურნალისტს ამაში პრეზიდენტის მდივანი და პრეზიდენტის ცოლი დაეხმარნენ. ცოლი თვლიდა, რომ მიუხედავად ავადმყოფობისა, მის ქმარს პრეზიდენტობის კანდიდატად თავი კიდევ ერთხელ უნდა დაესახელებინა.

# ინგლისელები ჟურნალისტ ქალს ცილისწამებაში ფულს უხდიდნენ

**და ეს ჟურნალისტი იყო ლიზ უოლი, ტელეარხ „რაშა თუდეის“ ვაშინგტონის ბიუროს ყოფილი ტელეწამყვანი. ლიზამ 633 გირვანქა სტერლინგი მიიღო იმის საფასურად, რომ ცილი დასწამა მედიაჰოლდინგს, რომელშიც მუშაობდა.**




ფულის გამღები, ანუ სიყალბის დამფინანსებელი იყო ფორინ-ოფისის (დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს) ერთ-ერთი დეპარტამენტი. ეს გაცხადდა მას შემდეგ, რაც Anonymous-ის ჯგუფის ჰაკერებმა გამოაქვეყნეს ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა ნამდვილობა აღნიშნულმა უწყებამ აღიარა.

14 დეკემბერს გამოქვეყნებულ მრავალ დოკუმენტს შორის აღმოჩნდა ფინანსური ჩანაწერები, რომლებიც „რაშა თუდეის“ ყოფილ ჟურნალისტ **ლიზ უოლს** ეხებოდა. იგი 2016 წელს სკანდალურად პირდაპირ ეთერში გადადგა „პოლიტიკური მიზეზებით“.

დადასტურებულია, რომ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საინფორმაციო ომის წარმოების Integrity Intiative-ის პროექტის სპონსორი არის ინგლისური ორგანიზაცია „სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტი“.

„რუსთავი 2“-ის მსგავსად რომ მოვუქციოთ, „ახალი „ფეიკები“ კეთდება აქ“.

## შობა-ახალი წლის ფაქტები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპაში საშობაო ნაძვის ხე დაამკვიდრა მარტინ ლუთერმა — პროტესტანტიზმის ფუძემდებელმა. ტოტემური ხე ქრისტიანობისთვის რომ დაეახლოებინა, თავის საწმყსოს უთხრა, რომ საზეიმო ნაძვის ხის კენწერო ბეთლემის ვარსკვლავის მსგავსი მოსართავით დაემშვენებინათ, ხოლო ტოტებზე სანთლები დაემაგრებინათ.**





# რამდენიმე ფაქტი ახალი წლისა და ნაძვის ხის შესახებ, რომლებიც, ალბათ, არ იცოდით

**შობა-ახალი წლის წინ „საქართველო და მსოფლიომ" ინტერნეტში მოიძია ცნობები სხვადასხვა პერიოდის საშობაო-საახალწლო რიტუალებისა და წესების შესახებ, მაგალითად, რატომ კიდებდნენ ნაძვის ხეს ჭერზე თავდაყირა, რომელი ქვეყანაა ახალი წლის სამშობლო და სხვა საინტერესო ფაქტები.**

### მესოპოტამია – ახალი წლის სამშობლო

ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ახალი წლის ზეიმის ტრადიცია 4 ათასზე მეტი წლის წინათ გაჩნდა მესოპოტამიაში. მას მიჰყვა ძველი რომიც ჯერ კიდევ ახალი ერის დადგომამდე. თავდაპირველად რომის უზენაესი ქურუმი თვითონ წყვეტდა, როდის დადგებოდა ახალი წელი, მას ჰქონდა უფლება თავისი სურვილის მიხედვით შეემოკლებინა ან გაეხანგრძლივებინა წელიწადი. შემდეგ რომაული ახალი წელი იწყებოდა 1 მარტს, ხოლო 153 წელს ჩვენს ერამდე რომაელებმა ახალი წლის აღნიშვნა დაიწყეს 1 იანვარს. ამ დღეს ახალარჩეული კონსული ფიცს დებდა.

**სხვადასხვა ქვეყანაში ახალი წელი სხვადასხვა დროს აღინიშნება. მაგალითად, ავსტრალიაში — 1 იანვარს, რუსეთში 1700 წლამდე ახალის წლის დაწყებას სექტემბერში აღნიშნავდნენ, ინდოეთში — 22 მარტს, ებრაელებისთვის ახალი წელი სექტემბერში იწყება, ჩინეთში — ახალ წელს 17 იანვრისა და 19 თებერვლის შუალედში ხვდებიან, ახალი წლის დადგომას საქართველოში IV საუკუნიდან აღნიშნავდნენ. IV საუკუნეში ახალ წელს 6 აგვისტოს ზეიმობდნენ, VII საუკუნეში — 1 სექტემბერს, IX-ში კი ახალი წლის ათვლა გაზაფხულის პირველი თვიდან — მარტიდან იწყებოდა.**

### საახალწლო საჩუქრები – რომაელების გამოგონება

ახალი წლის შეხვედრის იდეა ძველმა რომაელებმა ასე ჩამოაყალიბეს: როგორც შეხვდები ახალ წელს, ისე გაატარებ მას! ამიტომ ისინი ცდილობდნენ, მხიარული ყოფილიყვნენ, უძღვნიდნენ ერთმანეთს საჩუქრებს: თავდაპირველად — ნუგბარსა და გემრიელ კერძებს, მოგვიანებით — ფულს. **სვეტონიუსი** წერდა, რომ მაგალითად, იმპერატორი **ოქტავიანე ავგუსტუსი** დაინტერესებული მოქალაქეებისაგან ფულით სავსე ზანდუკებს იღებდა საჩუქრად.

### რატომ კიდებდნენ ნაძვის ხეს ჭერზე

შუასაუკუნეების ევროპაში ნაძვის ხეს სხვადასხვანაირად რთავდნენ. **მარტინ ლუთერამდე** (გერმანელი ქრისტიანი ღვთისმეტყველი, პროტესტანიზმის დამაარსებელი, 1483-1546 წწ.) ნაძვის ხეს იატაკზეც არ დგამდნენ, თავდაყირა კიდებდნენ ჭერზე. ამაში არანაირი საიდუმლო აზრი არ იდო, ამას მხოლოდ კარნავალისა და მხიარულებისთვის აკეთებდნენ. თავდაყირა ჩამოკიდებულ ხეს რთავდნენ სხვადასხვა ტკბილეულით, დათქმულ დროს აღებდნენ კარს და ოთახში შედიოდნენ ბავშვები, რომლებიც გარს უვლიდნენ ნაძვის ხეს.

ასე რომ, თანამედროვე დიზაინერების იდეა, ჭერზე ჩამოკიდონ ნაძვის ხე, სულაც არ არის ნოუ-ჰაუ, პირიქით — ძველი რიტუალის ნაწილია.

### საშობაო ნაძვის ხე მოიგონა ლუთერმა

ევროპაში საშობაო ნაძვის ხე დაამკვიდრა **მარტინ ლუთერმა,** პროტესტანიზმის ფუძემდებელმა. ტოტემური ხე ქრისტიანობისთვის რომ დაეახლოვებინა, თავის საწმყსოს უთხრა, რომ საზეიმო ნაძვის ხის კენწერო ბეთლემის ვარსკვლავის მსგავსი მოსართავით დაემშვენებინათ, ხოლო ტოტებზე სანთლები დაემაგრებინათ.

### როგორ გადავიდა ნაძვის ხე სახლში

ახალი წლის საზეიმოდ აღნიშვნა, მაგალითად, რუსეთში **ეკატერინე II**-ის იმპერატორობის პერიოდში დამკვიდრდა, ხოლო პირველი „სახელმწიფო ნაძვის ხე" აღინიშნა **ნიკოლოზ I-ის** პერიოდში. ქუჩიდან კი ნაძვის ხე სახლებში შევიდა IX საუკუნის შუა წლებში. ნაძვის ხე პირველად სახლში შეიტანეს პეტერბურგში მცხოვრებმა გერმანელებმა. ნაძვის ხეს ისინი რთავდნენ კათოლიკური შობისთვის და იღებდნენ ნათლიღებას. ეს წეს-ჩვეულება ძალიან მოეწონათ სხვა მოქალაქეებს და მათაც დაიწყეს ნაძვის ხის სახლებში შეტანა. მდიდრები ნაძვის ხეზე კიდებდნენ ბეჭდებს, მძივებს, საყურეებს.



### ნაძვის ხის სათამაშოები გაჩნდა ვაშლის ცუდი მოსავლის გამო

ევროპაში ნაძვის ხის მორთვა XVII საუკუნის ბოლოს დაიწყეს. თავდაპირველად ნუგბარით: კანფეტებით, თხილით, ნამცხვრებით, ვაშლებით. ღარიბები კი მოსართავად შაქრის ნატეხებსაც იყენებდნენ. ნაძვის ხის ტოტებზე ანთებდნენ სანთლებს (რაც არაერთხელ ყოფილა ხანძრის გაჩენის მიზეზი). ნაძვის ხის მბრწყინავი ბურთები კი დაახლოებით 150 წლის წინათ გაჩნდა. ამბობენ, რომ ნაძვის ხის პირველი ბურთი გააკეთეს ვაშლის ცუდი მოსავლის გამო. ხილის მარაგი ზამთარში ამოიწურა და გერმანელმა მინის ოსტატებმა ვაშლის ფორმის სფეროები დაამზადეს.

1870-იან წლებში კი ამერიკაში უბრალო ტელეგრაფისტმა ხანძარსაშიში სანთლები ელექტრული გირლიანდით შეცვალა.

მოამზადა
**ლუკა მაისურაძე**



## პირველად საქართველოში

# ვეტერან მოფარიკავეთა ღია საახალწლო ტურნირი

**თბილისში, ნუგზარ ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზში, პირველად საქართველოში გაიმართა ვეტერან მოფარიკავეთა შორის ღია ტურნირი, რომლის ინიციატორები იყვნენ ვეტერან მოფარიკავეთა ფედერაციის პრეზიდენტი, მსოფლიო ჩემპიონი ფარიკაობაში (1963წ.) და ვეტერანთა შორის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, ბატონი ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძე და ვეტერანი მოფარიკავე ზურაბ ბოკუჩავა. შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ ეროვნული კატეგორიის მსაჯი ლუდვიგ ღაღანიძე. ასპარეზობაში 53 ვეტერანი სპორტსმენი მონაწილეობდა.**

**რაპირაში** ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

კაცებს შორის – **ირაკლი გობეჯიშვილი (I ადგილი), ვიტალი გრიგოლია (II), ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძე და მერაბ კარტოზია (III).**

ქალებს შორის **– რუსუდან ჟვანია (I), ქეთევან ერემეიშვილი (II), ეკა ლუნაშვილი და ხათუნა მამუკაშვილი (III).**

**დაშნაში** გამარჯვება წილად ხვდათ:

კაცებს შორის – **ალექსანდრე ზახაშვილს (I), გიორგი კოკოჩაშვილს (II), ზურაბ ბოკუჩავასა და მალხაზ კვაჭაძეს (III).**

ქალებს შორის – **ხათუნა ჭუმბურიძეს (I), თამუნა ჭუმბურიძეს (II), სოფო დიდიასა და ნანა ვარდანაშვილს (III).**

**ხმლით** ასპარეზობის გამარჯვებულნი კი არიან **ლევან იოსებიძე (I), ალეკო ჩიტიშვილი (II), გელა ჩიხრაძე** და **თემურ ბოჭორიშვილი (III).**

საუკეთესოები ვეტერანთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე იასპარეზებენ.

მსგავსი შეჯიბრებები საქართველოში ტრადიციად დამკვიდრდება და ყოველწლიურად გაიმართება.



გამარჯვებულთა დაჯილდოება. მარცხნივ — ვეტერან მოფარიკავეთა ფედერაციის პრეზიდენტი, მსოფლიო ჩემპიონი ფარიკაობაში ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძე

**ახალ წელს პირველები ხვდებიან აღდგომის კუნძულებში (რესპუბლიკა კირიბატი) შემავალ კუნძულ კირიტიმატის მცხოვრებნი, აგრეთვე, ქალაქ ნუკუალოფის (სამეფო ტონგას დედაქალაქი) მოსახლეობა. ორივე ადგილი მდებარეობს ოკეანეთში. ასე რომ, თუკი გსურთ, ახალ წელს პირველი შეხვდეთ, გაემგზავრეთ ამ კუნძულებზე.**

საათობრივი სარტყლები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სხვადასხვა საათობრივი სარტყელის არსებობის გამო ახალი წელი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულ დროს დგება და ეს განსხვავება შეიძლება 25 საათს შეადგენდეს. წარმოიდგინეთ, რომ, როცა ჩვენ ახალი წლის სამზადისში ვართ, დედამიწის რამდენიმე ადგილას მას უკვე შეხვდნენ; როცა თბილისში დიასახლისები ჯერ კიდევ ფუსფუსებენ სამზარეულოში, მაგალითად, ახალ ზელანდიაში უკვე რამდენიმე საათის წინ ჩამოჰკრა საათმა 12-ჯერ და შესვეს ბოკალი შამპანიური.**

# ვინ შეხვდება ახალ წელს პირველი და ვინ — ბოლო




ახალ წელს პირველები ხვდებიან აღდგომის კუნძულებში (რესპუბლიკა კირიბატი) შემავალ კუნძულ **კირიტიმატის** მცხოვრებნი, აგრეთვე, ქალაქ **ნუკუალოფის** (სამეფო ტონგას დედაქალაქი) მოსახლეობა. ორივე ადგილი მდებარეობს ოკეანეთში. ასე რომ, თუკი გსურთ, ახალ წელს პირველი შეხვდეთ, გაემგზავრეთ ამ კუნძულებზე.

15 წუთის შემდეგ **(UTC+13:45)** ახალი წელი ესტუმრება კუნძულ **ჩატემს** (ახალი ზელანდია), რომელიც გამოყოფილია ახალი ზელანდიის ძირითად კუნძულებს და მდებარეობს სპეციალურ საათობრივ სარტყელში.

*** UTC — ეს არის საერთაშორისო კოორდინირებული დრო, სტანდარტი, რომლის მიხედვით არეგულირებენ საათსა და დროს (გრინვიჩის მიხედვით).**

**UTC+13** — ახალ წელს ხვდებიან ახალ ზელანდიასა და ანტარქტიკაში, სამხრეთ პოლუსზე მომუშავე სპეციალისტები.

**UTC+12** — ახალ წელს ხვდებიან შორეულ აღმოსავლეთში. ანადირში, კამჩატკაზე, მათ რიგშია, აგრეთვე, ნაურუ, ტუვალუ, მარშლის კუნძულები.

**UTC+11** — ახალ წელს ზეიმობენ აღმოსავლეთ ავსტრალიის მცხოვრებნი; ქალაქები: სიდნეი, მელბურნი, კანბერა; წყნარი ოკეანის რამდენიმე კუნძული — ვანუატუ, მიკრონეზია, სოლომონის კუნძულები.

**UTC+10** — 12 საათი ჩამოჰკრავს ავსტრალიის შტატ კვისლენდში და პაპუა-ახალი გვინეას რამდენიმე კუნძულზე.

**UTC+9** — ახალ წელს შეხვდებიან იაპონიასა და კორეაში.

**UTC+8** — ჩინეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ნაწილი (სინგაპური, მონღოლეთი, მალაიზია, ფილიპინები და კუნძული ბალი) შეხვდებიან ახალ 2019 წელს.

**UTC+7** — ტაილანდი, ლაოსი, ვიეტნამი. წარმოიდგინეთ, რომ ამ დროს კუნძულ კირიტიმატიზე უკვე 1 იანვრის დილის 7 საათი იქნება.

**UTC+6** — ნეპალი, ინდოეთი, ბანგლადეში, შრი-ლანკა. როდესაც დელისა და მუმბაიში ახალ წელს შეხვდებიან, ახალ ზელანდიაში უკვე 2019 წლის 1 იანვრის 7 საათი და 30 წუთი იქნება.

**UTC+5** — მალდივის კუნძულები, პაკისტანი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი. კუნძულ კირიმატიზე კი უკვე 1 იანვრის 9 საათი იქნება.

## UTC+4 — საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, რამდენიმე კუნძული ინდოეთის ოკეანეში. შემდეგ ახალი წელი დადგება ირანში, რომელიც 3 საათითა და 30 წუთით წინ არის გრინვიჩის დროზე

**UTC+4 — საქართველო,** აზერბაიჯანი, სომხეთი, რამდენიმე კუნძული ინდოეთის ოკეანეში. შემდეგ ახალი წელი დადგება ირანში, რომელიც 3 საათი და 30 წუთით წინ არის გრინვიჩის დროზე.

**UTC+3** — კენია, ტანზანია, თურქეთი, ერაყი, საუდის არაბეთი, იემენი, ყატარი, მადაგასკარი.

**UTC+2** — ახალი წელი შეაბიჯებს რუსეთის ევროპულ ნაწილში, უკრაინაში, ბელარუსში, ლიეტუვაში, ლატვიაში, ესტონეთში, საბერძნეთში, სამხრეთ აფრიკაში, მალავისა და ნამიბიაში.

**UTC+1** — ახალ წელს ზეიმობს ცენტრალური და დასავლეთი ევროპა — ნორვეგია, იტალია, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი და აფრიკის ნაწილი.

**UTC+0** — 2019 წელი შეაბიჯებს ნულოვანი მერიდიანის (გრინვიჩის) ქვეყნებში: ეს არის დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, ისლანდია, აფრიკის ნაწილი. კუნძულ კირიმატიზე კი უკვე 1 იანვრის 14 საათი იქნება.

**UTC -1** — აზორის კუნძულები.

**UTC -2** — ბრაზილია (რიო-დე-ჟანეირო, სან-პაულუ).

**UTC -3** — არგენტინა და სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთი ნაწილი.

**UTC -4** — კუნძული ნიუფაუდლენდი (კანადა).

**UTC -5** — აღმოსავლეთი კანადა, კარიბის ზღვის აუზის ბევრი კუნძული, სამხრეთი ამერიკის ნაწილი.

**UTC -6** — აღმოსავლეთი კანადა (ოტავა) და აშშ (ვაშინგტონი, ნიუ-იორკი), სამხრეთი ამერიკის დასავლეთი ნაწილი.

**UTC -7** — კანადისა და აშშ-ის (ჰიუსტონი, ჩიკაგო) ცენტრალური ნაწილები, მექსიკა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა.

**UTC -8** — კანადისა (ვანკუვერი) და აშშ-ის (ლოს-ანჯელესი, სან-ფრანცისკო) დასავლეთი ნაწილები.

**UTC -9** — შტატი ალასკა (აშშ). კუნძულ კირიტიმატიზე უკვე იქნება 1 იანვრის 23 საათი.

**UTC -10** — ჰავაი, კუნძულები კუკი და ტაიტი.

**UTC -11** — ბოლო, ვინც შეხვდება 2019 წელს, იქნება კუნძულ სამოასა და ამერიკის სამოას მოსახლეობა, ხოლო, როდესაც სამოას მცხოვრებნი ახალ წელს შეხვდებიან, კუნძულ კირიტიმატიზე უკვე 2019 წლის 2 იანვრის პირველი საათი იქნება.

მოამზადა
ნიკა კორინთელმა






ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეკორდსმენი თოვლის ქალი, რომლის სიმაღლე 10-სართულიან სახლს უტოლდებოდა, დაახლოებით 6 ტონას იწონიდა. ხელების ნაცვლად ხეები ჰქონდა, ტუჩებად — ავტომობილის საბურავები, ხოლო წამწამებად — თხილამურები.**

საახალწლო რეკორდები — ეს არის რეკორდები, რომლებიც აღრიცხულია გინესის წიგნში — ადამიანების, ცხოველებისა და ბუნებრივი სიდიდეების მსოფლიო მიღწევების ყოველწლიურ კრებულში. გთავაზობთ მათგან რამდენიმეს.

# საშობაო-საახალწლო რეკორდები



## ყველაზე ძვირად ღირებული მოსართავები

ნაძვის ხის ყველაზე ძვირად ღირებული მოსართავები დაამზადეს 2002 წლის 7 დეკემბერს ტოკიოში. Piaget-ის იაპონიის განყოფილებამ ნაძვის ხე მორთო 83 საიუველირო სამკაულით, რომელთა საერთო ღირებულება 16 მილიონი დოლარი იყო.



## ყველაზე დიდი მცურავი საშობაო ნაძვის ხე

მცურავი საშობაო ნაძვის ხე, რომლის სიმაღლე 85 მ იყო, დადგეს რიო-დე-ჟანეიროში 2007 წელს. რეკორდის სპონსრი გახლდათ ბრაზილიური სადაზღვევო კომპანია Bradesco Sequros e Previdencia.



## ყველაზე დიდი საშობაო ვარსკვლავი

საშობაო-საახალწლო ვარსკვლავი, რომლის სიმაღლე იყო 31,59 მ, დადგეს ინდოეთის ქალაქ კოჩიში 2009 წლის 31 დეკემბერს. პროექტის რეალიზებას ხელი შეუწყო უძრავი ქონების კომპანია Apple A Day Properties-მა.



## საახალწლო კალენდარი

ყველაზე დიდი საშობაო-საახალწლო კალენდარი, რომლის სიმაღლე იყო 71 მ, სიგანე — 23 მ, დადგეს ლონდონის რკინიგზის სადგურ St. Pancras-ში 2007 წელს.



## ყველაზე გრძელი წერილი სანტას

8-დან 14 წლამდე 2000-ზე მეტი მოსწავლე 9 დღის განმავლობაში წერდა სანტა კლაუსს სურვილების წერილს, რომელიც 413,8 მ სიგრძის გამოვიდა. ეს ყველაზე გრძელი წერილია კაცობრიობის ისტორიაში. აქცია მოაწყო რუმინეთის საფოსტო სამსახურმა 2008 წელს.



## ყველაზე მაღალი თოვლის ქალი

2008 წლის თებერვალში ამერიკის ქალაქ ბეტელის მცხოვრებლებმა შექმნეს ყველაზე მაღალი თოვლის ქალი მსოფლიოში. 37 წლის თოვლის მზეთუნახავს ოლიმპია დაარქვეს შტატის იმჟამინდელი გუბერნატორის, ოლიმპია სნოუს, პატივსაცემად. რეკორდსმენი თოვლის ქალი, რომლის სიმაღლე 10-სართულიან სახლს უტოლდებოდა, დაახლოებით 6 ტონას იწონიდა. ხელების ნაცვლად ხეები ჰქონდა, ტუჩებად — ავტომობილის საბურავები, ხოლო წამწამებად — თხილამურები.



## ყველაზე დიდი ბურთი ნაძვის ხისთვის

2016 წლის დეკემბერში რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში, დადგეს საახალწლო ნაძვის ხის ბურთის ფორმის დიოდების კონსტრუქცია, რომლის დიამეტრი იყო 17 მ. ბურთის შიგნით მოწყობილი იყო საცეკვაო მოედანი და ისმოდა პოპულარული საზეიმო კომპოზიციები: 23 ათასი ნათურა კი მუსიკის შესაბამისად სხვადასხვა ფერად ნათდებოდა.



## ყველაზე ძველი ნაძვის ხე

ქოთანში გაზრდილი 30 სანტიმეტრი სიმაღლის ნაძვის ხე, რომელიც ეკუთვნის ბრიტანელ ქალბატონ ჯანეტ პარკერს, ყველაზე ძველ საშობაო ხედ ითვლება მსოფლიოში. ჯანეტის ბებიამ ეს ნაძვის ხე 1886 წელს იყიდა.



## ყველაზე მეტნათურიანი საახალწლო გირლანდა

საშობაო-საახალწლო ნაძვის ხის გირლანდა, რომელზეც ყველაზე მეტი ნათურა იყო — 150 ათასი ცალი — შექმნეს გერმანიაში 2006 წელს.




## სანტასთვის გაგზავნილი ყველაზე ძველი წერილი

ვინმე ჯონ ბირნმა, რომელიც ცდილობდა, დუბლინში, თავის ახალშეძენილ სახლში გათბობის სისტემის შეკეთებას, ბუხარში იპოვა 10 წლის ჰანა ჰოვარდის მიერ 1911 წელს დაწერილი საშობაო წერილი. გოგონა სანტა კლაუსს სთხოვდა თოჯინას, ხელთათმანებს, საწვიმარ ლაბადასა და კანფეტებს. წერილის პოვნის შემდეგ ჰანას ვაჟმა განაცხადა, რომ დედამისს სიყვარული ტკბილეულისადმი პროფესიაში გადაეზარდა — კონდიტერი გახდა. ასე რომ, სანტამ პატარა გოგონას ოცნება შეუსრულა.

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**

მანოელი მივიდა სავსე ბართან, შეჩერდა, თვალი გადაავლო მოულოდნელობისგან გაშეშებულ ადამიანებს და... ფინტი გააკეთა: კიდევ ორი ნაბიჯი გადადგა და შევიდა ბარში, სადაც მარტო იჯდა ნაღვლიანი მეპატრონე. ის წამოხტა და მოულოდნელობისგან ხელიდან ხელსახოცი გაუვარდა. გარინჩამ ყავა შეუკვეთა, დალია, გადაიხადა, მეპატრონეს მხარზე ხელი მოუტყაპუნა და გამოვიდა ისე, რომ კრინტი არ დაუძრავს. „ხუთი წუთის შემდეგ, — იგონებს ჟოან სალდანია, — ეს ბარი იყო სავსე, ბარის მეპატრონე კი აცახცახებული ხელებით დახლის მოპირდაპირე კედელზე აჭედებდა სკამს, რომელზეც ცოტა ხნის წინათ იჯდა გარინჩა, და ფინჯანს, რომლიდანაც ყავა დალია დიდმა ფეხბურთელმა.

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გარინჩა — ხალხის სიხარული

## ბრაზილიური ფეხბურთის დიადი კოჭლი

**როდესაც ბრაზილიურ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ, უწინარესად, ერთი სახელი გვახსენდება ხოლმე — პელე. და, მიუხედავად იმისა, რომ „ფეხბურთის მეფის" ოსტატობაში ეჭვი არავის შეაქვს, მის ჩრდილში არიან შესანიშნავი ფეხბურთელები, რომლებსაც ჯეროვან პატივს არ მიაგებენ დღევანდელი გულშემატკივრები. მათ შორის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია მანოელ (მანე) ფრანსისკო დოს სანტოსი — გარინჩა, რომელსაც ჟურნალისტები და გულშემატკივრები უწოდებდნენ „ხალხის სიხარულს", „ფეხბურთის ჩარლი ჩაპლინსა" და „დიად კოჭლს". სწორედ მას, ვისაც ექიმები დაბადებისთანავე უწინასწარმეტყველებდნენ ინვალიდის ეტლში სიცოცხლეს, ტრიბუნებმა პირველად შესძახეს „ოლე!" და ეს შეძახილი აიტაცა სრულიად კონტინენტმა. ამ მასალაში მოგითხრობთ ისტორიას ნამდვილი გმირის, ფეხბურთის ლეგენდის, ლოთის, ლოველასის, გულუბრყვილო კეთილი კაცისა, რომელსაც აღმერთებდა ლათინური ამერიკა, თუმცა არც ისე დიდხანს.**



### ბავშვობა

**მანოელ ფრანსისკო დოს სანტოსი** 1933 წლის 18 ოქტომბერს დაიბადა რიო-დე-ჟანეიროს გარეუბანში მდებარე პატარა სოფელ პაუ-გრანდიში. მას თანდაყოლილი დაავადებები აღმოაჩნდა: სიბეცე, ხერხემლის გამრუდება და მენჯის ძვლების დეფორმაცია, მისი მარცხენა ფეხი მარჯვენაზე 6 სმ-ით მოკლე იყო. ოპერაციებმა შედეგი ვერ მოიტანა: ექიმების აზრით, ბავშვი ბედნიერი უნდა ყოფილიყო, თუ, საერთოდ, გავლას შეძლებდა. იმხანად ვერავინ წარმოიდგენდა, რომ კოჭლი ბიჭუნა გაიზრდებოდა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებზე სწრაფად ირბენდა.

მანოელის ოჯახი ძალიან ღარიბი იყო. მისი უმცროსი ძმა და და შიმშილისა და ავადმყოფობისგან დაიხოცნენ. თვითონ მანოელი პატარაობიდანვე ეხმარებოდა მშობლებს: ტყეში ხილს აგროვებდა და ბაზარში ვაჭრობდა, სკოლაში ვერ დადიოდა, რადგან მუშაობდა. სულ ოთხი კლასის განათლება მიიღო და ამიტომ ძლივს წერდა და კითხულობდა. მამისგან მემკვიდრეობით მიიღო ალკოჰოლის სიყვარული. 10 წლისა უკვე სვამდა კაშასას (შაქრის ლერწმისგან დამზადებული მაგარი სასმელი), ლუდსა და კაჩიმბუს (სასმელი კაშასისგან, თაფლისა და ლიმონისგან), ეწეოდა. დამ, ტერეზამ, მანეს შეარქვა მეტსახელი — გარინჩა (პატარა, იშვიათი ჩიტის სახელი), მოგვიანებით ამ სახელს სრულიად მსოფლიო ეძახდა.

14 წლის მანოელმა მუშაობა დაიწყო საქსოვ ფაბრიკაში, თამაშობდა ფაბრიკის ბავშვთა სამოყვარულო გუნდ „პაუ გრანდიში".

### პირველი სეზონი

16 წელი რომ შეუსრულდა, მანემ მოზრდილთა გუნდში დაიწყო თამაში. ის იყო წელში მოხრილი, კოჭლი. ამის გამო კარიერა წარუმატებლად დაიწყო: „ფლამენგომ" და „ფლუმანენსემ" არ მიიღეს კოჭლობის გამო, უარით გაისტუმრა „ვასკო და გამამ", აგრეთვე, „სან კრისტოვანმა"... ბედმა გაუღიმა, როცა პაუ-გრანდიში შემთხვევით ჩავიდა კლუბ „ბოტაფოგოს" ფეხბურთელი და მანეს თამაში ნახა. ამ ფეხბურთელზე ისეთი შთაბეჭდილება დატოვა ჭაბუკი მანეს თამაშმა, რომ მწვრთნელს სთხოვა, გაესინჯა. მწვრთნელს არ სურდა, დრო დაეკარგა და სასინჯ თამაშში მანეს დაუპირისპირა იმხანად ბრაზილიის ნაკრების მცველი ნილტონ სანტოსი, რომელსაც მანე სახეზე არ იცნობდა.

სანამ „ბოტაფოგას" ფეხბურთელები ჩუმად იცინოდნენ უცნაურ კოჭლ ყმაწვილზე, რომელსაც, მათი აზრით, ამ სიტუაციაში ჩაფლავების მეტი არაფერი ელოდა, გარინჩამ ფეხებს შუა გაუტარა ბურთი (ეს ყველაზე დიდ დამცირებად ითვლება ფეხბურთელთა შორის) ბრაზილიის ნაკრების საუკეთესო მარცხენა მცველს, თანაც ისე, რომ ნილტონ სანტოსმა მოულოდნელობისგან წონასწორობა დაკარგა და მინდორზე დაეცა. განცვიფრებული ფეხბურთელების თვალწინ გარინჩამ ეს ტრიუკი კიდევ ორჯერ გაიმეორა.

**გარინჩას თამაშმა ისე განაცვიფრა სახელგანთქმული ნილტონ სანტოსი, რომ მწვრთნელს უთხრა: „ეს ბიჭი სხვა კლუბში რომ აღმოჩნდეს, მშვიდად ვერ დაიძინებ, ხოლო, თუკი ჩვენთან დარჩება, ვერ დაიძინებენ სხვა კლუბების მცველები". „ბოტაფოგამ" გარინჩა 500 კრუიზეროდ იყიდა „პაუ-გრანდესგან", რამდენიმე კვირის შემდეგ კი მანემ თავი დაანება ფაბრიკას და თავისი ცხოვრება ფეხბურთს დაუკავშირა.**

პირველ სეზონში გარინჩამ 26 მატჩი ჩაატარა და 20 ბურთი გაიტანა, რამდენიმე სეზონის შემდეგ კი მისმა გუნდმა პირველად მოიგო რიოს თასი. „რივერ პლეიტთან" მატჩში გარინჩამ ისე მოხიბლა პუბლიკა, რომ მის ყოველ წარმატებულ მოძრაობას ახლდა შეძახილი **„ოლე!"**, დროთა განმავლობაში ეს შეძახილი ბევრი ქვეყნის გულშემატკივრის ტრადიციულ შეძახილად იქცა.

### 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი

ბრაზილიელებმა ფინალში ჩემპიონატის მასპინძლები, შვედები, დაამარცხეს — 5:2, ამ მატჩში 2 ბურთი მარჯვენა ფლანგიდან გარინჩას ჩაწოდებით გავიდა.

როდესაც გარინჩა მშობლიურ პაუ-გრანდეში დაბრუნდა, მას შეხვდნენ, როგორც ეროვნულ გმირს. დასვენების დღე გამოცხადდა და დაიწყო სტიქიური კარნავალი. ერთი დღის შემდეგ გარინჩა შევიდა თავისი სახლის წინ მდებარე ბარში, სადაც ის და მისი მეგობრები წლების განმავლობაში კრედიტით მიირთმევდნენ ალკოჰოლურ სასმელს. ეროვნულმა გმირმა ჯიბიდან ფულის სქელი შეკვრა ამოიღო, ვალებიც გაისტუმრა და იქ მსხდომებიც დაპატიჟა. შემდეგი წელიწადი გარინჩასთვის რთული აღმოჩნდა. წარმატებისა და მოულოდნელად გაჩენილი ფულის ფონზე, რომლის გამოყენებაც გარინჩამ არ იცოდა, ფეხბურთელმა სმა დაიწყო და გასუქდა. ამის გამო გარინჩა არ ათამაშეს ამხანაგურ მატჩში ინგლისის წინააღმდეგ. პაუ-გრანდეში დაბრუნებულმა გარინჩამ შესახვედრად გამოსული აღფრთოვანებული ბრბოს თვალწინ ავტომობილი დაახეთქა თავის მამას და გზა განაგრძო. შემხვედრთა აღფრთოვანება მრისხანებაში გადაიზარდა, გააფთრებული ადამიანები დაედევნენ გარინჩას და სახლამდე მიჰყვნენ. როდესაც გარინჩამ გააჩერა ავტომობილი, მდევრებმა ნახეს, რომ ის გალეშილი იყო და ვერ აღიქვამდა, რა ჩაიდინა. გარინჩას მამა რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა ალკოჰოლიზმით გამოწვეული ციროზით.

გარინჩას ხასიათს, მის დამოკიდებულებას ადამიანებისადმი კარგად გამოხატავს შემთხვევა, რომელიც აღწერილი აქვს ცნობილ დიპლომატსა და ჟურნალისტს, **იგორ ფესუნენკოს**, თავის წიგნში **„პელე, გარინჩა, ფეხბურთი"**:

**„ჟოან სალდანია** (კლუბ „ბოტაფოგოსა" და ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი, ჟურნალისტი — ნ.კ.) იხსენებს, როგორ იდგნენ ის და გარინჩა ერთ-ერთი პატარა ქალაქის სასტუმროს ფანჯარასთან. „ბოტაფოგოს" ამ ქალაქში მეორე დღეს შეხვედრა უნდა გაემართა და მთელი ქალაქი ამ მატჩის მოლოდინში იყო. სასტუმროს ფანჯრიდან ქუჩის მეორე მხარეს ჩანდა ორი „ბოტეკინი" — ასე ეძახიან ბრაზილიაში პატარა ბარებს. ერთი დილიდან საღამომდე სავსე იყო ადამიანებით, მეორე — ცარიელი. დანაღვლიანებული მებუფეტე უკვე მეორედ ამშრალებდა ჭიქებსა და კათხებს, წმენდდა მტვერს მაგიდებიდან, მაგრამ ბარში ხალხი რატომღაც არ შედიოდა. ადამიანები გვერდით მდებარე ბოტეკინს ამჯობინებდნენ... მანოელმა უყურა, უყურა მარტო მყოფ ბარის მეპატრონეს, შემდეგ კი სალდანიას მიუბრუნდა — სეუ (შემოკლებით — „სენიორ") ჟოან, წუთით ქვემოთ ჩავალ, შეიძლება?

ის ჩავიდა კიბით და გავიდა ქუჩაში, შემდეგ კი იქით გაემართა, სადაც ეს ორი პატარა ბარი იყო. ხალხით სავსე ბარში ყველა გაირინდა და პირდაბჩენილი უყურებდა გარინჩას, ლეგენდარულ „ბი-კამპეონეს" (ორგზის ჩემპიონს — ნ.კ.), რომელიც ამ ქალაქში „ბოტაფოგასთან" ერთად იყო ჩამოსული ერთი მატჩის სათამაშოდ. ქალაქი ამ მატჩით ცხოვრობდა და ბარში შეკრებილებიც ფეხბურთზე ლაპარაკობდნენ და, ალბათ, დაიჩივლეს კიდეც, რომ სასტუმროში ჰყავდათ გამოკეტილი შესანიშნავი ფეხბურთელები — **დიდი** და **გარინჩა.** და ამ მომენტში... აი ისიც, როგორც ზღაპარში! გარინჩა! მოდის აუჩქარებლად... გარინჩა — მსოფლიოში ყველაზე დიდი ფეხბურთელი!

მანოელი მივიდა სავსე ბართან, შეჩერდა, თვალი გადაავლო მოულოდნელობისგან გაშეშებულ ადამიანებს და... ფინტი გააკეთა: კიდევ ორი ნაბიჯი გადადგა და შევიდა ბარში, სადაც მარტო იჯდა ნაღვლიანი მეპატრონე. ის წამოხტა და მოულოდნელობისგან ხელიდან ხელსახოცი გაუვარდა. გარინჩამ ყავა შეუკვეთა, დალია, გადაიხადა, მეპატრონეს მხარზე ხელი მოუტყაპუნა და გამოვიდა ისე, რომ კრინტი არ დაუძრავს.

„ხუთი წუთის შემდეგ, — იგონებს ჟოან სალდანია, — ეს ბარი იყო სავსე, ბარის მეპატრონე კი აცახცახებული ხელებით დახლის მოპირდაპირე კედელზე აჭედებდა სკამს, რომელზეც ცოტა ხნის წინათ იჯდა გარინჩა, და ფინჯანს, რომლიდანაც ყავა დალია დიდმა ფეხბურთელმა. ამიერიდან ბარის მოხუც მეპატრონეს უზრუნველი ცხოვრება გარანტირებული ჰქონდა. და გარინჩამ, რომელიც სასტუმროში დაბრუნდა და უყურებდა ამ სცენას, სალდანიას უთხრა: — **ასე ხომ უფრო სამართლიანია, სეუ ჟოან?**





მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**
**(დასასრული შემდეგ ნომერში)**




## „ღმერთმა ბევრი გაგითენოთ შობა-ახალწელიწადი!“

ინტერვიუში, რომელიც საქართველოს სახალხო მხატვარ გივი თოიძეს ჩამოვართვით (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №45), გაცნობეთ, რომ მან, ჩვენი თხოვნით, გაზეთის წინასაახალწლო ნომერში გამოსაქვეყნებლად დაგვიხატა „ძველი ქუჩა მთაწმინდაზე“.

ვაქვეყნებთ!

მრავალი შობა-ახალი წელიწადი ბედნიერად გაგთენებოდეთ, ჩვენო ერთგულო მკითხველებო!

# სტალინის საფლავზე 13 500 მიხაკი მიიტანეს





**რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის მომხრეებმა იოსებ სტალინის საფლავზე კრემლის კედელთან 13 500 მიხაკი მიიტანეს. აქცია „ორი მიხაკი ამხანაგ სტალინს“ ბელადის 139-ე წლისთავს დაუკავშირეს.**

რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ლიდერმა **გენადი ზიუგანოვმა** განაცხადა, რომ გაისად აღინიშნავენ სტალინის დაბადებიდან 140-ე წლისთავს, ხოლო 2020 წელს — ლენინის დაბადების 150 წლისთავს.

სტალინის საფლავზე წელიწადში ორჯერ მიაქვთ ყვავილები – 18 და 21 დეკემბერს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ არ არსებობს ერთიანი აზრი მისი დაბადების თარიღზე.

იოსებ სტალინის (ჯუღაშვილი) სიცოცხლის დროს და სიკვდილის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში მისი დაბადების ოფიციალურ თარიღად ითვლებოდა 1879 წლის 21 დეკემბერი. მოგვიანებით, სტალინის მშობლიური გორის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის დოკუმენტების დახმარებით, დადგინდა სხვა თარიღი — 1878 წლის 18 დეკემბერი.

# 2018 წელს სტალინის მუზეუმს დაახლოებით 160 ათასი ვიზიტორი ეწვია



**გორში იოსებ სტალინის მუზეუმის თანამშრომლების ცნობით, 2018 წელს (დეკემბრამდე) მუზეუმი დაახლოებით 160 000-მა ვიზიტორმა დაათვალიერა.**

სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, ვნახავთ, რომ დამთვალიერებლების რაოდენობა იზრდება. ძალიან ბევრი ადამიანი მოდის, განსაკუთრებით უცხოეთიდან. ამის მიზეზი ისაა, რომ დასტაბილურდა ვითარება, განვითარდა ტურისტული სააგენტოების მომსახურება.

2018 წლის აგვისტოს მონაცემებით, ყველაზე მეტი ვიზიტორი მუზეუმს ჰყავდა: ირანიდან — 13 285, რუსეთიდან — 12 207, ისრაელიდან — 3 733, პოლონეთიდან — 3720 და გერმანიიდან — 2 168.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ჯეომედია“ — ტელ: 593 209 526
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22



# უნგრეთის მთავრობა — Financial Times-ს: სოროსი, წლის ადამიანი კი არა, დემოკრატიის მტერია

**გავლენიანმა ბრიტანულმა გაზეთმა Financial Times-მა რამდენიმე დღის წინათ გლობალისტი მილიარდერი ჯორჯ სოროსი წლის ადამიანად დაასახელა.** ამ ფაქტს უნგრეთის მთავრობა ასე გამოეხმაურა: „Financial Times-ისთვის სოროსი წლის ადამიანია, მაგრამ ბევრი ჩვეულებრივი მოქალაქისთვის სოროსი დემოკრატიის მტერია“.

# ილონ მასკს რუსული კოსმოსური ტექნოლოგია მოეწონა



**კომპანია SpaceX-ის ხელმძღვანელმა ილონ მასკმა „რდ-180“-ის ძრავის კონსტრუქციას ბრწყინვალე უწოდა. პატენტი რუსულ „ენერგომარშს“ ეკუთვნის. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელში დაწერა.**

„მრცხვენია, რომ Boeing-სა და Lockheed Martin-ს სჭირდება რუსული ძრავის გამოყენება Atlas-ზე, თუმცა კონსტრუქცია ბრწყინვალეა“, — დაწერა მასკმა. „რდ-180“-ის ძრავა კომპანია ULA-ს გადამზიდ რაკეტა Atlas 5-ზეა მოთავსებული.

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894